ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 12 მარტი 2002 №41 (1563) | ფასი 50 თეთრი




# ქუთაისი — თეთრი ქვა, თბილისელებს — შავი ქვა?

## რიონისპირა პოლიციამ მტკვრისპირელებს ზურგი გაუმაგრა

„რეინჯერსი" — „სელტიკი", „მილანი" — „ინტერი", „ლაციო" — „რომა", „პარტიზანი" — „ცრვენა ზვეზდა", „ბარსელონა" — „რეალი"... რით ჩამოუვარდება ევროპული ფეხბურთის ამ მტრად მოკიდებული კლუბების დაპირისპირებას ჩვენებურთა, ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს", მართალია, ხანმოკლე, მაგრამ ერთობ შულლიანი ისტორია? ზემოხსენებულ გუნდთა ქომაგებს საქართველოს ჩემპიონატის მეოცე ტურის „ტორპედო" — „დინამო" რომ ენახათ, ვინძლო, ქართველ ფანთაგან ბევრი რამ ესწავლათ.

ქუთაისს პირველად ნასტუმრებმა ხორვატმა ივო შუშაკმა და მისმა „დინამომ" იმერეთიდან ქულა კი წაიღეს, მაგრამ კვირას საფეხბურთო მატჩზე მეტი ყურადღება გულშემატკივართა ბრძოლამ მიიპყრო.

ქუთაისელებმა ცივი, მაგარი და ნაცადი იარაღი — ქვა მოიშველიეს, თბილისელებმა — სიტყვა, ცხადია, უშვერი. საქმეში ჩაერია პოლიციის ხელკეტიც, რომელიც უმეტესად სტუმართა ზურგს ეხათქუნებოდა და ისეთი დაკა-დაკა ატყდა, მტერს და ავს. ერთიცაა, ქვა გავარდა პირველად თუ სიტყვა, ჯერ კიდევ გასარკვევია — ქუთაისელები თბილისელებს აბრალებენ და პირიქით. დალეწილი ავტობუსით შინ დაბრუნებულმა „დინამომ" ფედერაციას შესჩივლა და მოითხოვა: „სანამ „ტორპედოს" სტადიონზე არ იქნება უზრუნველყოფილი თბილისელ გულშემატკივართა უსაფრთხოება და არ დამყარდება წესრიგი, „ტორპედოს" და „დინამოს" შეხვედრები (რომლებიც ქუთაისში უნდა გაიმართოს) ჩატარდეს ნეიტრალურ სტადიონზე."

სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, რომელსაც გუშინ ქუთაისში მომხდარზე დავეკითხეთ, ეს გვითხრა:

*— ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. არ გავცნობივარ მატჩის ინსპექტორისა და მსაჯის მოხსენებით ბარათებს. წავიკითხავთ, განვსჯით და ვინც დასასჯელი იქნება, დაისჯება. ისე კი, ალბათ, დამეთანხმებით, როცა „ტორპედო" — „დინამოს" ამდენი ქომაგი ჰყავდა, თავისთავად კარგი ფაქტი და ქართული ფეხბურთის დონის ამაღლების მანიშნებელია.*

ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელმა, რევაზ ძოძუაშვილმა კი ჩვეულებისამებრ ამ ამბავსაც თავისებური, ორიგინალური კომენტარი დაურთო.

*— მივესალმები ტრიბუნაზე ასეთ ვნებათაღელვას. ვფიქრობ, ქუთაისში ქართული ფეხბურთი გამოღვიძების პირასაა, თუმც კი, რა თქმა უნდა, ქომაგობის ხულიგნობაში გადაზრდა დაუშვებელია. 250 თბილისელი და ამდენივე ქუთაისელი ჩხუბობდა. მგონი, ყოველივე მესამე ძალისგან იყო პროვოცირებული. ფეხბურთის ფედერაციისა და სადისციპლინო კომიტეტისკენ არ მივანიშნებ. პირიქით, სწორედ მათ უნდა გამოაშკარავონ ის ხალხი, ვინც ქომაგები გაალიზიანა და ერთმანეთს აჩხუბა. ძალიან მაინტერესებს, ფედერაცია თუ კომიტეტი ვის დასჯიან. „ტორპედოს"? ქუთაისელები კვირას სანიმუშოდ იქცეოდნენ. ფეხბურთელები თავის საქმეს აკეთებდნენ, ქომაგები — თავისას. დამნაშავე კიდევ „ტორპედოა"? რატომ აკერია ყველას პირზე „ტორპედო", მაშინ როცა თითქმის მთელი „დინამო" იგინებოდა?! მართალია, მსაჯობა კარგი არ იყო, მაგრამ ფეხბურთელმა მოედანზე ქცევა უნდა იცოდეს. ამ მხრივ „ტორპედოში" დისციპლინა არ დაიწუნება. თამაშით კი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. როცა „დინამო" ქუთაისიდან გახარებული წავა, ეს ფაქტი თავისთავად „ტორპედოს" სიძლიერეზე მეტყველებს.*

# ვინჩენცო კვატროჩენცო

## მონტელამ ლაციო ოთხზე დააყენა



REUTERS

ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ჩვენი ვარაუდი ახდა — შაბათს ვწერდით, უქმეებზე დიდი მატჩებიაო. ოღონდ გულთმისნობა არაფერ შუაშია, ბოლოლა ევროპულ ჩემპიონატებში გუნდები იმგვარად დაწყვილდნენ, სხვაგვარად არც იქნებოდა.

რომაულ დერბიში თუნდაც ერთი გოლის გატანა რად ღირს და ოთხის ხომ მით უმეტეს — ეს ვინჩენცო მონტელამ მოახერხა. 1:5-ზე განადგურებულ „ლაციოს" თავკაც ალბერტო ძაკერონის წყალი შეუდგა, სამი გოლი კი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მცველის, ალესანდრო ნესტას შეცდომებს მოჰყვა, რის მერეც ითქვა, სასწაული იქნება, ნესტა გაისადაც „ლაციოში" თუ დარჩაო.

თუ სიხარულია, ბოლომდე სიხარული იყოსო და, ამ გამარჯვების გარდა „რომამ" ლიდერობის დაბრუნებაც იზეიმა, რაკი „სან სიროზე" ინტერელ კლარენს ზეედორფს ბოლო წუთზე მოეპრიანა „იუვენტუსისთვის" გოლის გატანა, ხოლო ვნებათაღელვა იქაც არანაკლები იყო.

ბოლო წუთის გოლმა მიუნხენური დერბის ბედიც განსაზღვრა — პენალტის გამფუჭებელმა „ბაიერნმა" ფინკის გვიანი თავურით მოიგო.

სანამ ბაიერნელები გამარჯვების გოლის მოლოდინში იყვნენ, „ჰერტა" „ჰამბურგს" უტანდა და უტანდა — საბოლოოდ ექვსი გამოვიდა, ბარტ გოორმა კი, მონტელაზე ნაკლებიო და თავადაც ოთხი მიითვალა.

გახსოვთ, პრემიერლიგაში 5:1 რომ მოგვიგეთო, გაახსენეს ჩელსელებმა ტოტენჰემელებს და ახალი, ოღონდ მწარე მოსაგონარი დაუტოვეს — მათსავე „უაით ჰართ ლეინზე" ასოციაციის თასის მეოთხედფინალში ოთხი უპასუხო გაუტანეს. რაც ჩამოვთვალეთ, ერთი შაბათ-კვირისთვის ცოტაა? ცხადია, არა, მაგრამ გაგრძელებაც შეიძლება — „ბარსელონა" დამარცხდა, „მონაკო" თასიდან დაბალდივიზიონელმა „ნიმმა" დაიფრინა, „მილანმა" ისევ წააგო...

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი 20 ტური

# კარნევალიმ ფოთში ლაციო დაასამარა

ფოთი. ფაზისი. 2 500 (ტევადობა 6 000). 10 მარტი. 15 საათი

## კოლხეთი 3:0 ვიტ ჯორჯია

1:0 წივწივაძე (18), 2:0 დაუშვილი (33), 3:0 ქუტიძე (90)

კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, ნარსია, ფანჩულიძე, კვირკველია, ქუტიძე, კ. კვეტენაძე, დ. ოდიკაძე (ქანტურიძე 68), წივწივაძე, დაუშვილი
სათადარიგონი: ქვაჩახია; გოროზია, პაპავა, ნადარაია
მწვრთნელი: სოსო ფილია

ვიტ ჯორჯია: ქურაძე, ლ. ნოზაძე, ინწკირველი (ზაზაშვილი 77), ჯ. მუჯირი, ადამია, ვ. გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 74), თედორაძე, ზ. მეტრეველი, გველესიანი (რ. გოცირიძე 56), წუწუნავა, მელქაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; კვახაძე, სანიკიძე, იაშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: მუჯირი (12), წუწუნავა (16), ფანჩულიძე (34)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 19-19; კუთხური: 2-3; კარისკენ დარტყმა: 4-8; კარში დარტყმა: 9-7; თამაშგარე: 2-6

**პაატა კვანტალიანი ფოთიდან**

**ფოთში** დაემშვიდობა ეროვნულ ჩემპიონატს და „ვიტ ჯორჯიას" ჯანი კარნევალი. მაშინ ვიტელებმა ერთობ მოინდომეს, კოლხები მხოლოდ ფრეს დააჯერეს და გულაჩუყებულებმა, სევდიანი გაცილება მოუწყვეს იტალიელს. დამშვიდობება დროებითი აღმოჩნდა. მე ვიტჯორჯიელი ვარო, თქვა სინიორ ჯანიმ და ფოთში მიტოვებული საქმე ფოთიდანვე განაგრძო. მოკლედ, პატარა, ლამაზი ამბავი გამოვიდა, მაგრამ არცთუ ბედნიერი გაგრძელებით — „ვიტ ჯორჯია" 0:3 დამარცხდა საგარეო მატჩში. მარცხიცაა და მარცხიც, „ფაზისზე" სტუმართა გუნდი გადამთვრალ თამადას ჰგავდა, სურვილის მიუხედავად, ჭიქა ღვინის დამლევი რომ ველარაა. კოლხებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს დედაქალაქელები და საექვსეულოდ გულიც დაიარხეინეს.

კოლხებმა დებიუტშივე მწარედ უჩხვლიტეს სტუმრებს. მე-2 წუთზე მეტოქის შეცდომით ისარგებლა კვირკველიამ და წივწივაძე გაიყვანა საჯარიმოს მარცხენა კიდეში ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ჰამლეტს მიზანმა უმტყუნა, თუმც 16 წუთში ჩემპიონატის ბომბარდირმა სამიზნე გაისწორა და კვეტენაძის საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს პირველი აუხტა და თავით ანგარიში გახსნა.

მეორედ კი ფოთელებმა სწრაფი დაუშვილის მარიფათით იხეირეს. დაუშვილმა გველესიანის შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ანგარიშის გაზრდა აღარ გასჭირვებია.

„ვიტ ჯორჯიას" ჩვეული ჟინი და ამბიციურობა მეორე ნახევრის საწყის 15 წუთშიღა დაეტყო. დროის ამ მონაკვეთში სტუმრებმა სამი რეალური საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან. 58-ე წუთზე მეტრეველის ფლანგური გადაცემისას მასპინძელთა დაცვას „ჩაეძინა" და ადამიამ 4 მეტრიდან ძირს დაუშვებლად დაჰკრა ბურთს. გვასალიამ სასწაულებრივ შეძლო თავისიანთა გადარჩენა. ორი წუთის შემდეგ კი ერთადერთი შეცდომა ლამის ძვირად დაუჯდა „კოლხეთის" მეკარეს. გვასალია ბურთმა გაიტაცა და აუტის ხაზამდე მისდია მეტრეველს. კარი დაუცველი დარჩა და ჯერ მელქაძემ ვერ ივარგა, მცველის გამოტანილ ბურთს კი წუწუნავა შეეგება, თუმც მანაც ვერ დაუმიზნა კარის ჩარჩოს. მე-60 წუთზე კი ადამიას საჯარიმოსას მელქაძეს თავური გაუცუდდა სამი მეტრიდან. ეს იყო და ეს, უპირატესობას კვლავაც მასპინძლები დაეუფლნენ. მატჩის ბოლომდე ფილიას ბიჭებმა სულ მცირე, ოთხი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, ხან ჭურაძე ყოჩაღობდა, ხანაც ძელი შველოდა სტუმრებს, თუმც თავისიანთა უიღბლობას ზედ საფინალო სასტვენის წინ ქუტიძემ დაუსვა წერტილი, როდესაც თხუთმეტიოდე მეტრიდან მოქნეული ცაციათი მესამედ გამოატანინა ჭურაძეს ბურთი კარიდან.

ნამატჩევს გაკვირვებული იყო სოსო ფილია, არ მეგონა, თუ ასე იოლად მოვიგებდითო. ჯანი კარნევალიმ, კობიაშვილის და დილმელაშვილის უთამაშებლობაზე დაიჩივლა და ისიც თქვა, მატჩის წინ ინტუიცია მკარნახობდა, რომ ფოთში გაგვიჭირდებოდაო.

იტალიელს ინტუიცია რომ არ ღალატობს, მოგვიანებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა — პრესკონფერენციის ბოლოს კარნევალიმ ჟურნალისტებს მოგვაძახა, ამაღამ ჩემი ჯილა „რომა" წირვას გამოუყვანს „ლაციოსო"...



ჰამლეტ წივწივაძის (მარჯვნივ) გატანილი გოლი ამ სეზონში მეთერთმეტე იყო

ვაჟა კილაძის ფოტო

# რაა? ქვა!

ქუთაისი. ტორპედო. 14 000 (ტევადობა 19 500). 10 მარტი. 15 საათი

## ტორპედო 1:1 დინამო

1:0 პოროშინი (45), 1:1 ბობოხიძე (90)

ტორპედო: ტოგონიძე, აბრამიძე, მახვილაძე, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა, იონანიძე (ახალკაცი 83), ზ. ქუთათელაძე (ლ. ქელიძე 76), პოროშინი, შ. ბაბუნაშვილი, მ. ასათიანი (გამეზარდაშვილი 87)
სათადარიგონი: სტურუა; აკოფიანი, ძამააშვილი, ჩილვინაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

დინამო: [illegible], [illegible], ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, მანწკავა (კანდელაკი 90), გ.ვ. მიქაძე (მ. ბობოხიძე 66), ანჩაბაძე
სათადარიგონი: გვარამაძე; მაზიაშვილი, შავგულიძე, შალამბერიძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: დიდავა (29), მიქაძე (33), ანჩაბაძე (43), მანწკავა (49), პოროშინი (85)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 34-35; კუთხური: 9-4; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 3-4

# საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, 2002 წლის 10 მარტს, კვირას, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩმა ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის ვანდალური ექსცესების ფონზე ჩაიარა.

შეხვედრას 14 ათასამდე ქომაგი დაესწრო. აქედან 90 „დინამოს" ფან-კლუბის წარმომადგენელი გახლდათ.

რატომღაც, თბილისელი ფეხბურთელების კარგმა თამაშმა და მათი გულშემატკივრების ორგანიზებულმა მხარდაჭერამ, ქუთაისელ ვაიქომაგებსა და პოლიციელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ადგილობრივმა „ფანობამ" დედაქალაქელებს ქვები დაუშინა და უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა-გინება, რამაც ქუთაისელი „სამართალდამცავები" ზედმეტად აღაგზნო — პოლიციელები ხელკეტებით დაერივნენ სტუმრებს და თბილისელი გულშემატკივრები (მათ შორის გოგონებიც) სტადიონიდან ცემა-ცემით განდევნეს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ქუთაისელ ვაიგულშემატკივართა უმეტესობა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდადაა განწყობილი თბილისელთა მიმართ და ყველაფერზე მიდის, რათა დედაქალაქელებს სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს. ხოლო ადგილობრივი პოლიცია სიტუაციის განმუხტვაზე კი არ ზრუნავს, არამედ, ცეცხლზე ნავთს ასხამს და პატარა გოგონებს ფიზიკურად უსწორდება.

მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ და შესაბამისმა ორგანოებმა ვერ, ან არ უზრუნველყვეს უსაფრთხოების სათანადო ზომები.

ამიტომაც, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ოფიციალურად მოითხოვს: სანამ „ტორპედოს" სტადიონზე არ იქნება უზრუნველყოფილი თბილისელ გულშემატკივართა უსაფრთხოება და არ დამყარდება წესრიგი, „ტორპედოსა" და „დინამოს" შეხვედრები (რომლებიც ქუთაისში უნდა გაიმართოს) ჩატარდეს ნეიტრალურ სტადიონზე.

„დინამოს" ეს გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ თბილისელი ფეხბურთელები უპირველესად გულშემატკივრისთვის თამაშობენ და არ დაუშვებენ თავიანთი ქომაგების მორალურ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას.

# მოხვდები და რას გახდები?

წყალტუბო. 26 მაისი. 500 (ტევადობა 12 000). 10 მარტი. 15 საათი

## სამგურალი 1:0 მერანი

1:0 ჯანაშია (50)

სამგურალი: ბოდოკია, ფრანგიშვილი, შეყრილაძე, დ. ქელიძე, კოპალიანი, მ. ჯინჭარაძე, ხაჭაპურიძე (კიკვიძე 73), კ. ჯანაშია, დარსაძე, ხუნდაძე (ქადაგიძე 85), ვაჩიბერაძე (ლ. ქობულაძე 80)
სათადარიგონი: ო. ბობოხიძე; ფხაკაძე, ცომაია, ნებიერიძე
მწვრთნელი: გია გიგატაძე

მერანი: ნაჭყეპია, ილურიძე, კვაკვასკირი, თ. ასათიანი, ქინქარაული, ი. შენგელია, გაბიდაური, ბაჯელიძე, კაკაშვილი (ივეჩიანი 75), ფირცხალაიშვილი, კ. მეტრეველი
სათადარიგონი: გაბელია; თ. ჩხაიძე, ფურცელაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ფრანგიშვილი (73)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 22-17; კუთხური: 7-1; კარისკენ დარტყმა: 2-1; კარში დარტყმა: 2-1; თამაშგარე: 2-4

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

„ჩვენთვის უპრინციპულესი მატჩია და წყალტუბოშიც საომრად მივდივართ. ვეცდებით მოვიგოთ" — უთხრა „სარბიელს" ზეექვსეულში დასამკვიდრებლად მებრძოლი „მერანის" თავკაცმა ოთარ გაბელიამ. მერე და რა? ესტუმრნენ ავჭალელები წყალტუბოს და იქიდან ხელცარიელნი გაბრუნდნენ. არ გამართლდა მწვრთნელის ნათქვამი. „მერანმა" ვერაფერი მოუხერხა ჩემპიონატის აუტსაიდერს. მეტიც, საოცრად უფეროდ ითამაშა და საკადრისად დაისაჯა. გაბელია მატჩის შემდეგ ჩვეულად ცხარობდა, მარცხში არბიტრს ადანაშაულებდა. აბა, რა გითხრათ, ამბიციური გუნდი რომ მაჩანჩალას მთელი თამაშის განმავლობაში ვერაფერს დააკლებს, ერთხელაც ვერ შეუტევს ხეირიანად, განა მსაჯის ბრალია? უშეცდომო მოედანზე არავინაა, მაგრამ შილაკაძეს და მის დამხმარეებს გუშინწინ თამაში არ წაუხდენიათ.

პირველ ტაიმში ძილისმომგვრელი სანახაობა იყო. მართალია, მეტოქეებს ბურთაობაში ქარი უშლიდათ ხელს, მაგრამ დუნე თამაში მარტო ამით არ აიხსნებოდა. გუნდები ზედმეტად ფრთხილობდნენ, გამწვავებას ერიდებოდნენ და, აქედან გამომდინარე, შეტევებისთვის იშვიათად იცლიდნენ. შესვენებამდე მეტნაკლებად სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. ბაჯელიძემ მარჯვნიდან ჩააწოდა კარის გასწვრივ, ფირცხალაიშვილმა ახლო კუთხესთან დასწრებაზე თავური შეაგება ბურთს, ოღონდ მიზანში ვერ მოახვედრა, როგორც ვთქვით, სულ ეს იყო, პირველი 45 წუთი ერთობ უინტერესო გამოდგა.

დიდი ბედენა არც მეორე ნახევარი ყოფილა, თუმც სანახაობრივად ცოტა კი სჯობდა. ჩემპიონატში რვა თვის მოუგებელმა წყალტუბოელებმა თამაშის განახლებისთანავე რამდენიმე იერიში მოიტანეს ნაჭყეპიას კარზე. სტუმრები ჯერ კოპალიანის თავურს გადაურჩნენ, მერე იმავე კოპალიანმა სახიფათოდ ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში და ვაჩიბერაძეს მართებდა გატანა, თუმც ბურთს დასარტყმელად ვერ მისწვდა. მასპინძელთა გამოცოცხლებამ მაინც მალე გამოიღო ნაყოფი. ავჭალელები დაცვის მარჯვენა ფლანგზე დაჯარიმდნენ. 35 მეტრიდან კარში დარტყმას თითქოს აზრი არ ჰქონდა, მაგრამ კახა ჯანაშიამ სცადა და, „ჯერ მცველებმა, მერე ნაჭყეპიამაც ბურთს თვალიდა გააყოლეს და ისიც ბადეში გაეხვია.

გაშვებულმა სტუმრებსაც უბიძგა გააქტიურებისაკენ. „მერანმა" თამაშის გადასარჩენად გაიწია, მაგრამ წყალტუბოელთა დაცვის გასარღვევად ძალა არ ეყო. ნახევარმცველებისგან საჭირო დახმარების გარეშე წინ გამწესებულ მეტრეველს და ფირცხალაიშვილს აშკარად უჭირდათ მოვალეობის შესრულება. მართალია, საფინალომდე 15 წუთით ადრე გაბელიამ მესამე ფორვარდი ივეჩიანიც შეუშვა მოედანზე, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. „მერანის" თავდასხმის სისუსტეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ შესვენების შემდეგაც სტუმრები სახიფათოდ ერთადერთხელ დაემუქრნენ მეტოქის კარს, როცა ფირცხალაიშვილის დარტყმულზე ბოლოკიამ იყოჩაღა. წყალტუბოელი მეკარე ერთხელ, ბოლო წუთზე შეცდა გამოსვლაძე და კინაღამ დაისაჯა...

„სამგურალმა" მეტად საჭირო ქულები შემატა საკუთარ აქტივს. „მერანმა" კი... უნდა ვივარაუდოთ, ავჭალელები მაინც შეინარჩუნებენ ზეექვსეულში ადგილს, ოღონდ ასეთი თამაშით იქ ვერაფერს გახდებიან.

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

არმინია 3:2 ფიურტი

**იტალია**

სერია B. XXVII ტური

მოდენა 1:1 კოზენცა

სერია C1/a. XXVI ტური

პადოვა 0:2 ლივორნო

**პორტუგალია**

პირველი ლიგა. XXVI ტური

ვიმარაეში 1:3 მარიტიმუ

**დანია**

XXI ტური

ოლბორგი 2:1 აკადემისკი

**ვაცხადებთ კონკურსს**

საფეხბურთო კლუბის
ემბლემისა და ფორმის დიზაინის შესაქმნელად.
საუკეთესო ვარიანტის ავტორი დაჯილდოვდება
**ფულადი პრემიით**

კონკურსში სამონაწილეოდ გამოგვეხმაურეთ ტელეფონებზე:
39 00 98, 8 99 55 36 93

**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით. ტელ.: 60-21-23

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 000). 10 მარტი. 15 საათი

## სიონი 1:0 ბათუმი

1:0 ხუჭუა (16)

სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, კარიაული, ა. გოდერძიშვილი, ნინუა, ხუჭუა, მოსეშვილი (მინაშვილი 81), ბ. შენგელია (მინდიაშვილი 55), გაბისკირია (შაკიაშვილი 88), გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი, მ. გოგოლაძე, ჩაგელიშვილი, ლ. ამზიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ბათუმი: ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, ჩიჩუა, ქაცარავა (აფხაზავა 64), ხუჯაძე, დ. ჯანაშია, დარჩიძე, თურმანიძე, მაჭუტაძე, ტულუში
სათადარიგონი: ბალაძე, დ. ბოლქვაძე, ზ. გვაზავა, ბეჟანიძე, გ. ჩხაიძე, რომანაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: გაბისკირია (71), ხუჯაძე (76), შაკიაშვილი (90)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე, ა. მეშკოვი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 15-10; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 2-4; თამაშგარე: 5-2

# ფრთანაკლული ვიყავ განა

ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან

**ქომაგი** ჯერ წესიერადაც არ მოკალათებულიყო, სტუმრებმა ვოლკოვის რეაქცია რომ შეამოწმეს. ამით ბათუმელებმა უმალ აგრძნობინეს მასპინძლებს, გრძელი გზა ტყუილად არ გამოგვივლიაო.


ბოლნისელებმა ავთანდილ ორდინიძეს საქმეც გაურჩიეს

„სიონი“ მალევე მოეგო გონს და თავისი თამაშის გაჩაღება შეძლო კიდეც. თემურ მახარაძემ მთავარი როლის შესრულება მოსეშვილს დაავალა, ვინც შეტევის მარცხენა ფლანგზე იყო გამწესებული. ბოლნისელებმა ცენტრიდან მეტოქის შეწუხებას წაუყრუეს და ფრთების გამოყენება ამჯობინეს. მათი ორი ფორვარდი — ბესიკ შენგელია და გიორგი ქორიძე — უფრო განზე იწევდა, ვიდრე შუაში. ბათუმელთა დაცვა იწელებოდა და მის გაწყვეტას უკვე ხუჭუა და გაბისკირია საშუალო მანძილიდან დარტყმებით ცდილობდნენ. აქვე ვთქვათ მოსეშვილ — ქაცარავას მინი-დუელზე, რომელშიც მასპინძელმა მეურვე აშკარად გააწვალა. სისწრაფით სჯობნიდა, ფინტებით აბრუებდა, კარის წინაც პასებს აწვდიდა. მოსეშვილის ერთ-ერთი ასეთი მცდელობა მეთექვსმეტე წუთზე გოლით დასრულდა. ხუჭუა საჯარიმოში ჩაწოდებულს საჭირო ადგილზე დაუხვდა და ბურთი ჭანტურიას კარში ჩაახუჭუჭა.

თამაში საშუალოზე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, სტუმრები გამოცოცხლდნენ და გაშვებული გოლიდან ხუთიოდ წუთში გათანაბრებაც შეეძლოთ. საჯარიმოში ჯანაშიამ ბურთი ჭკვიანურად გაატარა, უკან ჩასაფრებულმა მაჭუტაძემ კარში კი დაჰკრა, მაგრამ მცველი გადაელობა და ვითარება განმუხტა. შეტევის განვითარების სისწრაფეში ზღვისპირელები მეტოქეს არ ჩამორჩებოდნენ. აი, ბოლო პასი კი უკვე აღარ გამოსდიოდათ. ფორვარდებს, ჯანაშიას და მაჭუტაძეს, ხშირად უკან ამოსვლა უწევდათ. ფლანგები კი აშკარად მასპინძლებისა სჯობდა და ამიტომ ბათუმელთა ფრთები მეტწილად დაცვით იყო დაკავებული. ეს უფრო გახლდათ მიზეზი იმისა, რომ სტუმართა შეტევებს ბოლო ფაზაში სიმწვავე აკლდა.


ბახვა მოსეშვილის (№11) გამკლავება „ბათუმის“ მცველებს და მეკარეს უჭირდათ

ხშირად ფეხბურთელებს მინდვრის საფარი უშლიდათ ხელს. მაგალითად, ხუჭუამ ნახევარი მინდორი გადასერა და მარცხნიდან გაბისკირიას „ხონჩით მიართვა“ ბურთი. გაბისკირიამ კი მოიქნია დასარტყმელად, მაგრამ ბურთი ცუდად გაეხუმრა, ფეხზე გადაახტა.

ტაიმის შუაწელში ბათუმელებმა დაახლოებით ათი წუთით შეძლეს მასპინძელთა ნახევარზე დამკვიდრება, თუმცა ხეირს ვერაფერს გამორჩნენ. ბოლნისელი სიდამონიძე ხმამაღლობდა და თავისიანებს დაცვის შედუღაბებაში თავკაცობდა. თან „სიონმა“ ორჯერ კონტრშეტევითაც უჩხვლიტა ჭანტურიას კარს. ჯერ ქორიძემ დალანდა წინ გამოსული სტუმართა მეკარე და სადღაც 35 მეტრიდან კინალამ დასაჯა, მერე კი ყველგანმყოფმა ხუჭუამ მოსეშვილი შეატოვა ჭანტურიას, ამჯერად მეკარემ ივაჟკაცა და არ გაატანინა.

მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რომ ზღვისპირელთა გუნდში პასის სიზუსტის პროცენტულმა მაჩვენებელმა მკვეთრად იმატა. ამის ხარჯზე მასპინძელთა კართან საკმაოდ საგოლე მომენტები შეიქმნა. ჯერ კუთხურიდან ჩაწოდებული და მაჭუტაძის მიერ კარში დარტყმული მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა, მერე ისევ მაჭუტაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა. რატომღაც პაატამ იჩქარა და სცადა, ერთი შეხებითვე ბურთი ვოლკოვისთვის გადაეგდო თავზე, მაგრამ არ გამოუვიდა. გალაღებულმა ბათუმელებმა ყურადღება მოადუნეს და ბესო შენგელიამ ქორიძეს ბურთი საჯარიმოში ფეხზე დაასვა. მან ვერ მოათვინიერა მრგვალი საგანი, არადა, კარიდან 5-6 მეტრში იდგა და ხელსაც არავინ უშლიდა. ყველაზე რეალური მომენტი კი 74-ე წუთზე მასპინძელთა კართან შეიქმნა. პაპიძემ ბურთი საკუთარ საჯარიმოში ვერ მოარჯულა და შეცვლაზე შესულმა აფხაზავამ ხელის გაწვდენაზე მყოფ ვოლკოვს დუელი ვერ მოუგო.

შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა იძალეს და უმეტესწილად ვითარებასაც ისინი აკონტროლებდნენ. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ტულუშმა საჯარიმოს მარცხენა ხაზიდან სამ მცველს შორის ბურთიანად გაძრომა მოახერხა, ბოლო მცველთან შეხებისას კი დაეცა. პენალტი? თუმცა ბოლნისში? ბოლო წამებზე იქ, ალბათ, თვით ეშმაკსაც გაუჭირდება თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მასპინძელთა კარში.

# ქარის მოტანილი მეტალურგმა წაიღო

## ერთ მუშტად შეკრულ ზესტაფონს წინ მიუძღვება ზვიადი

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 500 (ტევადობა 22 000). 10 მარტი. 15 საათი

## გურია 0:3 მეტალურგი

0:1 ენდელაძე (44), 0:2 კრავეიშვილი (68), 0:3 ენდელაძე (86)

გურია: ჩომახიძე, ქიქავა (გიორგაძე 75), განევი, ჟვანია, ფაცურია (გურამ იმნაიშვილი 64), ხუნაშვილი, მ. სალუქვაძე, კიკაჩეიშვილი (ჩხარტიშვილი 58), ლ. ჩხაიძე, ნაროუშვილი, გ. ბაბუნაშვილი
სათადარიგონი: ქადიძე, თ. გოგიჩაიშვილი, გალოგრე
მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი

მეტალურგი: ა. ლაბაძე, მემარნიშვილი, ბაქრაძე, გაბრიჭიძე, მაღლაკელიძე, კობესაშვილი (ვარდიაშვილი 75), მერებაშვილი, კაციაშვილი, სულაკაძე (გურეშიძე 85), ენდელაძე, კრავეიშვილი (ორმოცაძე 81)
სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ჭუმბურიძე, ცნობილაძე
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

გაფრთხილება: გაბრიჭიძე (41)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ყიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

**ბოლო წლებია,** კვირას ლანჩხუთში დაპირისპირებული კლუბების გზები არაერთხელ გადაჯაჭვულა. ფეხბურთელთა მიგრაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამათ შორის. ჯერ იყო და თავის დროზე „მეტალურგთა“ ძირითადმა ბირთვმა ლანჩხუთს მიაშურა და „გურიას“ უმაღლეს ლიგაში გადასვლაში ლომის წილი დაიდო. წლეულს კი პირიქით მოხდა, რაც ოთხი ზესტაფონელი ფეხბურთელის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებით გამოიხატა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სატურნირო ვითარება მოასწავებდა მძაფრ ბრძოლას, მაგრამ რაღა ბრძოლა, როცა გურულებმა ისე წააგეს, ეჭვი არავის შეპარვია.

ამ თამაშიდან გამომდინარე, „მეტალურგის“ გაძლიერებაზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. თუმც ისიც ცხადია, რომ იმერლებს ასე იოლად კარგა ხანია, არ მოუგიათ. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გახდა ნათელი მათი უპირატესობა, როცა მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის უნარიც დაეკარგათ.

აგერ, მესამე თამაშია, „გურიას“ გოლის გატანა ვერ მოუხერხებია. თუ გავითვალისწინებთ იმ ყოვლად უსუსურ შემტევ პოტენციალს, რომელიც მას გააჩნია, საკვირველიც არაფერია. სულ ორჯერ მიეცათ რამაზ ფირცხალაიშვილის შეგირდებს გატანის მეტნაკლებად რეალური შანსი, მაგრამ აქედან ვერაფერი მოიმკეს.

მეტალურგები, გაცილებით აქტიურნი ჩანდნენ და პირველივე წუთებიდანვე შეეცადნენ ანგარიშის გახსნას, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოახერხეს. დროის ამ მონაკვეთში ხიფათი ძირითადად გურულების კართან იქმნებოდა, მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც საპირისპირო მხარეს შექმნილ მომენტს ეთქმოდა. ბაბუნაშვილი სტუმარ მცველს სისწრაფის ხარჯზე გასცდა და მარცხნიდან საჯარიმოში მარტო შესულს პირისპირ შეყრილ ლაბაძისთვის უნდა გაეტანა კიდეც, თუმც გამოუცდელობამ დაალალატა და უხეიროდ დარტყმული მეკარის იოლი ლუკმა შეიქნა.

სტუმართაგან მთელი ორი ტაიმის განმავლობაში ყველაზე უფრო ვეტერანი ზვიად ენდელაძე გამოირჩეოდა. ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელის, კრავეიშვილის ოდნავ უკან მოთამაშე ენდელაძემ ბევრი იშრომ-იღვაწა, პასებიც ბლომად არიგა და არც ჩვეული ხელობა — მეგოლეობა დაივიწყა. სწორედ მისმა დიდმა გამოცდილებამ შვა პირველი გოლი. კობესაშვილმა შორეული პასით დაცვა გაარღვია და ზვიადი მარტო დაიძრა კარისკენ. ძლიერმა ქარმა გურულთა მეკარე შეაცდინა — კარიდან გამოსულმა ბურთს ვერ მიუსწრო და ვერც მომხვდურის შეჩერება შეძლო. ენდელაძემ მეკარე კი მოატყუა, მაგრამ ბურთი თითქოს შორს გაექცა და მახვილი კუთხიდან გვარიანი მანძილით დაშორებულმა დაარტყა. მიუხედავად ამისა, დარტყმა უნაკლო გამოდგა.


ზვიად ენდელაძემ (მარცხნივ) ყოფილ თანაგუნდელებს ორჯერ გაუტანა და კარიერაში 97 გოლი მოუგროვდა

ამ გოლმა ისე დამთრგუნველად იმოქმედა ისედაც უსისტემოდ მოთამაშე გურულებზე, რომ მეორე ტაიმი სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა. ჩომახიძის კართან ხიფათმაც გაცილებით იმატა და მასპინძელთა ბედად გოლი მხოლოდ ორჯერ გავიდა, თორემ უფრო დიდი სხვაობა გარდაუვალი ჩანდა. ჯერ კაციაშვილმა გაიანავარდა მარცხენა ფლანგზე და კარის გასწვრივაც დაბალი პასი გააკეთა. საჯარიმოში შექმნილი არეულობით კი კრავეიშვილმა ისარგებლა და მატჩს ყოველგვარი ინტრიგა მოუსპო.

ბოლო წუთებში კვლავ ენდელაძემ ივარგა. ვარდიაშვილის დარტყმულს და მეკარის მოგერიებულს დროზე მიუსწრო და ანგარიშში სამბურთიანი სხვაობა დააფიქსირა. „მეტალურგი“ ამ მნიშვნელოვანი სამი ქულით წინ კი წაიწია, მაგრამ ჯერაც მძაფრი ბრძოლა ელის ლიგაში დასარჩენად.

აი, „გურიას“ ბედი კი უკვე გადაწყვეტილი ჩანს. ისეთი გუნდის პერსპექტივაზე ლაპარაკი, რომელიც სტადიონზე მქროლავი ქარის იმედზეა, აქაოდა, მეტოქე მცველები ეგებ როგორმე შეცდნენო, ცოტა არ იყოს, რთულია. ისე კი, კვირას ქარი უდავოდ ძლიერის მხარეს იყო. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს გამოყენება სჭირდება და ამის შნო ზესტაფონლებს აღმოაჩნდათ.

# გორდა გათამამებულა
## ცხადაძემ შეგირდებს მიუღწერი გაახსენა

თბილისი. 10 მარტი. ლოკომოტივი. 15 საათი. 1 500 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 გორდა

1:0 დავითაშვილი (55)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ზ. ლაცაბიძე, ცხადაძე, მაჩხაია (არუდაშვილი 75), ბალაშვილი, გელა ქორიძე, სირაძე, ონიანი (დათუაძე 46), კ. გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (ქარდავა 83), დავითაშვილი
სათადარიგონი: ივარდავა; დავითნიძე, ბერელიძე, რუსია
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გორდა:** ბათიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ბერიძე, ჭანკოტაძე, მონასელიძე, ებრალიძე, ზურაბ ლაბაძე, მელაძე (ზვიად ლაბაძე 76), ჯელაძე (კიტეიშვილი 84), დ. გოდერძიშვილი (რეხვიაშვილი 70), ხუროძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ლ. ხმალაძე, ბუკია
**მწვრთნელი:** თენგიზ კაცია

**გაფრთხილება:** ჭანკოტაძე (45), გოგიჩაიშვილი (48), მელაძე (56)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. კოკაია

ჯარიმა: 9-12; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 2-1; კარში დარტყმა: 4-1; თამაშგარე: 5-0

**კობა ინასარიძე**

**გააკვირვეს** რუსთაველებმა „ლოკომოტივის" მოთამაშე-მწვრთნელი კახა ცხადაძე. „ლოკომოტივთან" თბილისში ქუთაისის „ტორპედო" და სხვა ძლიერი გუნდები არ თამაშობენ ორი თავდამსხმელითა და შეტევაზე დაგეშილი ნახევარმცველებით.

— „ეს გაბედული ნაბიჯია, მისასალმებელი. არ ველოდი, „გორდა" თბილისში თუ ასე თამამად ითამაშებდა" — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძემ, რომელიც თავის ჩათვლით სტუმართა ფორვარდებს, ჩვეულებისამებრ, სამი მცველით დაუპირისპირდა და შეიძლება ითქვას, მისმა გუნდმა იოლადაც გაიმარჯვა. მწვრთნელი ასევე ჩვეულებისამებრ, უამრავი საგოლე მომენტის გამოუყენებლობაზეც ალაპარაკდა.

მასპინძელ ფორვარდებს, რომლებსაც „გორდას" შეუთამაშებელი დაცვის ხაზის ძლევა მაინცდამაინც არ უჭირდათ, ძალიან ბევრი რეალური საგოლე მომენტი შეექმნათ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, კარის ჩარჩოში სულ ორჯერ მოარტყეს, რომელთაგანაც ერთმა გაამარჯვებინათ კიდეც. მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, დავითაშვილმა, ვინც ბევრი თავსატეხი გაუჩინა სტუმრებს, სწორედაც რომ მცველების შეუთამაშებლობით ისარგებლა, სამ რუსთაველს შორის გაისეირნა და ცაციამ მარჯვენა ფეხით დაახლოებით საჯარიმოს წინა ხაზიდან ბათიაშვილს დაბალ კუთხეში გაუტანა. აქამდე, იგივე დავითაშვილმა, კაიდარაშვილმა, ქორიძემ მატჩში უდავოდ საუკეთესო გოგიჩაიშვილის შექმნილი ნაღდი საგოლე მომენტები გააცუდეს. რუსთაველები კი ამათ შემყურენი იყვნენ და მიუხედავად თავდამსხმელთა რაოდენობისა, ლომაიას კარს ერთი-ორჯერ თუ მიუახლოვდნენ. მათ აგრესიულობა აკლდათ, რაც ნახევარმცველთა სუსტი თამაშითაც იყო განპირობებული. მასპინძელთა შუა ხაზმა სტუმრები თავიდანვე დაჯაბნა, ბურთი რუსთაველ თავდამსხმელთა ახალ დუეტამდე იშვიათად მიდიოდა. თუმც მაშინაც კი, როცა ბურთს გოდერძიშვილი და ხუროძე მოიგდებდნენ, გამოცდილ ცხადაძესა და მის შეგირდ-პარტნიორებს ვერაფერს აკლებდნენ. აშკარაა, „გორდა", რომელსაც ჩემპიონატის განახლებამდე რამდენიმე ფეხბურთელი დაემატა, შეუთამაშებელია, ფეხბურთელებს ჯერ ერთმანეთის ბოლომდე ვერ გაუგიათ. ეს მწვრთნელმა თენგიზ კაციამაც აღნიშნა პრესკონფერენციაზე და ისიც დაამატა, ერთი კარგი გამთამაშებელი გვჭირდებაო. ვარლამ კილასონიაზე იყო ლაპარაკი, რომლის გუნდში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონია მწვრთნელს, მაგრამ ტრავმის გამო ვარლამს თამაში არ შესძლებია. ისე, კილასონიასნაირი ფეხბურთელი არც „ლოკომოტივს" აწყენდა. „გორდასთანაც" კარგად გამოჩნდა, რომ ანჩაბაძე ამ გუნდისთვის დიდი ძალა ყოფილა. თამაშის დამლაგებელი, პასების გამნაწილებელი „ლოკომოტივს" ჯერ არავინ ჰყავს და ამის გამო გოგიჩაიშვილს უწევს შეტევის ორგანიზება, რასაც თითქმის ყოველთვის ფლანგიდან აკეთებს. თანაც, მეტოქის შეტევისას მას ზონის გადაკეტვაც ევალება და სხვებზე მეტად იტვირთება. მიუხედავად ამისა, 31 წლის ფეხბურთელი კვირას მოედანზე გამორჩეული იყო.

***თენგიზ კაცია, „გორდას" მწვრთნელი:***

— „გორდაში" ბევრი ახალი ფეხბურთელია და მათ ერთმანეთთან უკეთ შესაწყობად საკმარისი დრო არ გვქონდა. ნახევარდაცვა და თავდასხმა დღეს, ფაქტობრივად, გაწყვეტილი იყო, ბურთი ფორვარდებამდე ვერ აღწევდა. წავაგეთ, მაგრამ ბიჭებით მაინც კმაყოფილი ვარ, თუმც უკეთესადაც შეგვეძლო გვეთამაშა. „ლოკომოტივი" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ისე ვითამაშეთ, რისი საშუალებაც მეტოქემ მოგვცა.

***კახა ცხადაძე, „ლოკომოტივის" მოთამაშე-მწვრთნელი:***

— „გორდა" კარგი გუნდია. მართალია, მთელი თამაში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც შედეგითაც გამოიხატა, მაგრამ შესაძლო იყო, ამდენი მომენტის გამოუყენებლობის გამო დავსჯილიყავით. ფეხბურთელებს პროფესიონალიზმი აკლიათ, საქმეს ზერელედ ეკიდებიან. ნაკლის გამოსწორება როგორ არ შეიძლება, დარჩნენ ვარჯიშების შემდეგ. გერდ მიულერი უდიდესი ფეხბურთელი იყო და ვარჯიშის შემდეგ მიზნის გასასწორებლად ცარიელ კარში ურტყამდა ბურთს. ბავშვობაში მეც დილმის ბაზაზე მარტო ვვარჯიშობდი ნაკლის გამოსასწორებლად. გუნდის ვარჯიშისას თავდამსხმელს კარში ზუსტად დარტყმას ვერ ვასწავლი, საქმე სხვაც ბევრი მაქვს. რა ქნას მეტი გოგიჩაიშვილმა, ბურთს ლამის კარის ხაზზე აგორებს, გატანით კი თავდამსხმელებს ვერ გააქვთ. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ გამოცოცხლებულია დავითაშვილი, დღეს მისი თამაშით კმაყოფილი ვარ თუ ცალკეულ ეპიზოდებს არ ვიგულისხმებთ. მთლიანად გუნდის თამაშმაც დამაკმაყოფილა.



სულიკო დავითაშვილმა რუსთაველთა მეკარე ზურაბ ბათიაშვილს ერთხელ აჯობა

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 11 - | ციმციმაძე | კოლხეთი |
| | პოროშინი | ტორპედო |
| 10 - | დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 9 - | ქუთათელაძე | ტორპედო |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | ბობოხიძე | დინამო |
| 8 - | აშვეთია | ტორპედო |
| | გაგუა | მერანი |
| | დათვაძე | ლოკომოტივი |

**უმაღლესი ლიგა**

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 20 | 15 | 3 | 2 | 48:12 | 36 | 48 | 10 | 8 | 2 | 0 | 27:6 | 21 | 26 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:6 | 15 | 22 |
| 2 | ლოკომოტივი | 20 | 14 | 3 | 3 | 35:10 | 25 | 45 | 10 | 8 | 1 | 1 | 19:5 | 14 | 25 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:5 | 11 | 20 |
| 3 | ბათუმი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:16 | 12 | 34 | 10 | 9 | 0 | 1 | 21:5 | 16 | 27 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:11 | -4 | 7 |
| 4 | კოლხეთი | 20 | 10 | 4 | 6 | 31:26 | 5 | 34 | 10 | 8 | 1 | 1 | 24:11 | 13 | 25 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 9 |
| 5 | მერანი | 20 | 10 | 2 | 8 | 32:26 | 6 | 32 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:7 | 13 | 22 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | -7 | 10 |
| 6 | დინამო | 20 | 9 | 5 | 6 | 33:19 | 14 | 32 | 10 | 4 | 4 | 2 | 21:11 | 10 | 16 | 10 | 5 | 1 | 4 | 12:8 | 4 | 16 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 6 | 7 | 27:29 | -2 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 7:10 | -3 | 14 | 10 | 4 | 1 | 5 | 20:19 | 1 | 13 |
| 8 | სიონი | 20 | 7 | 4 | 9 | 17:25 | -8 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 13:11 | 2 | 19 | 10 | 1 | 3 | 6 | 4:14 | -10 | 6 |
| 9 | მეტალურგი | 20 | 3 | 7 | 10 | 13:34 | -21 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:14 | -8 | 9 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:20 | -13 | 7 |
| 10 | გურია | 20 | 3 | 6 | 11 | 14:37 | -23 | 15 | 10 | 2 | 4 | 4 | 6:14 | -8 | 10 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:23 | -15 | 5 |
| 11 | გორდა | 20 | 3 | 4 | 13 | 16:36 | -20 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:16 | -6 | 10 | 10 | 0 | 3 | 7 | 6:20 | -14 | 3 |
| 12 | სამგურალი | 20 | 3 | 4 | 13 | 15:39 | -24 | 13 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:26 | -23 | 1 |

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

# 20 ტური
# გაყინული მშვიდობა

გორი
9 მარტი
15.40 საათი
ცენტრალური
300 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:2 მილანი

0:1 სამხარაძე (3), 1:1, 2:1 ხორგუაშვილი (6, 30), 2:2 სამხარაძე (44)

**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, საყვარელიძე (გვირჯიშვილი 46), ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე (ბ. ჩიტაია 72), დ. ჯობაძე, მ. სომხიშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; მ. ბურნაძე, რაზმაძე, არუთინიანი, გოგინაშვილი

**მილანი:** ნაცოფია, მეტონიძე, ტარულაშვილი, მ. სამხარაძე, ქარჩავა, ვარამიშვილი (მედოევი 56), გამცემლიძე, დიმიტრიშვილი (ჩიტაური 46), მოსიაშვილი (მებონია 80), ბარამიძე, ქალიაშვილი
სათადარიგონი: გრძელიძე; ეგაძე, დ. იაკობიძე

**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (32), ჩიტაური (67), გამცემლიძე (84), ქალიაშვილი (89)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ჯ. ზეინკლიშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**შაბათს** ადრიანად გაილო გორის „ცენტრალურის" ჭიშკარი. სტადიონზე კრება ჩატარდა და გორელებმა აგვისტოში, ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები აირჩიეს. შიდა ქართლის სამი ხმა ასე განაწილდა — ერთი რეგიონის ფედერაციის თავკაცს, გენერალ-მაიორ ნოდარ დალაქიშვილს ერგო, მეორე — „დილას" პრეზიდენტ გელა ჩხეიძეს, ხოლო მესამე კი — „ცხინვალის" ხელმძღვანელ ფაცო (ზაქარია) ნასუაშვილს.

...ამასობაში ბუნებამ თავისებური ჯანყი მოაწყო და ძვალ-რბილში გამჭოლ ქარიან სიცივეს თოვლიც გვარიანი მოაყოლა. ნელ-ნელა ქარიც მძლავრობდა და თოვლიც. ამინდი დაიჭირა ისეთი, რომ ძაღლს არ გააგდებდნენ გარეთ.

ოქმის შევსების დროს რომ მოაწია და სტუმრები არ ჩანდნენ, შეწუხდნენ მასპინძლები, თუმც თბილისიდან სატელეფონო ზარმაც არ დააყოვნა — წნორელებს ავტობუსი გაფუჭებიათ, ცოტას იგვიანებენ და დაელოდეთო — ასეთი იყო ფედერაციის მითითება. არ გაჯიქებულან გორელები, მორჩილად დაუწყეს ლოდინი მგზავრობაში გაწვალებულ წნორელებს.

სამი საათი სრულდებოდა, „მილანი" „ცენტრალურს" რომ მოადგა, ოქმის შევსებამ, მოთელვამ და თამაშისთვის მზადებამ ნახევარ საათზე მეტი დრო წაიღო და თამაშიც დაიწყო. ბურთის გაგორება და სტუმართა შეტევაში გაქცევა ერთი იყო. მალევე იხეირეს წნორელებმა და მასპინძელთა მცველების შეცდომის შემდეგ სოლოლაშვილთან პირისპირ დარჩენილმა სამხარაძემ მეკარეს ახლო ცხრიანში გაუტანა.

დაწინაურებულმა სტუმარმა ისევ მეტოქის კარისკენ გაიწია, თუმც გაშვებულმა გოლმა „დილაც" მალე გამოაფხიზლა და ანგარიშიც გაქვითა. გამოცდილმა ხორგუაშვილმა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეუშვირა.

„მილანი" დაცვაში მთლად ყოჩაღად ვერ იყო და ხორგუაშვილმა, რომელიც მომდევნო ოცი წუთი სტუმართა საჯარიმოში ბატონობდა, „დილა" დააწინაურა. თავდამსხმელის თავურს ნაყოფიამ ვერაფერი მოუხერხა.

მასპინძლებმა მარწუხებს მოუჭირეს, სტუმართა კართან საგოლე მომენტები მომრავლდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს გოლი „მილანმა" გაიტანა. მირზა სამხარაძემ საჯარიმოს ხაზის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს მარჯვედ მოუქნია და ერთი შეხებით სოლოლაშვილის კარისკენ გაგზავნა. გორელთა მეკარე რაღაცნაირად უხერხულად დაუხვდა არცთუ ძლიერად დარტყმულს. ბურთი ხელებს შუა გაუსხლტა და კარში შევარდა.

მეორე ტაიმში „დილა" მეტს უტევდა. საგოლე მომენტებიც შექმნა, მაგრამ უკანდახეულ და კონტრშეტევებზე მოთამაშე „მილანს" გოლი ვერ გაუტანა. სტუმრებიც თავისებურად ცდილობდნენ, წარმატებისთვის მიეღწიათ, თუმც ძალიან ხშირად რჩებოდნენ თამაშგარედ.

...ციოდა, ქარი ქროდა და თოვდა 9 მარტს გორში. სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენმა კი ფეხბურთელებს არა და „ცენტრალურზე" შეკრებილებს სულზე მოგვისწრო. თამაში ცოტა ხანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, სიცივისგან სული გაგვძვრებოდა.

**ცხინვალი 0:3 ლოკომოტივი 3**

**თორი 0:3 ხობი**

**დინამო 2 3:0 სამტრედია**

**მერანი 2 0:3 ქობულეთი**

**ლაზიკა 0:3 თსუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 20 | 13 | 4 | 3 | 48:13 | 43 |
| თსუ | 20 | 13 | 3 | 4 | 36:12 | 42 |
| მილანი | 20 | 11 | 7 | 2 | 44:18 | 40 |
| ქობულეთი | 20 | 11 | 5 | 4 | 28:16 | 38 |
| ლოკომოტივი 3 | 20 | 10 | 6 | 4 | 35:20 | 36 |
| ცხინვალი | 20 | 10 | 3 | 7 | 38:28 | 33 |
| დინამო 2 | 20 | 9 | 1 | 10 | 21:22 | 28 |
| ლაზიკა | 20 | 6 | 4 | 10 | 24:37 | 22 |
| ხობი | 20 | 4 | 7 | 9 | 20:32 | 19 |
| მერანი 2 | 20 | 5 | 1 | 14 | 15:40 | 16 |
| სამტრედია | 20 | 3 | 4 | 13 | 14:39 | 13 |
| თორი | 20 | 2 | 1 | 17 | 16:62 | 7 |

„თორი" მოხსნილია ჩემპიონატიდან

საქართველოს 13 ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი წრე

**აღმოსავლეთი**

მეცხრამეტე ტური: მრეტები — ოლიმპიკი 1:2; მერანი 3 — ვიტ ჯორჯია 2 0:0; ლიახვი — ივერია 1:4; მცხეთა — დინამო 3 1:0; მაუდი — ხოოვეტი 2:0

ცხუმი — ალაზანი; ჭაბუკიანი — გორდა 2; ჯავახი — აკადემია და თბილისი — მესხეთი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 19 | 15 | 2 | 2 | 43:10 | 47 |
| ალაზანი | 18 | 13 | 2 | 3 | 48:18 | 41 |
| ივერია | 19 | 12 | 2 | 5 | 51:31 | 38 |
| ცხუმი | 18 | 11 | 4 | 3 | 45:15 | 37 |
| მაუდი | 19 | 11 | 3 | 5 | 27:15 | 36 |
| ოლიმპიკი | 19 | 10 | 4 | 5 | 41:22 | 34 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 6 | 4 | 40:17 | 33 |
| ჭაბუკიანი | 18 | 9 | 6 | 3 | 31:13 | 33 |
| ხოოვეტი | 19 | 10 | 0 | 9 | 38:28 | 30 |
| აკადემია | 18 | 8 | 6 | 4 | 29:21 | 30 |
| მესხეთი | 18 | 8 | 1 | 9 | 24:30 | 25 |
| ლიახვი | 18 | 8 | 1 | 9 | 26:33 | 25 |
| გორდა 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 27:29 | 19 |
| დინამო 3 | 19 | 4 | 6 | 11 | 23:28 | 18 |
| კრწანისი | 18 | 5 | 2 | 11 | 26:42 | 17 |
| თბილისი | 18 | 4 | 3 | 11 | 26:56 | 15 |
| მერანი 3 | 19 | 3 | 3 | 13 | 14:49 | 12 |
| მრეტები | 19 | 0 | 6 | 13 | 19:42 | 6 |
| ჯავახი | 18 | 0 | 1 | 17 | 17:93 | 1 |

დასავლეთ ზონაში მატჩები ამ უქმეებზე გაიმართება

ფირმების რეგისტრაცია ოფშორული კომპანიები რუსეთის ვიზები

მისამართი: „პირიმზე" მეორე სართული ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXVI ტური

**ზანქტ პაული 1:0 ფრაიბურგი**

1:0 პაჩინსკი (57)
ზანქტ პაული: ჰენცლერი, სტანისლავსკი, გიბსი, ჰელდი (ბერე 83), რანი, კინცი, ბიურგერი, იწრემანი (მარკაო 55), ბაირამოვიჩი, რაჩი (შაინმარდტი 89), პაჩინსკი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, კრუზე, ცხაიტიშვილი, კობიაშვილი, კონდე, ა. ცაიერი, სელიმი (დორნი 73), ვ. ბუჩი (რამდანე 62), ტანკო (კულიბალი 19), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: რაჩი, კინცი, კობიაშვილი, მიულერი, ცაიერი
გაძევება: რამდანე (78)
მსაჯი: მერკი
20 358 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 5:1 კიოლნი**

1:0 კლიმოვიჩი (4), 2:0 რაუ (7), 3:0 კლიმოვიჩი (18), 3:1 კრიიცი (45), 4:1 პეტროვი (62), 5:1 კარჰანი (77)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი (კრიგერი 30), ფრანცი, შნოორი, რაუ, აკონორი, კარჰანი, დ. მუნტიანუ, პონტე (კუჰბაუერი 72), გ. პეტროვი, კლიმოვიჩი (იუსკოვიაკი 75)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, ცელვეგერი (კრიიცი 24), სონგი, კულმანი, ბალიტში, ვოიგტი, ბარანეკი, შერცი (შპრინგერი 58), რაიხი, ლასლანდი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კრიიცი, ლასლანდი
მსაჯი: შიპელი
12 583 მაყურებელი

**ბაიერნი 2:1 მიუნხენი**

1:0 სერჯიო (72), 1:1 შტრანცლი (75), 2:1 ფინკე (90)
ტარნატმა ვერ გაიტანა პენალტი (31, ძელი)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლინკე, სფორცა, ტარნატი (კ. პიზარო 67), იერემისი, ფინკე, ჰარგრივსი, სანტა კრუზი (იანკერი 85), პ. სერჯიო, ელბერი (ციკლერი 85)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მიუნხენი: იენტი, ვოტავა, ბორიმიროვი, კურცი, ჰოფმერერი, შტრანცლი, ვიზინგერი (ელერსი 86), მ. ვაისენბერგერი (ჰესლერი 64), ბიროფკა, მაქსი, ბიურკი (შროტი 64)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: ელბერი, შტრანცლი, კურცი, ჰოფმერერი
მსაჯი: ბერგი
69 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:0 კოტბუსი**

1:0 ზე რობერტო (12), 2:0 ბერბატოვი (90)
კირსტენმა ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, ბ. შნაიდერი (ვოვკოვიჩი 90), რამელო, ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, კირსტენი (ბერბატოვი 61), ნოივილი (ბრდარიჩი 74)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ჰუჯეროვიჩი, ბეკი, რეზეკამმერი (ვაგრენეკი 58), აკრაპოვიჩი, კალუჟნი, მირიუტა, შრიოტერი, ჰელბიგი (იუნგნიკელი 85), რაისენბერგერი (ბრაზილია 58)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: რამელო, ჰუჯეროვიჩი, ჰელბიგი, პიპლიცა, და სილვა
მსაჯი: კრუგი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ნილსენი (10ს.კ.), 1:1 დედე (48ს.კ.), 2:1 ამოროზო (63პ), 3:1 კოლერი (77)
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი (ო. ადო 46), ვოირნსი, დედე, ევანილსონი, ოლისე, როიტერი, როსიცკი, ევერტონი (ოდონკორი 68), ამოროზო (მადუნი 78), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტში, მიუნხი, კორელი, ჰაუსვაილერი (დემო 72), ნილსენი (ვიტეჩეკი 15), ულიხი, აიდოო (მაიკელი 77), ვან ლენტი, ვან ჰუდტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ევანილსონი, როსიცკი, მიუნხი, პლეტში, აიდოო
მსაჯი: გაგელმანი
68 600 მაყურებელი

# ნევროპათოლოგიურ ბუნდესკლინიკაში მთავარი ექიმი ჰიცფელდია



ზანქტ პაული — ფრაიბურგი. იოჰენ კინცმა ფრაიბურგელებს წაუმაკრატელა, მაგრამ ვერ გაუტანა



ოტმარ ჰიცფელდი

**შალკე 2:1 შტუტგარტი**

1:0 ვალდოხი (60), 1:1 ადემარი (78), 2:1 სანდი (90)
შალკე: რეკი, უდე კამპუისი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი (ვერმანტი 80), ვან კერკჰოვენი, ტონი (ჰაიტო 72), მიოლერი, ბიომე, ასამოა (ჯლორჯევიჩი 84), აგალი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ვენცელი, ბორდონი, ჰ. გერბერი (მარკეში 46), ტოდტი (ტიფერტი 61), სოლდო, მაისნერი, გლები (კარნელი 88), ადემარი, განია
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: უდე კამპუისი, ტოდტი, ბორდონი, ტიფერტი
მსაჯი: კემლინგი
60 683 მაყურებელი

**ჰერტა 6:0 ჰამბურგი**

1:0 პრეეცი (40), 2:0 გოორი (44), 3:0 მარსელინიო (54), 4:0, 5:0, 6:0 გოორი (62, 85, 90)
ჰერტა: კირალი, ლაპაჩინსკი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, მარქსი (კონსტანტინიდისი 77), დარდაი, ბაინლიხი (ტრეჰოკი 83), მარსელინიო, გოორი, ალვეში, პრეეცი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰერცი (ბენჯამინი 35), ჰოოგმა, ჰოლერბახი, იუფფალუში, ვიკი, ალბერტცი, ანტარი, პრეგერი, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ვან ბურიკი, ბენჯამინი, ჰოლერბახი, ვიკი, ბენჯამინი
გაძევება: ბენჯამინი (88)
მსაჯი: შტრამპე
36 238 მაყურებელი

**ჰანზა 2:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 არვიდსონი (37), 1:1 კლოზე (72), 2:1 ლანცი (73)
ჰანზა: ბრიოტიგამი, ლანგე, იაკობსონი, ჰილი, ოსვალდი (ვიბრანი 46), ჰირში (შრიოდერი 70), ლანცი, მაული, რიდლევიჩი, დი სალვო, არვიდსონი (ბაიერლე 85)
მწვრთნელი: რალფ ვეპი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰენგენი, კნავსი, რიდლი, შტრასერი, ჰ. რამზი, ვესტი (პეტერსონი 46), ბასლერი, ხრისტოვი, ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: რამზი, ჰირში, შრიოდერი, რამზი, რიდლი, შტრასერი, კლოზე
გაძევება: რამზი (31)
მსაჯი: ვაინერი
15 800 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:4 ვერდერი**

0:1 ფრინგსი (6), 0:2, 0:3 აილტონი (21, 30), 0:4 სტალტერი (51)
სკრიპნიკმა ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)
ნიურნბერგი: კამპა, შტელე, კოში, ნიკლი, ლარსენი, სანე, ჰასლაკი, კრჟინოვეკი, მიხალკე, კაკაუ, რინკე
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, სკრიპნიკი, ტიკუზუ, ფ. ერნსტი, სტალტერი, ლისტეში (ბოროვსკი 69), ფრინგსი (მანინი 80), ბოდე (ბანოვიჩი 75), აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ნიკლი, ერნსტი
მსაჯი: კესლერი
24 500 მაყურებელი

აბა, დღევანდელ ფეხბურთში გასაკვირი რა უნდა იყოს, მაგრამ ბოლო წლების ბუნდესლიგა მართლაც საოცარი სიუჟეტით ვითარდება. კვანძის გამხსნელად კი ოტმარ ჰიცფელდის მეომარი გუნდი გვევლინება. ყველაფერი რაღაც ჰოლივუდურ ბოევიკს დაემსგავსა, თავიდან კეთილს რომ ჩაგრავენ და ბოლოს მაინც რომ იმარჯვებს ხოლმე. „ბაიერნი“ ზუსტად ასეთ გმირს განასახიერებს, ოღონდ კეთილია თუ ბოროტი, ვისთვის როგორ. უკვე რამდენჯერ მომხდარა, ჩემპიონი სხვა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ლუდის საზეიმო ჩანჩქერში ისევ ბაიერნელებს უბანავიათ.

„წლეულს „ბაიერნი“ უკვე ხუთჯერ ჩამოწერეს, მაგრამ თითქოს ფერფლიდან აღდგაო, ისევ ცოცხლობს“ — უკვირს „ლევერკუზენის“ მენეჯერ რაინერ კალმუნდს.

„მინდა ჩემპიონი „დორტმუნდი“ ან „ლევერკუზენი“ გახდეს — დასძენს გერმანული ფეხბურთის მწვრთნელ-ლეგენდა უდო ლატეკი — მაგრამ მგონი, პირველი ისევ „ბაიერნი“ იქნება. თუ ასე მოხდა, ჰიცფელდი ზედიზედ მეოთხე ტიტულს მოიგებს და ჩემს რეკორდსაც დაამხობს. რაღა დასამალია და, მიუნხენელებს მოწინააღმდეგეებზე მაგარი ნერვები აქვთ. სწორედ ამით სჯობნიან ყველას“.

„ბაიერნმა“, რომელიც თებერვალში მეექვსე ადგილამდეც დაქვეითდა და ლიდერს ცხრა ქულით ჩამორჩებოდა, ბოლო ოთხი თამაში მოიგო, მესამე საფეხურზე აცოცდა და მეთაურ „ლევერკუზენს“ სამი ქულაღა აშორებს. სამი ქულა კი, მოგეხსენებათ...

ჰიცფელდი ჯადო-კაცია, გუნდი ისევ ფეხზე დააყენა, მაგრამ ამაში უშუალო კონკურენტებიც უწყობენ ხელს. აი, „დორტმუნდმა“ კვირას ბოლო ხუთ ტურში პირველად გაიმარჯვა, „ლევერკუზენსაც“ ხან აციებს, ხანაც აცხელებს და ისე ჩანს, ბრძოლა თავიდან იწყება.

შაბათს, 195-ე მიუნხენურ დერბიში „ბაიერნმა“ „მიუნხენს“ 2:1 მოუგო. არადა, თავიდან „ლომები“ სჯობდნენ და ჰიცფელდის ბიჭებმა პენალტიც ვერ გაიტანეს, ტარნატმა ბურთი ძელს მოარტყა. ფორმალურ მასპინძლებს სხვადასხვა მიზეზით არ ჰყავდათ ეფენბერგი, კუფური, ლიზარაზუ (რომელიც მატჩისას ტრიბუნაზე მავან ლამაზმანს ეფერებოდა), შოლი, სალიჰამიჯიჩი და ძმები კოვაჩები, მაგრამ მაინც იძალეს. მთავარი ამბები ბოლოსკენ მოხდა. ჯერ პაულო სერჯიომ გაიტანა, მალევე სფორცამ თავის საჯარიმოში შტრანცლს აჩუქა ბურთი და ანგარიშიც გათანაბრდა, მაგრამ ხომ გახსოვთ ნერვების ამბავი, ჰოდა, ამ ნერვებმა მასპინძლები კიდევ ერთხელ გადაარჩინა — ბოლო წუთზე ფინკმა თავურით გამარჯვებისა შეაგდო და მერე ჟურნალისტებს უთხრა, ახლა კონკურენტები უფრო ანერვიულდებიან, ჩვენ კი, მგონი, ისევ ჩემპიონები გავხდებითო.

თუმცა ამ ტურში კონკურენტებმაც ივარგეს და ცხრილის პირველი ორეული უცვლელი დარჩა. „ბაიერს“ „კოტბუსთან“ ბევრი უნდა გაეტანა, მაგრამ მხოლოდ ორჯერ გაუღიმა ბედმა. დასაწყისშივე, რამელოს ჩაწოდებული ზე რობერტომ თავით შეაგდო, ბოლო წუთზე კი შეცვლაზე შესულმა ბულგარელმა ბერბატოვმა დასვა წერტილი.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ გლადბახელ სეხნიას 3:1 სძლია. საინტერესოა, რომ ამ თამაშში ორი ავტოგოლი გავიდა. ჯერ სტუმარი პეტერ ნილსენი ცდილობდა იან კოლერის დარტყმის შეჩერებას, მაგრამ საკუთარ კარში შეაგდო, მერე კი იგივე მასპინძელთა ბრაზილიელმა დედემ გააკეთა.

უქმეების გმირი კი „ჰერტა“ და მისი ბელგიელი ბარტ გოორი გახდნენ. ბერლინელებმა „ჰამბურგი“ 6:0 დაანგრიეს, აქედან ოთხი გოლი გოორისა იყო.

ვითარება [illegible] ცხრილის [illegible] და ჩვენთვის [illegible] ლობაში „ფრაიბურგი“ [illegible] ალო კონკურენტ „ზანქტ პაულისთან“ წაგების მერე გაბრაზებულმა ქომაგებმა ფრაიბურგელთა ავტობუსს ალყა შემოარტყეს და კარგა ხანს აღარ გაუშვეს: „ისინი ღელავენ და მართლებიც არიან, მაგრამ ჩვენ ამ ორმოდან თავის დაღწევას შევეცდებით“ — თქვა ფოლკერ ფინკემ.

ტყუილად არ ფრთხილობდა ფინკე, ზანქტელებმა წინა კვირაში დიდი ამბები დაატრიალეს და საშიშნი არიანო. მართლაც, დიტმარ დემუტის ბიჭებმა კინაღამ „დორტმუნდს“ მოუგეს, ახლა კი „ფრაიბურგთანაც“ თავგამოდებით იბრძოლეს, ერთთავად უტევდნენ და ერთის მეტი რომ ვერ გაიტანეს, ცალკე იღბლის, ცალკეც მათივე ფაცი-ფუცის ბრალია. ერთ ეპიზოდში კობიაშვილმა კარის ხაზიდანაც გამოიტანა ბურთი. ბოლო წუთები კი სტუმრებმა რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს, გაბრაზებული რამდანე ძალიან უხეშად მოექცა მოწინააღმდეგეს და სამართლიანადაც დაატოვებინეს მოედანი.

ახლა „ფრაიბურგი“ ბოლოსწინა „ზანქტ პაულის“ სამი ქულითღა უსწრებს და აბა, მათ გულშემატკივრებს ვინ გაამტყუნებს...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 26 | 16 | 5 | 5 | 61:31 | 30 | 53 | 13 | 11 | 1 | 1 | 37:10 | 27 | 34 | 13 | 5 | 4 | 4 | 24:21 | 3 | 19 |
| 2 დორტმუნდი | 26 | 15 | 7 | 4 | 42:22 | 20 | 52 | 13 | 8 | 3 | 2 | 22:9 | 13 | 27 | 13 | 7 | 4 | 2 | 20:13 | 7 | 25 |
| 3 ბაიერნი | 26 | 15 | 5 | 6 | 51:20 | 31 | 50 | 13 | 9 | 4 | 0 | 31:6 | 25 | 31 | 13 | 6 | 1 | 6 | 20:14 | 6 | 19 |
| 4 შალკე | 26 | 14 | 6 | 6 | 41:26 | 15 | 48 | 13 | 10 | 2 | 1 | 30:11 | 19 | 32 | 13 | 4 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 16 |
| 5 ლაუტერნი | 26 | 15 | 3 | 8 | 50:38 | 12 | 48 | 13 | 9 | 3 | 1 | 32:17 | 15 | 30 | 13 | 6 | 0 | 7 | 18:21 | -3 | 18 |
| 6 ჰერტა | 26 | 13 | 7 | 6 | 48:29 | 19 | 46 | 14 | 10 | 2 | 2 | 35:13 | 22 | 32 | 12 | 3 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 14 |
| 7 ვერდერი | 26 | 13 | 4 | 9 | 39:28 | 11 | 43 | 13 | 8 | 2 | 3 | 19:13 | 6 | 26 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:15 | 5 | 17 |
| 8 მიუნხენი | 26 | 12 | 3 | 11 | 40:41 | -1 | 39 | 13 | 6 | 2 | 5 | 18:24 | -6 | 20 | 13 | 6 | 1 | 6 | 22:17 | 5 | 19 |
| 9 შტუტგარტი | 26 | 9 | 8 | 9 | 31:30 | 1 | 35 | 13 | 6 | 4 | 3 | 18:9 | 9 | 22 | 13 | 3 | 4 | 6 | 13:21 | -8 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 45:40 | 5 | 33 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:14 | 13 | 24 | 13 | 2 | 3 | 8 | 18:26 | -8 | 9 |
| 11 ჰამბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 38:44 | -6 | 33 | 13 | 7 | 3 | 3 | 30:19 | 11 | 24 | 13 | 2 | 3 | 8 | 8:25 | -17 | 9 |
| 12 ჰანზა | 26 | 8 | 5 | 13 | 25:36 | -11 | 29 | 14 | 5 | 4 | 5 | 17:16 | 1 | 19 | 12 | 3 | 1 | 8 | 8:20 | -12 | 10 |
| 13 გლადბახი | 26 | 6 | 9 | 11 | 28:40 | -12 | 27 | 12 | 4 | 4 | 4 | 13:12 | 1 | 16 | 14 | 2 | 5 | 7 | 15:28 | -13 | 11 |
| 14 კოტბუსი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:46 | -22 | 26 | 12 | 6 | 2 | 4 | 15:14 | 1 | 20 | 14 | 1 | 3 | 10 | 9:32 | -23 | 6 |
| 15 ნიურნბერგი | 26 | 7 | 4 | 15 | 25:47 | -22 | 25 | 14 | 5 | 3 | 6 | 16:21 | -5 | 18 | 12 | 2 | 1 | 9 | 9:26 | -17 | 7 |
| 16 ფრაიბურგი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:43 | -16 | 24 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:14 | 3 | 17 | 14 | 1 | 4 | 9 | 10:29 | -19 | 7 |
| 17 ზანქტ პაული | 26 | 4 | 9 | 13 | 28:47 | -19 | 21 | 13 | 4 | 3 | 6 | 15:18 | -3 | 15 | 13 | 0 | 6 | 7 | 13:29 | -16 | 6 |
| 18 კიოლნი | 26 | 3 | 7 | 16 | 13:48 | -35 | 16 | 13 | 2 | 4 | 7 | 7:17 | -10 | 10 | 13 | 1 | 3 | 9 | 6:31 | -25 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 14 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 14 |
| ელბერი (ბაიერნი) | 12 |
| პიზარო (ბაიერნი) | 12 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 12 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 12 |

**XXVII ტური**
17 მარტი

ლაუტერნი - ბაიერნი
ჰამბურგი - ვოლფსბურგი
ვერდერი - ჰერტა
გლადბახი - ნიურნბერგი
ფრაიბურგი - დორტმუნდი
კოტბუსი - ზანქტ პაული
შტუტგარტი - ლევერკუზენი
მიუნხენი - შალკე
კიოლნი - ჰანზა

### მეორე ბუნდესლიგა

**XXVI ტური**

**დუისბურგი 2:0 კარლსრუე**
1:0 პუშელი (85), 2:0 გუვენისიკი (90)

**ვალდჰოფი 1:2 ბოხუმი**
1:0 ზინოვი (22), 1:1 კრისტიანსენი (34), 1:2 ფოში (35)

**შვაინფურტი 3:1 უნტერჰახინგი**
0:1 ბრაიტენრაიტერი (13), 1:1, 2:1 გერჰარდტი (26, 48), 3:1 პოპოვიჩი (54)

**ბაბელსბერგი 1:3 ჰანოვერი**
0:1 კასეი (1), 1:1 მოლატა (58), 1:2, 1:3 შიმაკი (60, 87)

**როიტლინგენი 2:0 მაინცი**
1:0 გარსია (43), 2:0 ჰოფმანი (68)

**ალენი 2:1 ობერჰაუზენი**
1:0 ჰამანი (13), 2:0 გორშლუტერი (88), 2:1 ბელიაკოვი (89)

**აინტრახტი 2:2 უნიონი**
1:0 კრიშალოვიჩი (11), 1:1 მენზე (57), 2:1 გუიემინი (75), 2:2 დიურკოვიჩი (86)

**ზაარბრიუკენი 2:1 ალემანია**
1:0, 2:0 კოლტაი (20, 52), 2:1 ივანოვიჩი (51)

**არმინია — ფიურტი**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 25 | 17 | 7 | 1 | 69:29 | 58 |
| მაინცი | 26 | 14 | 7 | 5 | 51:31 | 49 |
| ფიურტი | 25 | 14 | 6 | 5 | 50:28 | 48 |
| არმინია | 25 | 13 | 7 | 5 | 47:25 | 46 |
| უნიონი | 26 | 13 | 6 | 7 | 51:30 | 45 |
| ბოხუმი | 25 | 12 | 7 | 6 | 49:41 | 43 |
| აინტრახტი | 26 | 11 | 9 | 6 | 42:33 | 42 |
| დუისბურგი | 26 | 10 | 8 | 8 | 46:40 | 38 |
| ალენი | 26 | 11 | 5 | 10 | 47:56 | 38 |
| როიტლინგენი | 25 | 9 | 5 | 11 | 38:39 | 32 |
| ვალდჰოფი | 26 | 8 | 8 | 10 | 34:38 | 32 |
| ალემანია | 26 | 9 | 4 | 13 | 32:50 | 31 |
| უნტერჰახინგი | 26 | 7 | 7 | 12 | 24:35 | 28 |
| კარლსრუე | 26 | 7 | 6 | 13 | 31:42 | 27 |
| ობერჰაუზენი | 25 | 6 | 5 | 14 | 39:43 | 23 |
| შვაინფურტი | 26 | 6 | 5 | 15 | 24:45 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 26 | 4 | 6 | 16 | 19:51 | 18 |
| ბაბელსბერგი | 26 | 4 | 4 | 18 | 28:65 | 16 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

24-ე ტური: ლიუბეკი — აუე 4:1; იურდინგენი — ბრაუნშვაიგი 1:1; ქემნიცი — კილი 1:1; დრეზდენი — მიუნსტერი 0:2; ფორტუნა — ვერდერი (მ) 1:3; ფერლი — ესენი 0:1; ოსნაბრიუკი — ვატენშაიდი 2:1; მაგდებურგი — ლევერკუზენი (მ) 0:3; პადერბორნი — დიუსელდორფი 1:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

24-ე ტური: დარმშტადტი — ბურგჰაუზენი 3:1; ერფურტი — მანჰაიმი 2:0; რეგენსბურგი — ფულდა 6:0; ვეჰენი — ტრიერი 1:1; კიკერსი — ელვერსბერგი 2:0; ჰოფენჰაიმი — შტუტგარტი (მ) 1:2; ბაიერნი (მ) — აალენი 4:2; კაიზერსლაუტერნი (მ) — აშაფენბურგი 3:0; ზიგენი — ოფენბახი 2:0

# ზეედორფის სენდვიჩი და ნესტას დიდი ბოდიში




REUTERS რომიტერსი

ლაციო — რომა. მასპინძელთა კაპიტანი ალესანდრო ნესტა ვინჩენცო მონტელასთან ვერაფერს გახდა და ქომაგებიც გაიწბილა

## იტალია

### სერია A. XXVI ტური

**ბოლონია 2:0 მილანი**

1:0 ფრეზი (3), 2:0 კრუზი (24)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი, ნერვო, ბრიგი, ოლივე (ფირმანი 84), ტარანტინო, ბეკია, სინიორი (ბრიოსკი 73), ხ. კრუზი (ბელუჩი 90)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
მილანი: აბიატი, კონტრა, კოსტაკურტა, როკე ჟუნიორი, კალაძე (შამოტი 46), ალბერტინი (სავი მორენო 46), გატუზო, ბროკი (უმითი 63), რუი კოშტა, სიმონე, ხოსე მარი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ხოსე მარი, ბრიგი
მსაჯი: კოლინა
35 000 მაყურებელი

**ინტერი 2:2 იუვენტუსი**

1:0 ზეედორფი (6), 1:1 ტრეზეგე (13), 1:2 ტუდორი (81), 2:2 ზეედორფი (90)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, ი. კორდობა, გრეშკო, ს. კონსეისაუ (შიმიჩი 90), დი ბიაჯო (ვენტოლა 81), კ. ძანეტი, ზეედორფი, ვიერი, რეკობა (კალონი 72)
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ტურამი (ტუდორი 22), იულიანო, პესოტო, ძამბროტა, კონტე, დავიდსი (ტაკინარდი 77), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (ნ. ამორუზო 67)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, კორდობა, მატერაცი, ნედვედი, კონტე
მსაჯი: ბორიელო
80 000 მაყურებელი

**ლაციო 1:5 რომა**

0:1, 0:2, 0:3 მონტელა (12, 29, 36), 1:3 სტანკოვიჩი (53), 1:4 მონტელა (63), 1:5 ტოტი (71)
ლაციო: პერუცი, ნესტა (გოტარდი 46), მიხაილოვიჩი, ფ. კოუტუ, დ. ბაჯო (პობორსკი 46), სტანკოვიჩი, პანკარო, ჯანიკედა, ფიორე, კრესპო, ს. ინძაგი (ლივერანი 75)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ძებინა, კაფუ, ლიმა, ემერსონი (ასუნსაო 84), კანდელა, ტოტი, მონტელა (ა. კასანო 74), დელვეკიო (ტომაზი 60)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კოუტუ, სტანკოვიჩი, პანკარო, კანდელა
მსაჯი: როზეტი
75 000 მაყურებელი

**ტორინო 2:2 კიევო**

0:1 კორადი (20), 1:1 ფერანტე (35), 1:2 კორადი (53), 2:2 მასპერო (59)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, კომოტო, დე აშენტისი (კოე 71), ვერგასოლა, მასპერო, მ. კასტელინი, ფერანტე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, ლორენცი, ს. ლანა (ფრანჩესკინი 79), ერიბერტო (მ. ესპოზიტო 76), პეროტა, კორინი, კ. მანფრედინი, კორადი, მარაცინა (ფ. კოსატო 60)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კომოტო, ერიბერტო, მორო, ლუპატელი, კორადი
გაძევება: მანფრედინი (70)
მსაჯი: პელეგრინო
20 000 მაყურებელი

**ვერონა 1:0 პარმა**

1:0 მუტუ (83პ)
დი ვაიომ ვერ გაიტანა პენალტი (13, მეკარე)
ვერონა: ფერონი, გონელა, მ. კანავარო, ტეოდორანი (დაინელი 77), ოდო, იტალიანო, კასეტი, მელისი (სალვეტი 68), კამორანეზი, ფრიკი (ჟილარდინო 59), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
პარმა: ტაფარელი, ჟიტუ, ბოგოსიანი, ფ. კანავარო, დიანა (მარკიონი 19; გურენკო 77), ალმეიდა (ბონაცოლი 86), ლამუში, ჟუნიორი, მიკუ, დი ვაიო, შუქური
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: მ. კანავარო, დი ვაიო, გონელა, კასეტი, ჟუნიორი, მიკუ
მსაჯი: გაბრიელე
15 602 მაყურებელი

**ატალანტა 2:1 ლეჩე**

1:0 როსინი (24), 2:0 პინარდი (30), 2:1 ჩირილო (56)
ატალანტა: ტაიბი, ფოლიო, სალა, კარერა, ფალზინი, ბელინი, ძაური, დაბო, პინარდი (კომანდინი 70), როსინი (დ. ძენონი 73), ინაჩიო პია (პაგანინი 65)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი (ბილი 85), სილვესტრი, ბალერი (ჩევანტონი 46), სტოვინი, კონტიკიო, ლედესმა, ტონეტო, კოლონელო (ჩირილო 46), ჯაკომაცი, ვუგრინეცი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: კოლონელო, როსინი, დაბო, ჟუარესი
მსაჯი: ტომბოლინი
13 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:0 უდინეზე**

ფიორენტინა: მანინგერი, ტორიჩელი (აგოსტინი 77), ადანი, პიერინი, ტაროცი, ამარალი, ბარონიო (განცი 73), კ. ამორუზო (ჯ. გონსალესი 53), დი ლივიო, მორფეო, ადრიანო
მწვრთნელი: ოტავიო ბიანკი
უდინეზე: ტურჩი, კროლდრუპი, სკარლატო (კაბალიერო 8), თ. მანფრედინი, მარტინესი (ნომვეტე 72), ლ. ელგერა, დ. პიზარო, მარკოს პაულუ, პიერი (პინედა 61), დი მიკელე, მუცი
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
გაფრთხილება: პიერინი, მანფრედინი, ელგერა, პინედა
მსაჯი: ფარინა
19 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 2:0 პერუჯა**

1:0 დი ფრანჩესკო (31), 2:0 უბნერი (85)
პიაჩენცა: გუარდალბენი, საკეტი, კარდონე, ლამაკი, ტოსტო, გაუტიერი (კაჩა 82), ვოლპი, მატუზალემი (პატრასკუ 90), დი ფრანჩესკო, პოჯი (მორა 75), უბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
პერუჯა: ო. კორდობა, რეზაეი (სოლიანო 15; ანი 72); დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი (ონილი 46), ბაიოკო, გროსო, ბაცანი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: სოლიანო, პოჯი, ვოლპი, მატუზალემი, ბაცანი, კარდონე
მსაჯი: დე სანტისი
7 000 მაყურებელი

**ვენეცია 1:2 ბრეშა**

1:0 მაგალიანესი (41), 1:1 ჯუნტი (65პ), 1:2 სალგადო (68)
ვენეცია: ჯ. როსი, კონტეპი, ბილიკა, პავანი, ბეტარინი, ბრესანი, დ. ანდერსონი (ვალტოლინა 64), მარასკო, დე ფრანჩესკი (ვანუკი 76), მაგალიანესი (დი ნაპოლი 76), მანიერო
მწვრთნელი: ალფრედო მანი
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, პეტრუცი, მანგონე, შოპი (ბინოტო 46), ა. ფილიპინი (ილანა 51), ე. ფილიპინი, ჯუნტი, ტარე (სალგადო 46), სუსი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: მარასკო, დე ფრანჩესკი, სალგადო, ბილიკა
მსაჯი: ტრენტალანჯე
7 500 მაყურებელი

**„სან სიროზე“** ის მოხდა, რომ მსაჯის წამატებულ წუთებში ჰოლანდიელი ნახევარმცველის კლარენს ზეედორფის გატანილი გოლის წყალობით „ინტერმა“ „იუვენტუსს“ სამი ქულა გამოზრდლვნა პირიდან. ზეედორფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ დღეს მან კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ეს გახლდათ შეხვედრის პირველი გოლი, თუმცა ჰოლანდიელის ორ ოსტატურ დარტყმას შორის ტურინელებმა, დავიდ ტრეზეგემ და შეცვლაზე შესულმა ხორვატმა იგორ ტუდორმა გამოიჩინეს თავი.

ასე და ამგვარად, მატჩი, რომელშიც საერთაშორისო პრესის თანახმად მარჩელო ლიპის შურისძიება უნდა შემდგარიყო, ფრედ დასრულდა, ხოლო რაც შეეხება შურისძიების მიზეზს, ის მართალია, საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ გავიმეოროთ: ლიპი „ინტერის“ მწვრთნელი გახლდათ და როდესაც 2000-01 წლების სეზონში, ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში „რეჯინასთან“ დამარცხდა (მანამდე, რამდენიმე დღით ადრე „შავ-ლურჯებმა“ შვედურ „ჰელსინგბორგთან“ წაგების გამო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ვერ შეაღწიეს) იგი თანამდებობიდან დაითხოვეს.

ერთი სიტყვით „სან სიროზე“ ტრეზეგესა და ტუდორის გოლები ზეედორფის ორი ლამაზი დარტყმის სენდვიჩში მოექცა. საერთოდაც, შეხვედრა ფრიად დატვირთული გამოდგა დრამატული ეპიზოდებით. გარდა იმისა, რომ ანგარიში ბოლოს გათანაბრდა, პირველსავე წუთზე იყო მომენტი, როდესაც „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი „შავ-ლურჯი“ ურუგვაელის, ალვარო რეკობას ფეხებში ჩაწვა და დაშავდა, ბუფონმა მკურნალობის შემდეგლა შეძლო თამაშის გაგრძელება, მისმა კოლეგამ ასი მეტრის იქიდან, ფრანჩესკო ტოლდომ კი ერთ ეპიზოდში ბურთის დარტყმა რომ სცადა, პირდაპირ პაველ ნედვედს მოარტყა, მაგრამ ჩეხმა მეკარის შეცდომით ვერ ისარგებლა და გოლი ვერ შეაგდო.

მეექვსე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა: ყველას ეგონა, რომ „ინტერის“ შეტევა მარკ იულიანომ თავურით განმუხტა, მაგრამ ბურთი მოშორებით ზეედორფმა იხელთა, დაიმორჩილა და შორეულ კუთხეში ლამაზად შეაგდო.

11 წუთის შემდეგ ანგარიში კინაღამ 2:0 გახდა — კრისტიანო ძანეტის თავით გაგზავნილ ბურთს კოლუმბიელი მცველი ივან კორდობა სხეულის სრული გაჭიმვითაც ვერ შესწვდა. გავიდა წამები და „იუვემ“ გაქვითა: მარჯვნიდან ჯანლუკა ძამბროტას ჩაწოდებულს მარად ჩასაფრებული დავიდ ტრეზეგე გამოეხმაურა და გაიტანა.

შემდეგ, მსაჯმა ჯენარო ბორიელომ ალესანდრო დელ პიეროს ოფსაიდი ალუნიშნა და გოლი არ ჩაუთვალა, ხოლო საპირისპირო კართან ურუგვაელი ალვარო რეკობას დარტყმული მცველს, ლილიან ტურამს მოხვდა, მისგან ასხლეტილი ძელს და მეკარე ბუფონს ჩაუხტა ხელებში. ასე გადარჩა ტურამი ავტოგოლს, მაგრამ მოედნიდან გასვლას ვერა. დაშავდა და მის ნაცვლად სწორედ ის იგორ ტუდორი შევიდა, რომელმაც მოგვიანებით „იუვენტუსი“ დააწინაურა.

დაძაბულად დაიწყო მეორე ტაიმიც. ქურძოლ, 30-ე წამზე არბიტრმა სტუმრებს პენალტის მოთხოვნაზე უთხრა უარი.

გამოხდა ხანი და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თამაში 1:1 დასრულდებოდა, მაგრამ... ნედვედის ჩაწოდებულ ჯარიმას მასპინძელთა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ტუდორი გამოეხმაურა და „ბებერი ქალბატონი“ წინ გავიდა, თუმცა, შემდეგ მოხდა ის, რაც დასაწყისში ორჯერ მოგახსენეთ: ზეედორფმა 30 მეტრიდან დაარტყა და 80 ათასი მაყურებლის დიდ უმრავლესობას სიხარულის შეძახილი ამოგლიჯა.

რომაული დერბი კი ძლიერის სუსტზე ზეობის თამაში გამოდგა — „რომამ“ „ლაციოს“ ხმა არ ამოაღებინა, 5:1 მოუგო. აქ ყურადღებას, თქვენი ნებართვით, ვინჩენცო მონტელაზე გავამახვილებთ: მოგეხსენებათ, ამ ჩვეულებრივ სათადარიგო მოთამაშემ, მაგრამ მაინც „სკუადრა აძურას“ წევრმა, წინა საჩემპიონო სეზონში 13 გოლი გაიტანა და მათი დიდი ნაწილი თამაშის ბედის გადამწყვეტი გახლდათ. მიმდინარე სეზონში მონტელას ტრავმამ მაინც სათადარიგოთა სკამზე გააგრძელებინა მოღვაწეობა, ხოლო ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ შეუთვალა ჯერ კიდევ ბევრი გაქვს სამუშაოო. ასეთ პირობებში ფორვარდმა, რომაულ დერბიში პირველ ტაიმში ჰეთ-თრიქი შეასრულა. შესვენების შემდეგ „ლაციოს“ [illegible] ფეხბურთელებმა [illegible] ჩმა მონტელას საგანგებო მეთვალყურეობა დაუწესა, მაგრამ ამით თანაგუნდელები მის კიდევ ერთ გოლს ვერ გადაარჩინა, ხოლო მეხუთე „რომას“ თილისმამ, ფრანჩესკო ტოტიმ შეაგდო.

საინტერესო კიდევ ის გახლავთ, რომ მონტელას მიერ პირველ ტაიმში შეგდებული სამივე გოლი მნიშვნელოვანწილად „ლაციოს“ მცველის, ალესანდრო ნესტას ბრალი გახლდათ და, მიუხედავად ამისა, იმ და მეორე დღეს გავრცელებულ ცნობათა თანახმად მას დიდი ინტერესით აკვირდებოდა „მანჩესტერის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ განაცხადა: „ეს წარმატება უდიდესი სამუშაოსთვის მიღებული ჯილდოა. დღეს ჩვენ საუკეთესო ფორმაში ვართ და როგორც ფიზიკურად ასევე ფსიქოლოგიურად თავს ჩინებულად ვგრძნობთ. რაც შეეხება ბატისტუტას, ამ მატჩში მისი დასვენება გადავწყვიტე. ვფიქრობ საუკეთესო ფეხბურთელების უნარი და შესაძლებლობები რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. დღევანდელ შეხვედრაში ერთადერთი მომენტი არ მომეწონა, როდესაც „ლაციომ“ ჩვენი დაცვა გახსნა და ამის გამო ვთხოვე კიდეც ფეხბურთელებს, დაცვისთვის ყურადღება არ მოეკლოთ. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ და ამიერიდან მშვიდად შეგვიძლია მომავალ წარმატებებზე ზრუნვა“.

ალესანდრო ნესტა: „ქომაგებს ბოდიშს ვუხდი. დღეს ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი გახლდით და ჩემი კარიერის უარესი შეხვედრა ჩავატარე. კიდევ კარგი, მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გაველი. თუმცა ეს წაგება სამყაროს დასასრულად არ უნდა წარმოვიდგინოთ“.

**ბაჩუნა ძიდია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რომა | 26 | 14 | 11 | 1 | 40:16 | 24 | 53 | 13 | 9 | 4 | 0 | 19:5 | 14 | 31 | 13 | 5 | 7 | 1 | 21:11 | 10 | 22 |
| 2 ინტერი | 26 | 15 | 8 | 3 | 46:23 | 23 | 53 | 13 | 8 | 3 | 2 | 24:12 | 12 | 27 | 13 | 7 | 5 | 1 | 22:11 | 11 | 26 |
| 3 იუვენტუსი | 26 | 14 | 10 | 2 | 49:21 | 28 | 52 | 13 | 10 | 2 | 1 | 30:10 | 20 | 32 | 13 | 4 | 8 | 1 | 19:11 | 8 | 20 |
| 4 ბოლონია | 26 | 13 | 5 | 8 | 30:26 | 4 | 44 | 14 | 10 | 2 | 2 | 21:12 | 9 | 32 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | -5 | 12 |
| 5 კიევო | 25 | 11 | 7 | 7 | 44:37 | 7 | 40 | 12 | 7 | 2 | 3 | 22:15 | 7 | 23 | 13 | 4 | 5 | 4 | 22:22 | 0 | 17 |
| 6 მილანი | 26 | 9 | 11 | 6 | 35:28 | 7 | 38 | 13 | 4 | 7 | 2 | 17:12 | 5 | 19 | 13 | 5 | 4 | 4 | 18:16 | 2 | 19 |
| 7 ლაციო | 26 | 9 | 9 | 8 | 35:27 | 8 | 36 | 13 | 6 | 6 | 1 | 26:12 | 14 | 24 | 13 | 3 | 3 | 7 | 9:15 | -6 | 12 |
| 8 ვერონა | 26 | 10 | 5 | 11 | 34:39 | -5 | 35 | 14 | 8 | 3 | 3 | 21:15 | 6 | 27 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:24 | -11 | 8 |
| 9 ტორინო | 26 | 8 | 9 | 9 | 30:32 | -2 | 33 | 13 | 6 | 3 | 4 | 20:15 | 5 | 21 | 13 | 2 | 6 | 5 | 10:17 | -7 | 12 |
| 10 პერუჯა | 26 | 9 | 6 | 11 | 28:34 | -6 | 33 | 12 | 7 | 3 | 2 | 17:8 | 9 | 24 | 14 | 2 | 3 | 9 | 11:26 | -15 | 9 |
| 11 ატალანტა | 26 | 9 | 6 | 11 | 31:40 | -9 | 33 | 14 | 5 | 4 | 5 | 18:20 | -2 | 19 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 14 |
| 12 პიაჩენცა | 26 | 8 | 7 | 11 | 38:35 | 3 | 31 | 13 | 6 | 1 | 6 | 24:16 | 8 | 19 | 13 | 2 | 6 | 5 | 14:19 | -5 | 12 |
| 13 პარმა | 25 | 8 | 6 | 11 | 32:36 | -4 | 30 | 12 | 5 | 4 | 3 | 16:13 | 3 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 16:23 | -7 | 11 |
| 14 უდინეზე | 26 | 8 | 6 | 12 | 34:41 | -7 | 30 | 13 | 2 | 4 | 7 | 14:21 | -7 | 10 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:20 | 0 | 20 |
| 15 ბრეშა | 26 | 6 | 11 | 9 | 30:41 | -11 | 29 | 12 | 2 | 6 | 4 | 18:25 | -7 | 12 | 14 | 4 | 5 | 5 | 12:16 | -4 | 17 |
| 16 ლეჩე | 26 | 5 | 9 | 12 | 26:39 | -13 | 24 | 13 | 2 | 6 | 5 | 13:16 | -3 | 12 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:23 | -10 | 12 |
| 17 ფიორენტინა | 26 | 5 | 6 | 15 | 27:49 | -22 | 21 | 13 | 3 | 5 | 5 | 14:18 | -4 | 14 | 13 | 2 | 1 | 10 | 13:31 | -18 | 7 |
| 18 ვენეცია | 26 | 3 | 6 | 17 | 24:49 | -25 | 15 | 13 | 2 | 4 | 7 | 14:20 | -6 | 10 | 13 | 1 | 2 | 10 | 10:29 | -19 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 21 |
| ვიერი (ინტერი) | 18 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 18 |
| დი ვაიო (პარმა) | 16 |
| დონი (ატალანტა) | 15 |
| მანიერო (ვენეცია) | 15 |

XXVII ტური
17 მარტი
რომა - ატალანტა
ფიორენტინა - ბოლონია
ლეჩე - ინტერი
ბრეშა - ლაციო
პერუჯა - პარმა
უდინეზე - პიაჩენცა
მილანი - ტორინო
კიევო - ვენეცია
იუვენტუსი - ვერონა

### სერია B

**XXVII ტური**

**ტერნანა 0:0 კომო**

**ბარი 2:1 ვიჩენცა**

0:1 კრისტალინი (26), 1:1 ანკელოტი (76), 2:1 მარკიჩი (90)

**კალიარი 1:3 ემპოლი**

1:0 კამარატა (50), 1:1 მაკარონე (56), 1:2 ლოპესი (86ს.კ.), 1:3 ბრეშანი (87)

**ჩიტადელა 0:0 ჯენოა**

**კროტონე 1:1 პალერმო**

1:0 დილიზო (20), 1:1 პორკია (36ს.კ.)

**რეჯინა 3:2 პისტოიეზე**

1:0 სავოლდი (1), 1:1 ბაიანო (9), 2:1, 3:1 სავოლდი (17, 24), 3:2 ბალდინი (69ს.კ.)

**სამპდორია 0:3 ანკონა**

0:1 ალბინო (8), 0:2 რუსო (74), 0:3 ალბინო (90)

**სიენა 1:0 მესინა**

1:0 კარაჩოლო (66)

**სალერნიტანა 3:1 ნაპოლი**

1:0 ვინიაროლი (4), 2:0 ტედესკო (40), 2:1 სტელონე (63), 3:1 ბელოტო (74)

**მოდენა — კოზენცა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 27 | 16 | 6 | 5 | 48:22 | 54 |
| რეჯინა | 27 | 15 | 8 | 4 | 39:24 | 53 |
| კომო | 27 | 16 | 5 | 6 | 36:24 | 53 |
| მოდენა | 26 | 15 | 7 | 4 | 44:16 | 52 |
| სალერნიტანა | 27 | 12 | 8 | 7 | 43:37 | 44 |
| ნაპოლი | 27 | 11 | 9 | 7 | 33:29 | 42 |
| პალერმო | 27 | 11 | 8 | 8 | 39:38 | 41 |
| ვიჩენცა | 27 | 9 | 10 | 8 | 38:40 | 37 |
| ბარი | 27 | 9 | 9 | 9 | 27:33 | 36 |
| სამპდორია | 27 | 8 | 9 | 10 | 34:36 | 33 |
| მესინა | 27 | 7 | 11 | 9 | 29:31 | 32 |
| კოზენცა | 26 | 9 | 5 | 12 | 31:41 | 32 |
| ანკონა | 27 | 8 | 7 | 12 | 26:37 | 31 |
| ჯენოა | 27 | 6 | 12 | 9 | 28:28 | 30 |
| კალიარი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:30 | 29 |
| ტერნანა | 27 | 5 | 13 | 9 | 31:36 | 28 |
| ჩიტადელა | 27 | 7 | 7 | 13 | 33:42 | 28 |
| პისტოიეზე | 27 | 6 | 8 | 13 | 22:31 | 26 |
| სიენა | 27 | 5 | 8 | 14 | 20:38 | 23 |
| კროტონე | 27 | 3 | 9 | 15 | 31:46 | 18 |

### სერია C1/a

26-ე ტური: ჩეზენა — ალძანო 1:0; ლუმეცანე — არეცო 3:2; მონცა — კარარეზე 1:2; პიზა — ვარეზე 3:1; რეჯანა — ლეკო 2:0; სპეცია — სპალ 4:1; ტრევიზო — ალბინოლეფე 0:2; ტრიესტინა — ლუკეზე 2:0. პადოვა — ლივორნო წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე)

### სერია C1/b

26-ე ტური: აველინო — ასკოლი 2:2; ბენევენტო — ტორესი 1:0; კატანია — ტარანტო 3:0; ფერმანა — ვიტერბეზე 1:1; აკილა — ლანჩანო 3:1; ლატინა — დი სანგრო 3:3; პესკარა — ნოჩერინა 5:2; სორა — ჯულიანოვა 0:2; ჩეზარო — კროტი 1:1

# იტალიის ჩემპიონატი

ოცდამეექვსე ტურის მატჩი

## ბოლონია 2:0 მილანი

კახა კალაძე: 45 წუთი



ბოლონიელი ჯულიო ფალკონე და მილანელი მარკო სიმონე (მარჯვნივ)

# ამის ყურებას...

## „მილანს" მილანმა ზურგი შეაქცია

„ბოლონიამ" „მილანს" 2:0 მოუგო, მეოთხე ადგილზე განმტკიცდა და ჩუმ-ჩუმად (თუმცა, რატომ ხმამაღლა არა), ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზეც დაიწყო ფიქრი.

გოლები პირველ ტაიმში გავიდა, სალვატორე ფრეზიმ და ხულიო კრუზმა გაიტანეს, ხოლო შემდეგ სტადიონზე გამოაცხადეს, რომ მეხუთე ადგილზე მყოფმა „კიევომ" „ტორინოსთან" 2:2 ითამაშა, რამაც ბოლონიელები საბოლოოდ კარგ ხასიათზე დააყენა.

ზემოთ, რომ ფრეზის გოლი ვახსენეთ, დასაწყისშივე გავიდა — ჯუზეპე სინიორის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ვიღაცას მოხვდა, ძელმაც აისხლიტა და ეპიზოდი ფრეზიმ დააგვირგვინა. ხოლო შემდეგ, ხულიო კრუზმა მილანელთა მეკარეს, კრისტიან აბიატის შემოურბინა და მეორეც დაამატა.

მეორე ტაიმში „შავ-წითელთაგან" ყველაზე კარგად გულშემატკივრები მოიქცნენ. ისინი ადგნენ, სტადიონი დატოვეს და შინისაკენ გაემართნენ (მატარებლით დაახლოებით 3 საათის გზაა).

„ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ ვართ — თქვა ბოლონიელთა თავკაცმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ — თუმცა ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთაა და თუ ნერვებს მოვთოკავთ, მიზანს მივაღწევთ".

„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი განაცხადა: „ცუდად ვითამაშეთ, თუმცა ამ მარცხის მნიშვნელობას ნუ გავაზვიადებთ. ძალიან კარგად ვიცით, რა შეცდომებიც დავუშვით, „ბოლონიას" კი ულაპარაკოდ ეკუთვნოდა გამარჯვება".

საქართველოს ნაკრების წევრმა, კახა კალაძემ ამ შეხვედრაში შესვენებამდე ითამაშა, მეორე ტაიმში იგი ხოსე ანტონიო შამოტმა შეცვალა.

ბაჩუნა ძიძია

# ჰაჯიმ ლუჩესკუს რომი ჩაუტანა

## თურქეთი

26-ე ტური: ანკარაგიუჯიუ — დიარბაქირი 1:1; რიზე — გენჩლერბირლიგი 1:2; სამსუნი — ისტანბული 0:1; იოზგათი — ტრაბზონი 2:3; გალათასარაი — ბეშიქთაში 1:0; დენიზლი — გიოზთეფე 2:1; ქოჯაელი — ბურსა 1:2; მალათია — გაზიანთეფი 1:1; ანთალია — ფენერბაჰჩე 0:1

სეზონის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ჯახი სტამბოლში, „გალათასარაისა" და „ბეშიქთაშს" შორის შედგა. სტამბოლელი ბობოლები, „ფენერბაჰჩეს" ჩათვლით, როგორც წესი, ერთმანეთს ჩემპიონობას ედავებიან. „გალა" — „ბეშიქთაშის" მატჩიც ამით იყო გამორჩეული. უშუალო კონკურენტთა შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. გოლი ურუგვაელმა ანდრეს ფლურკინმა შეაგდო და „გალას" ცხრილში პირველი ადგილი დაუბრუნა.

ჯერ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული არ განელებულიყო, როცა მირჩა ლუჩესკუ გუშინ უკვე გეორგე ჰაჯიმ გაახარა. ჰაჯი კვირას რომაულ დერბის დასწრებია და „გალას" თავკაცს „რომას" შესახებ ინფორმაცია მიართვა. ხვალ თურქები ფაბიო კაპელოს გუნდს ეთამაშებიან და სულ მცირე ქულის მოპოვებაზე ოცნებობენ.

რაც შეეხება „ბეშიქთაშს", წაგებამ კრისტოფ დაუმის რისხვა გამოიწვია — ჩაუმწკრივებია ფეხბურთელები და უთქვამს, თუ დარჩენილ ყველა შეხვედრას მოიგებთ, „გალასთან" წაგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაპატიებთო.

ვაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 26 | 17 | 5 | 4 | 59:30 | 56 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 18 | 1 | 7 | 51:26 | 55 |
| ბეშიქთაში | 26 | 16 | 5 | 5 | 61:30 | 53 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 14 | 4 | 8 | 59:42 | 46 |
| ბურსა | 26 | 12 | 4 | 10 | 37:44 | 40 |
| ისთანბული | 26 | 11 | 5 | 10 | 24:24 | 38 |
| გაზიანთეფი | 26 | 10 | 6 | 10 | 42:38 | 36 |
| ტრაბზონი | 26 | 10 | 5 | 11 | 42:44 | 35 |
| გიოზთეფე | 26 | 9 | 8 | 9 | 27:39 | 35 |
| გენჩლერბირლიგი | 26 | 9 | 7 | 10 | 39:44 | 34 |
| დიარბაქირი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:41 | 33 |
| დენიზლი | 26 | 8 | 8 | 10 | 46:40 | 32 |
| ქოჯაელი | 26 | 9 | 4 | 13 | 30:43 | 31 |
| მალათია | 26 | 9 | 3 | 14 | 26:43 | 30 |
| რიზე | 26 | 6 | 10 | 10 | 31:36 | 28 |
| სამსუნი | 26 | 7 | 5 | 14 | 23:37 | 26 |
| ანთალია | 26 | 5 | 8 | 13 | 37:56 | 23 |
| იოზგათი | 26 | 5 | 6 | 15 | 37:51 | 21 |

# ბორდოს ლიგას მგზავრობა

## საფრანგეთი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

### ოსერი 0:1 ბორდო

0:1 აფანუ (90)

**გი რუს** ბიჭებმა ხელიდან გაუშვეს მესამე ადგილზე გადაბრძანების შანსი. „ოსერი" „ბორდოს" მასპინძლობდა. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები პსჟ-ს გადაასწრებოდნენ და მესამე ადგილზე წამოსკუპდებოდნენ, რომელიც საფრანგეთში საკმაოდ ფასობს. პირველი და მეორე თუ ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მიბრძანდებიან, მესამე საკვალიფიკაციოდან ჩაებმება ლიგაში მოსახვედრად. ეს „ბორდომაც" კარგად უწყის და ამიტომაც არაფერი დაუთმო „ოსერს". მატჩის მიწურულს ფეხბურთელ-მწვრთნელებს თავში უკვე ქულათა გაყოფა უტრიალებდათ, მაგრამ კოჯო აფანუმ მათ აზრები გაუფანტა. აფანუმ, სტუმართა მცველმა, მატჩის უკანასკნელ წუთზე შინ სამი ქულით გამგზავრება ინება და გამარჯვების გოლიც შეაგდო. ამ მოგებით „ბორდო" მოწინავე ქულისმკრეფავებს დაეწია.

ვაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 28 | 17 | 8 | 3 | 47:20 | 59 |
| ლიონი | 28 | 16 | 5 | 7 | 55:29 | 53 |
| პსჟ | 28 | 12 | 12 | 4 | 36:20 | 48 |
| ოსერი | 26 | 13 | 9 | 4 | 34:23 | 48 |
| ლილი | 28 | 13 | 9 | 6 | 33:24 | 48 |
| ბორდო | 28 | 12 | 8 | 8 | 28:22 | 44 |
| ტრუა | 28 | 11 | 6 | 11 | 34:31 | 39 |
| სოშო | 28 | 9 | 9 | 10 | 34:36 | 36 |
| მონაკო | 28 | 9 | 8 | 11 | 30:31 | 35 |
| მარსელი | 27 | 8 | 9 | 10 | 25:31 | 33 |
| მონპელიე | 28 | 7 | 11 | 10 | 23:26 | 32 |
| სედანი | 26 | 7 | 10 | 9 | 27:29 | 31 |
| ბასტია | 28 | 9 | 4 | 15 | 29:38 | 31 |
| ნანტი | 28 | 8 | 6 | 14 | 25:34 | 30 |
| რენი | 28 | 7 | 8 | 13 | 28:42 | 29 |
| გენგამი | 28 | 7 | 8 | 13 | 29:48 | 29 |
| ლორიანი | 28 | 7 | 6 | 15 | 39:56 | 27 |
| მეცი | 27 | 7 | 4 | 16 | 19:35 | 25 |

II დივიზიონი

გადადებული მატჩი: გენიონი — ნანსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 31 | 15 | 11 | 5 | 41:24 | 56 |
| ბოვე | 31 | 13 | 14 | 4 | 32:17 | 53 |
| ლორიანი | 31 | 13 | 13 | 5 | 43:25 | 52 |
| ნიცა | 31 | 15 | 5 | 11 | 42:33 | 50 |
| სტრასბური | 29 | 14 | 7 | 8 | 36:24 | 49 |
| ლე მანი | 31 | 13 | 9 | 9 | 42:36 | 48 |
| შატორუ | 31 | 13 | 6 | 12 | 33:32 | 45 |
| ლავალი | 31 | 12 | 7 | 12 | 37:38 | 43 |
| ამიენი | 31 | 10 | 11 | 10 | 38:37 | 41 |
| ვალკეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 36:41 | 41 |
| გენიონი | 31 | 8 | 16 | 7 | 34:36 | 40 |
| ნანსი | 30 | 9 | 12 | 9 | 31:28 | 39 |
| კაენი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:47 | 39 |
| გრენობლი | 31 | 9 | 10 | 12 | 29:42 | 37 |
| ნიორი | 31 | 7 | 14 | 10 | 32:33 | 35 |
| სენტ ეტიენი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:39 | 35 |
| ისტრი | 30 | 5 | 15 | 10 | 27:33 | 30 |
| კრეტეი | 31 | 6 | 11 | 14 | 29:40 | 29 |
| მარტიგი | 30 | 7 | 8 | 15 | 26:41 | 29 |
| ნიმი | 30 | 3 | 15 | 12 | 23:36 | 24 |

# დიდიეს დარდი დიდია

თასის მეოთხედფინალი

### ნიმი (II) 1:1დ.დ. (პენ. 3:1, 1:1) მონაკო

0:1 ს. კამარა (34), 1:1 შარპენე (79)

### ლიბურნი (IV) 0:1დ.დ. (0:0) ბასტია

0:1 ვერელი (110)

### პსჟ 0:1 ლორიანი

0:1 შაბერი (32)

### სედანი 1:0 სტრასბური (II)

1:0 ასუარი (79)



ნიმი — მონაკო. მასპინძელთა მეკარე მარკ დელაროშმა მონაკოელებს ორი პენალტი აუღო

**რამდენადაც** უსუსურად გამოიყურება ჩემპიონატში, იმდენად მობილიზებულია ლიგისა და საფრანგეთის თასებზე თამაშისას. „ლორიანზე" მოგახსენებთ. წინა უქმეებზე „რენის" დამარცხებით ხომ გაძვრა ლიგის თასის ფინალში, ახლა საფრანგეთის თასის ნახევარფინალსაც უწია. მერედა, სად და ვისი დამარცხებით, პარიზში პსჟ-ს ნახევარ საათში მოუგრიხა კისერი. პსჟ-ს საქმეები კი უკუღმა ტრიალებს, ლიგის თასიდან „ბორდომ" მოისროლა და ახლა „ლორიანთანაც" შერცხვა. პარიზელთა განმგმირავი გოლი პირველივე ტაიმში სედრიკ შაბერმა შეაცუნცულა მეტოქის კარში. უტრიალეს აქეთ-იქიდან მასპინძლებმა „ლორიანს", მაგრამ ვერაფერი დააკლეს.

მეორედივიზიონელ „ნიმის" სტადიონზე „მონაკო" სულეიმან კამარამ დააწინაურა. მეორე ტაიმის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე კი მასპინძელმა იოან შარპენემ თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი მისცა. დამატებითი დროც უგოლოდ გაილია და მხოლოდ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გათამაშებულმა ლატარიამ გადაწყვიტა გამარჯვებულის ვინაობა. ძალიან იყოჩაღა „ნიმის" მეკარე მარკ დელაროშმა, ვინც ორჯერ იხსნა გუნდი გოლისგან. ნიმელთა თავკაცი, ცხადია, აღფრთოვანებული გახლდათ. აი, დიდიე დეშანი კი დაღვრემილი იყო.

„თასის მოგების შანსი ხელიდან გაგვისხლტა. მისი დაუფლება ხომ ჩვენ უეფას თასზე გაგვიყვანდა" — თქვა მან.

მეოთხედივიზიონელმა „ლიბურნ სენ სერინმა" კუნძულელი „ბასტიას" ბარიერი ველარ დაძლია, ისევე როგორც „სტრასბურმა" „სედანისა".

ვაჟა ხუციშვილი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXVI ტური

### პსვ ეინდჰოვენი 4:1 როდა

1:0 კეჟმანი (18), 2:0, 3:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (30, 38), 4:0 რომედალი (45), 4:1 სონკო (62)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ჰოფლანდი, ბუმა, ვან ბომელი, ფოგელი (გახოკიძე 20), ლუსიუსი (ე. ადო 81), რომედალი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ნიკოფორო-ვი 65), კეჟმანი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ჰოფლანდი

მსაჯი: ბოსენი

31 000 მაყურებელი

### დენ ბოსხი 1:2 ბრედა

0:1 სხენინგი (38), 0:2 ე. სტიუარტი (62), 1:2 ვან დერ ჰოორნი (83)

### სიტარდი 0:1 გრონინგენი

0:1 ჰოოგსტრატე (29)

### ჰერენვენი 2:0 ვალვაიკი

1:0 სელაკოვიჩი (49), 2:0 ლურლინგი (58)

### ვიტესი 2:0 ტვენტე

1:0 სტეფანოვიჩი (73), 2:0 კლასენსი (90)

### აიაქსი 4:0 გრააფსხაპი

1:0 ბიენაარი (30), 2:0 ბაკენსი (46ს.კ.), 3:0 მიდო (68), 4:0 ვამბერტო (90)

### ფეიენოორდი 4:1 ალკმაარი

1:0 ვან ჰოოდონკი (18), 2:0 ონო (32), 3:0 ტომასონი (39), 4:0 ვან ჰოოდონკი (57), 4:1 კეტინგი (63)

### ნაიმეგენი 3:0 ტილბურგი

1:0 დ. დე ნოიერი (32), 2:0 იანსენი (36), 3:0 პეპა (69)

### უტრეხტი 4:2 სპარტა

1:0 კუიტი (22), 1:1 ვრეველი (23ს.კ.), 2:1 ვრეველი (45), 2:2 ლანგერაკი (57), 3:2 გლუშკევიჩი (65), 4:2 იოკუმსენი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 26 | 16 | 6 | 4 | 56:27 | 54 |
| ფეიენოორდი | 25 | 15 | 4 | 6 | 54:22 | 49 |
| პსვ | 25 | 15 | 4 | 6 | 57:27 | 49 |
| ჰერენვენი | 24 | 13 | 6 | 5 | 43:16 | 45 |
| ვიტესი | 26 | 12 | 9 | 5 | 31:25 | 45 |
| ბრედა | 26 | 13 | 5 | 8 | 45:40 | 44 |
| უტრეხტი | 26 | 10 | 7 | 9 | 49:44 | 37 |
| ვალვაიკი | 26 | 10 | 5 | 11 | 34:32 | 35 |
| ნაიმეგენი | 25 | 9 | 5 | 11 | 24:40 | 32 |
| ტვენტე | 26 | 7 | 10 | 9 | 33:34 | 31 |
| ტილბურგი | 26 | 7 | 10 | 9 | 39:46 | 31 |
| დენ ბოსხი | 26 | 7 | 9 | 10 | 34:40 | 30 |
| ალკმაარი | 26 | 8 | 5 | 13 | 30:37 | 29 |
| გრონინგენი | 26 | 8 | 5 | 13 | 32:48 | 29 |
| გრააფსხაპი | 24 | 8 | 4 | 12 | 32:40 | 28 |
| როდა | 26 | 8 | 4 | 14 | 25:41 | 28 |
| სპარტა | 26 | 4 | 11 | 11 | 26:53 | 23 |
| სიტარდი | 25 | 2 | 7 | 16 | 21:53 | 13 |

II დივიზიონი

26-ე ტური: ეინდჰოვენი — დორდრეხტი 1:0; მაასტრიხტი — ვენლო 0:1; ჰელმონდი — ვეენდამი 2:1; ზვოლე — ჰაარლემი 1:0; ექსელსიორი — კამბური 3:0; ჰერაკლესი — ვოლენდამი 3:2; ტელსტარი — იგლსი 1:0; ემენი — როზენდალი 2:3; ოსი — დენ ჰააგი 0:1

## შვეიცარია

II ეტაპი. A ჯგუფი. IV ტური

### გრასჰოპერი 3:0 ციურიხი

1:0 პოდელი (40), 2:0 შაპუიზა (44), 3:0 ედუარდო (69)

მიხეილ ყაველაშვილი 46-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, გოჩა ჯამარაული განაცხადში ვერ მოხვდა

### ბაზელი 2:0 იანგ ბოისი

1:0 ხიმენესი (37), 2:0 კანტალუპი (45)

### სერვეტი 2:2 სენტ გალენი

0:1 ბერგერი (6), 1:1, 2:1 ბინტუ (53, 71), 2:2 ჟენი (79)

### სიონი — ლუგანო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 31 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 24 |
| სერვეტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 24 |
| იანგ ბოისი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 23 |
| სენტ გალენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 23 |
| ლუგანო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 22 |
| ციურიხი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 18 |
| სიონი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 17 |

II ეტაპი. A/B ჯგუფი. IV ტური

### აარაუ 2:1 ლუცერნი

1:0 და სილვა (37), 1:1 ნოგეირა (44), 2:1 პეიჯი (85)

ლევან ხომერიკი 65-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა

### ლოზანა 4:1 ვინტერთური

0:1 კუილოუ (30), 1:1 შავერია (45), 2:1 მაიერი (51), 3:1 ჩუგა (69), 4:1 ვიტელი (75)

### თუნი 1:1 დელემონი

1:0 ბალოკი (48), 1:1 ბოსუარი (86)

### ვილი 0:0 ქსამაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| დელემონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ვილი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| აარაუ | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ლოზანა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| თუნი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:8 | 7 |
| ვინტერთური | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| ლუცერნი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:10 | 0 |

II ეტაპი. B ჯგუფი. IV ტური

ბადენი — კარუჟი 2:0; ბელინცონა — ლოკარნო 0:0; კრიენსი — ივერდონი 1:2; ვადუცი — კონკორდია 1:1





**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი ზალით,
დიდი სამზარეულოთი და
ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). კახა

# დანი დანასავით ჭრის

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXIX ტური

**რეალი 3:0 ვილიარეალი**
1:0 რაული (14), 2:0 იერო (60პ), 3:0 მაკმანამანი (64)
რეალი: სესარი, სალგადო, რობერტო კარლოსი (მუნიტისი 81), იერო, პავონი, ი. ელგერა (მაკმანამანი 60), მაკელელე, სოლარი, ზიდანი, რაული, მორიენტესი (გუტი 61)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, გალვანი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, უნაი, გალკა, კანია (გრასია 43), ამორი, გიარე (კიკე მარტინი 65), ვიქტორი (კრაიოვეანუ 64)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: იერო, ბალესტეროსი, გრასია
მსაჯი: კარმონა მენდესი
62 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:1 ბარსელონა**
1:0 დანი (3), 1:1 იტო (54ს.კ.), 2:1 დანი (77)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, ხუანიტო (ბელენგერი 86), რივასი, კაპი, იტო, დენილსონი (კანიასი 79), ხოაკინი (ვარელა 64), ბენხამინი, დანი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, დე ბური, კოკო (ხერარდი 79), პუიოლი, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე (ხავი 57), სავიოლა, რივალდო (ოვერმარსი 70), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: სავიოლა, მოტა, დენილსონი, პუიოლი, ლუის ენრიკე, პრატსი
მსაჯი: მეია დავილა
52 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:1 რაიო ვალეკანო**
1:0 პანდიანი (8), 1:1 ბოლიჩი (34)
დეპორტივო: მოლინა, სეზარი, კაპდევილა, ჰელდერი, ექტორი, მაურო სილვა, ჯალმინია (ემერსონი 82), ამავისკა, დუშერი, მაკაი (სერხიო 66), პანდიანი (ტრისტანი 84)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი, დე კინტანა, კორინო, სესარ დორადო (გლაუსიო 50), მიჩელი, კევედო, ფერონი, ელდერი, პერაგონი, ბოლიჩი (ბოლო 76)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დუშერი, კაპდევილა, ბოლიჩი, ელდერი, კორინო, ჰელდერი
გაძევება: სეზარი (13)
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
33 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 2:1 ალავესი**
0:1 ასტუდილიო (14), 1:1 ხორხე (30), 2:1 ხოსიკო (73)
ლას პალმასი: კოკოვიჩი (ორლანდო კინტანა 46), ალვარო, პაკო, შურერი, ხოსიკო, სემვეისი, ხაიო (ტვენეტი 45), ედუ ალონსო, ხორხე, კარმელო (რუბენი 72), ორლანდო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ალავესი: კიკე კოლოჩინი, კარმონა, ლორესი, ჟელი, პაბლო (ვიჩე 77), კრუიფი (ვუჩკო 77), ასტუდილიო, ტურიელი, რუბენ ნავარო, მაგნო (ლომბარდი 58)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კარმონა, ლორესი, ტურიელი, ლომბარდი, ტვენეტი
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
16 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ბილბაო**
1:0 რიკარდო (20), 2:0 დე ლუკასი (90)
ესპანიოლი: მორა, ლობო, სოლდევილა, რიკარდო, ნავასი, ალექს ფერნანდესი, როხერი (კ. მუნტიანუ 70), პაულუ სოუზა (მორალესი 90), პაჩეკო (პალენსია 77), დე ლუკასი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ლაკრუსი, ორბაისი (კუელიარი 72), აიტორ ოკიო, იესტე (დ. კარანკა 58), ტიკო, ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ორბაისი, დე ლუკასი, ლაკრუსი, კარლოს გარსია, ლარაინსარი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
22 700 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 სევილია**
1:0 ხუან სანჩესი (65), 2:0 ანგულო (90)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კურრო ტორესი, ალბელდა, კილი გონსალესი (მისტა 79), რუფეტე (ანგულო 63), აიმარი, კარეუ, ხუან სანჩესი (აურელიო 83)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სევილია: ნოტარიო, კასტედო, პრიეტო, პაბლო ალფარო, ნიეგესი, ვ. სალასი, ფრედი (ხუანმი 46), კასკერო, გალიარდო (ფრანსისკო 55), ოლივერა (ტოედტლი 63), რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: სალასი, პაბლო ალფარო, ნოტარიო, ალბელდა, ოლივერა, ნიეგესი, ფრანსისკო, სალასი, ანგულო, ანგულო
გაძევება: სალასი (76), ანგულო (90)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
48 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:4 სელტა**
0:1 სერხიო (8), 1:1 ფერნანდო (31), 1:2, 1:3 კატანია (35, 49), 2:3 ფერნანდო (69პ), 2:4 კატანია (76)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია (ეუსებიო 46), მარკოსი, მარიო, ჩემა (ბლანკო 67), ხესუსი, რიკეტი, კამინერო (გასპარი 78), ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე
მწვრთნელი: პეპე მორე
სელტა: პინტო, სილვინიო, კასერესი, კოირა, სერხიო (მენდესი 36), კარპინი (ჯოვანელა 64), მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ხუანფრანი 70), ლუკსენი, კატანია, ვაგნერი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კასერესი, მოსტოვოი, ვაგნერი, კატანია, კასერესი, რიკეტი, რიკარდო, ხესუსი
გაძევება: კასერესი (60)
მსაჯი: პერეს პერესი
14 700 მაყურებელი

**მალაგა 2:1 სარაგოსა**
1:0 ხერარდო (1), 2:0 მუსამპა (9), 2:1 აკუნია (63)
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლიტოსი, როტეტა, მიგელ ანხელი (ლეკო 60), ფერნანდო სანსი, ხოსემი, მუსამპა, რომერო, ხერარდო (ედგარი 80), დელი ვალდესი (ზარატე 61), კანაბალი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სარაგოსა: ხუანმი, კომლიენოვიჩი, პაბლო, პაკო ხემესი, სესარი (კუარტერო 25), ველისკა (გარიტანო 59), შაინიუ, აკუნია, ჟამელი (დრულიჩი 70), მილოშევიჩი, ხუანელე
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: ხუანელე, ჟამელი, მიგელ ანხელი, პაკო ხემესი, ფერნანდო სანსი, ხოსემი, კუარტერო, ედგარი, პაკო ხემესი
გაძევება: პაკო ხემესი (90)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
15 000 მაყურებელი

**მალიორკა 4:2 ოსასუნა**
1:0, 2:0 ეტოო (6, 34პ), 2:1 განსედო (43), 2:2 პალასიოსი (63), 3:2 ნადალი (79), 4:2 პაკო სოლერი (90)
მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, სივიერო, ნადალი, კამპანო, იბაგასა (მარუნოვიჩი 61), მარკოსი, რობლესი (პაკო სოლერი 66), ეტოო, ლუკე (ლოსადა 57)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
ოსასუნა: სანსოლი, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო კონტრერასი, ალფრედო (რივერო 56), პალასიოსი, პუნიალი, ფერნანდო (მატეო 46), განსედო, ლეკუმბერი, ალოიზი (საბინო 78)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ალოიზი, იბაგასა, მატეო, მატეო, ლოსადა
გაძევება: მატეო (86)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
17 000 მაყურებელი

**სოსიედადი 0:2 ტენერიფე**
0:1 მარიონი (18), 0:2 ბიჩი ფუერტესი (88პ)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო (ლორენტე 69), ტაიფური, დე პედრო, არანბურუ, დე პაულა, კოვაჩევიჩი (ლოპეს რეკარტე 60), ნიჰატი (ხოხლოვი 24)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, ალექსისი, ბერმუდო, ჩარკოსი, ბასავილბასო, მარტი, ბინუ ხაიმე (მუსტაფა 57), მარიონი (ხისკო 62), უგო მორალესი (ბასედასი 51), ბიჩი ფუერტესი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: მარტი, ჩარკოსი, ბერმუდო, არანბურუ, ლუის ალბერტო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
26 000 მაყურებელი



REUTERS

ვალიადოლიდი — სელტა. დიეგო კატანიამ მასპინძელთა მეკარე რიკარდოს ჰეთ თრიკი შეუსრულა

**ერთ დროს** ლიდერმა, მერე კი ნელ-ნელა დაღმა წასულმა „რეალ ბეტისმა“ მშობლიურ „მანუელ რუის დე ლოპერაზე“ 2:1 მოუგო „ბარსელონას“, რითაც მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

მატჩის გმირი უდავოდ ყმაწვილი სევილიელი ფორვარდი დანი იყო და არა მხოლოდ ორივე ტაიმში გატანილი თითო გოლის გამო. დანი, ვისმა ჩინებულმა თამაშმაც სათადარიგოთა სკამზე გაამწესა „ბეტისის“ გამოცდილი თავდამსხმელები, გაბრიელ ამატო და ჟოაუ ტომასი, მეტოქე მცველთა ნამდვილ რისხვად ქცეულა. წინა ტურშიც „ვილიარეალთან“ და ახლაც, მისი შეჩერების ერთადერთ საშუალებად მცველებს წესის დარღვევა რჩებათ და ამბობენ, დანი ლიდსელ ალან სმიტივით თამაშობს, ოღონდ მასავით არ შეჰყრია ვარსკვლავური სენიო.

და „ბარსელონა“? ერთადერთი, რაც კატალონიელებმა მოახერხეს, ანტონიო იტოს საკუთარი კარი დაალაშქვრინეს. „ბარსელონას“ თამაშზე, „ბეტისისგან“ განსხვავებით, დაკვირვების მეტი საშუალება გვაქვს და შევამჩნევდით, რომ ბურთის ფლობის პრობლემა არა აქვს, მაგრამ როგორც კი საქმე გოლის გატანაზე მიდგება, ვერაფერს აწყობს.

არადა, ხვალ „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულს“ უმასპინძლებს და ვითარება იმდაგვარია, წაგებულს ჯგუფიდან გასვლა, ალბათ, აუხდენელ ოცნებად ექცევა.

სამეფო თასის ფინალში წაგების მერე „რეალი“ გაავებული რომ იქნებოდა, „ვილიარეალის“ თავკაც ვიქტორ მუნიოსს, ცხადია, არ ესწავლებოდა, მაგრამ მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა. ანგარიში უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა რაულმა გახსნა, ზინედინ ზიდანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კაპიტანმა იერომ გაიტანა, წიხლი კი ვილიარეალელებს შეცვლაზე შესულმა სტივ მაკმანამანმა მიაყოლა.

„რეალის“ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, ლუიშ ფიგუს გარდა დელ ბოსკეს რჩეულთაგან ყველამ ითამაშა. ფიგუს კი, მოგეხსენებათ, კოჭი სტკივა. ფიგუს გახსენება კი აი, რატომ დაგვჭირდა — მომდევნო ტურში „რეალი“ „კამპ ნოუზე“ თამაშობს.

„რეალმა“ კი მოიგო, მაგრამ რად გინდა — მოიგო „ვალენსიამაც“ და ლიდერი კვლავაც ის არის. ხუან სანჩესისა და მოგვიანებით გაძევებული მიგელ ანხელ ანგულოს გოლებით „ვალენსიამ“ წაუგებელი სერია რვა მატჩამდე გაზარდა. რატომ გააძევა არბიტრმა მუნის ფერნანდესმა ანგულო? გოლის ზეიმი გაუგრძელდა, თამაშს აჭიანურებსო და ყვითელი ბარათი ამოუღო, რაც ანგულოსთვის მეორე იყო. არადა, რა გაჭიანურებაზეა ლაპარაკი, როცა უკვე წამატებული წუთები მიდიოდა და მასპინძლებს ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდათ. სხვათა შორის, რაფაელ ბენიტესის გუნდმა სეზონში მხოლოდ მეოთხედ მოიგო ერთ ბურთზე მეტი სხვაობით.

„დეპორტივოს“ საშინაო ფრე წყალწაღებულ „რაიო ვალეკანოსთან“ სენსაციათა რიგისთვის შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა, რომ არა ერთი გარემოება — ლაკორუნიელები ჯერაც სამეფო თასის მოგებით გამოწვეულ ეიფორიაში არიან. თუმცა მარტო ესეც არაა, გალისიელებს მთელი 78 წუთი კაცნაკლულებს მოუხდათ თამაში, ხოლო ხავიერ ირურეტამ „არსენალთან“ სალიგო მატჩისთვის ნურედინ ნაიბეტის, დიეგო ტრისტანისა და ხუან კარლოს ვალერონის დასვენება გადაწყვიტა. ვალერონ-ტრისტანის ს[illegible]ეტის არყოლა კი მოგეხს[illegible]ებათ, რასაც ნიშნავს.

„სელტასთან“ შეხვედრაში ვალიადოლიდს [illegible] ფერნანდოს [illegible] და [illegible] გალისიელთა გაესპანელებულ ბრაზილიელს, დიეგო კატანიას ჰეთ თრიქის შესრულება მოეპრიანა. სტუმართაგან ერთი სერხიომაც შეაგდო, ხოლო ფერნანდოს პენალტით გატანილი მეორე გოლი მენდესის ხელით თამაშს მოჰყვა.

მოგებით კი მოიგო, მაგრამ „სელტას“ თავკაც ვიქტორ ფერნანდესს სხვა პრობლემა გასჩენია, უკიჟინებენ, სეზონი უთუოდ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე უნდა ჩაამთავროო. როგორი შესასრულებელია?! ვინ უნდა ამოაგდოს, „ვალენსია“, „რეალი“, „დეპორტივო“ თუ „ბარსელონა“?

სად იყვნენ აქამდე? თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო — „ტენერიფეზე“ მოგახსენებთ. ცხრილის ფსკერზე უიმედოდ ჩაწოლილ „ტენერიფეს“ იმედი გაუჩნდა და ამ იმედს ხავიერ კლემენტე ჰქვია. სამ მატჩში შვიდი ქულა და კუნძულელები ფსკერიდან დაიძრნენ.

კლემენტემ ამჯერად „რეალ სოსიედადი“ იმსხვერპლა — თავისი ყოფილი კლუბი. პირველი გოლი ბრუნო მარიონიმ საჯარიმოთი გაიტანა და მეკარე სანდერ ვესტერფელდი ადგილიდან არც დაძრულა, მეორე ბიჩი ფუერტესმა პენალტით შეაგდო.

შავი დღე დაადგათ სხვა ბასკურ გუნდებსაც — „სოსიედადის“ მსგავსად, „ბილბაომ“, „ოსასუნამ“ და „ალავესმაც“ წააგეს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბილბაოელთა მეკარე ინიაკი ლაფუენტემ ესპანიოლელ რაულ ტამუდოს პენალტი აუღო, წაგებას კი მაინც ვერ გადაურჩა.

**გიორგი დარჯანია**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მორიენტესი (რეალი) | 16 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 15 |
| რაული (რეალი) | 14 |
| კატანია (სელტა) | 14 |
| მოიზესი (სევილია) | 13 |

**XXX ტური**
17 მარტი

ალავესი - ბილბაო
სელტა - ლას პალმასი
ვილიარეალი - ვალიადოლიდი
ბარსელონა - რეალი
სარაგოსა - ბეტისი
სევილია - მალაგა
რაიო ვალეკანო - ვალენსია
ოსასუნა - დეპორტივო
ტენერიფე - მალიორკა
სოსიედადი - ესპანიოლი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 29 | 14 | 11 | 4 | 35:22 | 13 | 53 | 14 | 9 | 4 | 1 | 17:6 | 11 | 31 | 15 | 5 | 7 | 3 | 18:16 | 2 | 22 |
| 2 | რეალი | 29 | 15 | 7 | 7 | 56:31 | 25 | 52 | 15 | 11 | 4 | 0 | 38:11 | 27 | 37 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:20 | -2 | 15 |
| 3 | ბეტისი | 29 | 13 | 10 | 6 | 34:25 | 9 | 49 | 15 | 10 | 3 | 2 | 23:10 | 13 | 33 | 14 | 3 | 7 | 4 | 11:15 | -4 | 16 |
| 4 | დეპორტივო | 29 | 14 | 6 | 9 | 42:34 | 8 | 48 | 14 | 9 | 3 | 2 | 24:9 | 15 | 30 | 15 | 5 | 3 | 7 | 18:25 | -7 | 18 |
| 5 | ბარსელონა | 29 | 13 | 7 | 9 | 48:28 | 20 | 46 | 14 | 9 | 3 | 2 | 33:12 | 21 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 15:16 | -1 | 16 |
| 6 | სელტა | 29 | 11 | 12 | 6 | 47:34 | 13 | 45 | 15 | 7 | 5 | 3 | 27:15 | 12 | 26 | 14 | 4 | 7 | 3 | 20:19 | 1 | 19 |
| 7 | ბილბაო | 29 | 12 | 9 | 8 | 40:41 | -1 | 45 | 15 | 6 | 6 | 3 | 21:19 | 2 | 24 | 14 | 6 | 3 | 5 | 19:22 | -3 | 21 |
| 8 | ალავესი | 29 | 13 | 3 | 13 | 29:29 | 0 | 42 | 15 | 8 | 1 | 6 | 16:15 | 1 | 25 | 14 | 5 | 2 | 7 | 13:14 | -1 | 17 |
| 9 | ესპანიოლი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:41 | -4 | 41 | 15 | 10 | 2 | 3 | 27:15 | 12 | 32 | 14 | 1 | 6 | 7 | 10:26 | -16 | 9 |
| 10 | ვალიადოლიდი | 29 | 11 | 6 | 12 | 33:46 | -13 | 39 | 15 | 8 | 3 | 4 | 20:14 | 6 | 27 | 14 | 3 | 3 | 8 | 13:32 | -19 | 12 |
| 11 | სევილია | 29 | 10 | 8 | 11 | 43:34 | 9 | 38 | 14 | 5 | 5 | 4 | 22:14 | 8 | 20 | 15 | 5 | 3 | 7 | 21:20 | 1 | 18 |
| 12 | მალაგა | 29 | 9 | 11 | 9 | 33:37 | -4 | 38 | 15 | 7 | 5 | 3 | 22:18 | 4 | 26 | 14 | 2 | 6 | 6 | 11:19 | -8 | 12 |
| 13 | ოსასუნა | 29 | 8 | 10 | 11 | 27:36 | -9 | 34 | 14 | 4 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 18 | 15 | 4 | 4 | 7 | 15:24 | -9 | 16 |
| 14 | მალიორკა | 29 | 9 | 6 | 14 | 34:39 | -5 | 33 | 14 | 5 | 4 | 5 | 18:15 | 3 | 19 | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | -8 | 14 |
| 15 | ვილიარეალი | 29 | 8 | 9 | 12 | 30:36 | -6 | 33 | 15 | 6 | 5 | 4 | 19:15 | 4 | 23 | 14 | 2 | 4 | 8 | 11:21 | -10 | 10 |
| 16 | ლას პალმასი | 29 | 8 | 9 | 12 | 29:35 | -6 | 33 | 15 | 6 | 7 | 2 | 19:11 | 8 | 25 | 14 | 2 | 2 | 10 | 10:24 | -14 | 8 |
| 17 | სარაგოსა | 29 | 9 | 5 | 15 | 27:41 | -14 | 32 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:18 | -1 | 21 | 15 | 3 | 2 | 10 | 10:23 | -13 | 11 |
| 18 | ტენერიფე | 29 | 8 | 7 | 14 | 24:39 | -15 | 31 | 14 | 5 | 4 | 5 | 16:20 | -4 | 19 | 15 | 3 | 3 | 9 | 8:19 | -11 | 12 |
| 19 | სოსიედადი | 29 | 8 | 6 | 15 | 35:43 | -8 | 30 | 14 | 5 | 4 | 5 | 23:19 | 4 | 19 | 15 | 3 | 2 | 10 | 12:24 | -12 | 11 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 29 | 7 | 8 | 14 | 34:46 | -12 | 29 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 3 | 23 | 15 | 0 | 6 | 9 | 15:30 | -15 | 6 |

### მეორე დივიზიონი
### XXXI ტური

**ატლეტიკო 2:2 ნუმანსია**
1:0 აგილერა (14), 2:0 ნაგორე (47), 2:1 ბარი (71), 2:2 მარინი (90)

**ხიმნასტიკი 1:1 სპორტინგი**
0:1 ბარი (2), 1:1 კუელიარი (13)

**ელჩე 2:3 კორდობა**
1:0 რამონი (29), 2:0 ივარსი (55), 2:1 ელოი (69), 2:2 რამონი (79ს.კ.), 2:3 ლოპეს რამოსი (90)

**ესტრემადურა 0:1 სალამანკა**
0:1 მაკუკულა (50)

**ხაენი 1:4 ფეროლი**
0:1 ისმაელი (9პ), 0:2 დელპორტე (35), 0:3 მენდესი (66), 0:4 ისმაელი (72), 1:4 პეპელუ (76)

**პოლი ეხიდო 1:0 ბადახოსი**
1:0 ანხელ როდრიგესი (77პ)

**ბურგოსი 0:0 ლეგანესი**

**მურსია 0:0 ალბასეტე**

**ოვიედო 1:1 უელვა**
0:1 რ. მოლინა (53), 1:1 სანტამარია (71)

**რასინგი 4:2 ლევანტე**
1:0 გერერო (39პ), 1:1 კაიკუ (45), 2:1 მორანი (52), 3:1 მატეო (67), 4:1 მაცონი (78), 4:2 აურელიო (85)

**ხერესი 1:0 ეიბარი**
1:0 ანტონიო (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 31 | 19 | 6 | 6 | 50:25 | 63 |
| ხერესი | 31 | 17 | 5 | 9 | 32:25 | 56 |
| რასინგი | 31 | 13 | 11 | 7 | 42:28 | 50 |
| უელვა | 31 | 12 | 13 | 6 | 29:23 | 49 |
| ოვიედო | 31 | 10 | 16 | 5 | 30:22 | 46 |
| ფეროლი | 31 | 14 | 4 | 13 | 44:39 | 46 |
| ალბასეტე | 31 | 12 | 8 | 11 | 35:28 | 44 |
| სპორტინგი | 31 | 11 | 10 | 10 | 39:35 | 43 |
| სალამანკა | 31 | 10 | 13 | 8 | 40:39 | 43 |
| ელჩე | 31 | 11 | 10 | 10 | 32:33 | 43 |
| კორდობა | 31 | 11 | 9 | 11 | 37:36 | 42 |
| ეიბარი | 31 | 10 | 11 | 10 | 33:23 | 41 |
| ბურგოსი | 31 | 10 | 11 | 10 | 24:27 | 41 |
| ბადახოსი | 31 | 11 | 6 | 14 | 30:36 | 39 |
| მურსია | 31 | 8 | 12 | 11 | 24:28 | 36 |
| ესტრემადურა | 31 | 9 | 9 | 13 | 24:29 | 36 |
| ლეგანესი | 31 | 8 | 11 | 12 | 22:31 | 35 |
| ნუმანსია | 31 | 8 | 11 | 12 | 30:42 | 35 |
| ხაენი | 31 | 9 | 8 | 14 | 24:37 | 35 |
| ხიმნასტიკი | 31 | 7 | 10 | 14 | 27:36 | 31 |
| პოლი ეხიდო | 31 | 7 | 10 | 14 | 28:38 | 31 |
| ლევანტე | 31 | 6 | 12 | 13 | 32:48 | 30 |



ნიუკასლი — არსენალი. ლონდონელთა მეკარე რიჩარდ რაიტმა ალან შირერს არ გაატანინა

# ტოტენჰემი განზე

## ინგლისი

### ასოციაციის თასი მეოთხედფინალი

**ნიუკასლი 1:1 არსენალი**

0:1 ედუ (14), 1:1 რობერი (52)

**მიდლსბრო 3:0 ევერტონი**

1:0 უელანი (35), 2:0 ნემეტი (37), 3:0 ინსი (42)

**ტოტენჰემი 0:4 ჩელსი**

0:1 გალასი (12), 0:2 გუდიონსენი (48), 0:3 ლე სო (54), 0:4 გუდიონსენი (66)

გაძევება: ლე სო (77, „ჩელსი")

**ვესტ ბრომვიჩი (I) 0:1 ფულემი**

0:1 მარლე (47)

**ასოციაციის** თასის მეოთხედფინალში „ჩელსის" 4:0 მოუგო „ტოტენჰემს" და ახლა ნახევარფინალში კარის მეზობელ „ფულემს" შეხვდება, რომელმაც სტივ მარლეს ერთადერთი გოლით მოუგო სტუმრად „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს", მეოთხედფინალს შემორჩენილ ერთადერთ პირველდივიზიონურ გუნდს.

ოთხ საუკეთესოს შორის მოხვდა „მიდლსბროც", რომელმაც შინ ულაპარაკოდ დაჯაბნა „ევერტონი". კიდევ ერთი, დარჩენილი საგზურისთვის კი „ჰაიბერიზე" მოუწევთ ბრძოლა „არსენალსა" და „ნიუკასლს", რომლებმაც ფრედ დაასრულეს თავიანთი შეხვედრა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე". გადათამაშება 23 მარტს გაიმართება და დიდ ტვირთად დააწვება ლიგის უმაღლესი ტიტულისთვის მებრძოლ ამ გუნდებს.

ყველაზე ხმაურიანი კი მაინც „ტოტენჰემ" — „ჩელსის" შეხვედრა იყო პირველის მშობლიურ „უაით ჰართ ლეინზე". იანვარში, „ტოტენჰემმა" ამავე სტადიონზე 5:1 მოუგო „ჩელსის" და ლიგის თასის ნახევარფინალიდან დაითხოვა. ამავე მოგებით გლენ ჰოდლის გუნდმა „ჩელსისთან" 26-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

„ჩვენ სამაგიერო გვინდოდა", თქვა ეიდურ გუდიონსენმა, რომელმაც ორი გოლი გაუტანა მასპინძლებს. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, როცა ტოტენჰემელთა მეკარე ნილ სალივანი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ასცდა და უილიამ გალასმა იგი ცარიელ კარში შეაგდო.

მასპინძელთა განადგურება მეორე ტაიმის პირველ ოც წუთში მოხდა: ლეს ფერდინანდმა კარგი საგოლე მომენტი გააფუჭა, პირაქეთა შეტევის დროს კი გუდიონსენმა თამაშგარეზე მიმართული დაცვა გაჭრა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ამას გრემ ლე სოს მოხდენილი გოლი მოჰყვა, 66-ე წუთზე კი იმავ გუდიონსენმა კიდევ ერთი გაუტანა წამხდარ მასპინძლებს.

„ჩელსისთვის" საუხერხულოდ ერთი რამ დარჩა, გიჟმაჟი ლე სო მაინც გააძევეს მეორე ყვითლით. თამაშზე მყოფ ნაკრების მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს კი კვლავაც გადასაწყვეტი აქვს, მიიწვიოს თუ არა ეს უბერებელი მცველი ნაკრებში. „ტოტენჰემი" კი, განთქმული სათასო გუნდი, წლეულს ნამდვილი ევროპული საგზურის გარეშე რჩება.

„მიდლსბრომ" პირველი ტაიმის ორმოც წუთში მოუმზადა სამი უპასუხო გოლი „ევერტონს" და მერე დუქანი დაკეტა. პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლი ამ გუნდების შეხვედრაში მოუმზადებელნი ლივერპულელი სტუმრები აღმოჩნდნენ. მეკარე სტივ სიმონსენისა და მცველ ალესანდრო პისტონეს შეუთანხმებლობამ ნოელ ვილანს ანგარიში გაახსნევინა. ორიოდ წუთში შილარდ ნემეტმა სტუმართა ძელიდან ასხლეტილ ბურთს შეუშვირა თავი, ტაიმის მიწურულს კი პოლ ინსმა ჩააჭედა ბურთი კარში.

„შესვენებისას ვერაფერი ვურჩიე ბიჭებს" — თქვა ბოროელთა თავკაცმა სტივ მაკლარენმა - ისინი ისედაც მშვენივრად თამაშობდნენ, ახლა ნახევარფინალში ვართ და ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

„ბოროსი" არ იყოს, ამ თასის ფინალში არასოდეს უთამაშია „ფულემს", რომელიც 27 წელიწადია არ მოხვედრილა ოთხ საუკეთესოს შორის და ახლა მარლეს თავურის წყალობით მოახერხა ეს საქმე.

ეს თამაშები კვირას გაიმართა, შაბათს კი, ნიუკასლში, ამ სეზონში მესამედ შეხვდნენ იქაურები და მეთოფენი. ჩემპიონატში გუნდებმა მოგებები გაინაწილეს და სამ-სამი ბურთი გაუტანეს ერთმანეთს. საბოლოოდ აქაც ფრე გამოვიდა და ბრაზილიელ ედუს მიერ ადრევე დაწინაურებულ სტუმრებს ლორან რობერმა მეორე ტაიმის დასაწყისში უპასუხა მშვენიერი დარტყმით. გადათამაშება იმ კვირაში გაიმართება, გამარჯვებულს კი „მიდლსბრო" ელის.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ნახევარფინალის წილისყრა**

მიდლსბრო — არსენალი ან ნიუკასლი
ფულემი — ჩელსი
მატჩები გაიმართება 14 აპრილს

### პრემიერლიგა. XXIX ტური

**ლესტერი 1:1 ჩარლტონი**

1:0 სკოუკროფტი (20), 1:1 იუელი (42)

ლესტერი: უოქერი, ფ. სინკლერი, დელენი, უ-ლაურსენი, ს. მარშალი, პიპერი, სევიჯი, იზეტი, დინი, დიკოვი, სკოუკროფტი (ს. ოუქსი 53)

მწვრთნელი: დეივ ბასეტი

ჩარლტონი: დ. კელი, დ. პაუელი, კონჩესკი (მ. ბრაუნი 80), იანგი, ფორტუნი, ჟორჟე კოშტა, გ. სტიუარტი, ბარტ-უილიამსი, პარკერი, სვენსონი, იუელი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: პაუელი, ბრაუნი, ოუქსი, ჟორჟე კოშტა

მსაჯი: უილკისი

18 562 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 30 | 19 | 4 | 7 | 73:37 | 61 |
| არსენალი | 29 | 17 | 9 | 3 | 58:31 | 60 |
| ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 50:25 | 59 |
| ნიუკასლი | 29 | 17 | 4 | 8 | 52:38 | 55 |
| ლიდსი | 29 | 12 | 12 | 5 | 39:29 | 48 |
| ჩელსი | 28 | 12 | 11 | 5 | 50:30 | 47 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 11 | 8 | 34:34 | 41 |
| ტოტენჰემი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:40 | 38 |
| ჩარლტონი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:34 | 38 |
| ვესტ ჰემი | 29 | 10 | 7 | 12 | 32:44 | 37 |
| ფულემი | 29 | 8 | 11 | 10 | 29:34 | 35 |
| საუთჰემპტონი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:43 | 35 |
| მიდლსბრო | 29 | 9 | 8 | 12 | 28:36 | 35 |
| სანდერლენდი | 29 | 9 | 7 | 13 | 23:33 | 34 |
| ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:35 | 30 |
| იფსვიჩი | 28 | 8 | 6 | 14 | 35:45 | 30 |
| ბოლტონი | 29 | 6 | 12 | 11 | 31:44 | 30 |
| ბლექბერნი | 28 | 7 | 8 | 13 | 36:37 | 29 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 7 | 5 | 17 | 23:46 | 26 |
| ლესტერი | 29 | 3 | 9 | 17 | 19:51 | 18 |

### I დივიზიონი. XXXIX ტური

**ბარნსლი 1:1 შეფილდ იუნაიტედი**

0:1 დჯაფო (29), 1:1 დაიერი (40)

**ბირმინგემი 2:2 ვულვერჰემპტონი**

0:1 ბატლერი (20), 0:2 ლესკოტი (29), 1:2 ჯონი (36), 2:2 დევლინი (45)

**ძოვენთრი 2:1 ნორვიჩი**

0:1 ლიბრა (45), 1:1, 2:1 პიუზი (51პ, 90)

**კრისტალ პალასი 0:2 უოტფორდი**

0:1 ნილსენი (45), 0:2 გეილი (47)

**გრიმსბი 2:2 უოლსოლი**

1:0 გროვსი (11), 2:0 რობერი (51პ.კ.), 2:1 ლეიტაო (80), 2:2 ბიფილდი (90)

**ნოტინგემი 0:0 უიმბლდონი**

**პორტსმუთი 3:0 მილუოლი**

1:0 ბიაჯინი (5), 2:0 ონილი (10), 3:0 პიტი (62)

**პრესტონი 2:1 როტერჰემი**

1:0 კროსველი (45), 1:1 ლი (65), 2:1 კროსველი (69)

**შეფილდ უენსდი 0:0 ჯილინგემი**

**სტოკპორტი 0:2 ბარნლი**

0:1 ტეილორი (61), 0:2 კოქსი (83)

**ბრედფორდი 0:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 ჰაკერბი (44), 0:2 მაკენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 39 | 23 | 9 | 7 | 70:35 | 78 |
| სიტი | 37 | 24 | 5 | 8 | 86:45 | 77 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 20 | 7 | 11 | 45:26 | 67 |
| ქოვენტრი | 39 | 20 | 5 | 14 | 58:40 | 65 |
| მილუოლი | 38 | 18 | 10 | 10 | 58:41 | 64 |
| ბარნლი | 38 | 18 | 10 | 10 | 60:50 | 64 |
| პრესტონი | 38 | 16 | 11 | 11 | 57:50 | 59 |
| კრ. პალასი | 39 | 18 | 4 | 17 | 65:57 | 58 |
| ნორვიჩი | 38 | 17 | 7 | 14 | 50:47 | 58 |
| ბირმინგემი | 37 | 16 | 9 | 12 | 54:44 | 57 |
| უოტფორდი | 39 | 14 | 10 | 15 | 55:46 | 52 |
| უიმბლდონი | 37 | 13 | 13 | 11 | 51:45 | 52 |
| ჯილინგემი | 38 | 14 | 9 | 15 | 53:56 | 51 |
| ნოტინგემი | 39 | 11 | 17 | 11 | 42:37 | 50 |
| შეფილდი | 38 | 12 | 14 | 12 | 42:43 | 50 |
| პორტსმუთი | 38 | 13 | 10 | 15 | 55:61 | 49 |
| ბრედფორდი | 37 | 13 | 6 | 18 | 60:66 | 45 |
| როტერჰემი | 39 | 10 | 14 | 15 | 47:58 | 44 |
| ქრიუ | 34 | 11 | 8 | 15 | 35:54 | 41 |
| უენსდი | 39 | 10 | 11 | 18 | 42:62 | 41 |
| ბარნსლი | 39 | 8 | 15 | 16 | 51:73 | 39 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 12 | 18 | 38:62 | 39 |
| უოლსოლი | 39 | 9 | 10 | 20 | 41:63 | 37 |
| სტოკპორტი | 38 | 3 | 8 | 27 | 34:88 | 17 |

### II დივიზიონი

39-ე ტური: ბორნმუთი — ნორთჰემპტონი 5:1; ბრისტოლი — კემბრიჯი 2:0; ბერი — ნოტსი 0:4; კარდიფი — ბლეკპული 2:2; ჰადერსფილდი — სუინდონი 2:0; პიტერბრო — კოლჩესტერი 3:1; პორტ ვეილი — ტრანმერი 1:1; ქუინზ პარკი — ჩესტერფილდი 0:0; რედინგი — ბრაიტონი 0:0; უიგანი — ოლდემი 1:0; რექსემი — ბრენტფორდი 0:3; უიკომბი — სტოკი 1:0

### III დივიზიონი

39-ე ტური: კარლაილი — სუონსი 3:1; ჩელტენემი — იორკი 4:0; ჰარტლპული — როშდეილი 1:1; ჰალი — სკანთორპი 0:1; კიდერმინსტერი — ექსეტერი 3:1; ლეიტონი — მაკლსფილდი 2:0; მენსფილდი — ოქსფორდი 2:1; რაშდენი — ლუტონი 1:2; შრიუსბერი — ჰალიფაქსი 3:0; საუთენდი — როჩდეილი 0:0; ტორკი — ლინკოლნი 2:0. დარლინგტონი — პლიმუთი გადაიდო

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXXI ტური

**რეინჯერსი 1:1 სელტიკი**

0:1 პეტროვი (23), 1:1 ნუმანი (59)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ლ. ამორუზო, ნუმანი, კონტერმანი, ტ. ვიდმარი, ბ. ფერგიუსონი, მაკკანი, კანიჯა (შ. არველაძე 46), ფლო, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

სელტიკი: დუგლასი, ბალდე, მიალბი, გაჰი (მაკნამარა 76), ლამბერტი, ლენონი, ს. პეტროვი, კრეინი, აგატი, ლარსონი, ჰარტსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ფერგიუსონი

მსაჯი: დალასი

49 765 მაყურებელი

**დანდი 2:3 აბერდინი**

1:0 სარა (15პ), 2:0 ქეცბაია (40), 2:1 დ. იანგი (55), 2:2 რ. ანდერსონი (74), 2:3 მაკი (77)

დანდი: სპერონი, ბეგეტო, სმიტი, მაკეი, დელ რიო, რავე, ტორესი, არტერო (რომანო 70), ქეცბაია, კაბალიერო, სარა

ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: კაბალიერო, ბეგეტო, რომანო, რომანო

გაძევება: რომანო (77)

მსაჯი: კლარკი

8 250 მაყურებელი

**დანფერმლაინი 2:0 კილმარნოკი**

1:0 ს. ნდიაე (67), 2:0 ჰემპშირი (76)

**ჰარტსი 1:2 დანდი იუნაიტედი**

0:1 ელჯოფრი (11პ), 0:2 ჩ. მილერი (34), 1:2 რ. გალაჰერი (81პ)

**ლივინგსტონი 0:3 ჰიბერნიანი**

0:1 ოკონორი (15), 0:2 ჯ. ონილი (45), 0:3 ბრეზერსენი (78პ.კ.)

**სენტ ჯონსტონი 0:2 მოზერუელი**

0:1 მაკფადენი (10პ), 0:2 დ. ლემანი (62)

# წურწური ფეხებშუა, წუწუნი ფანებშუა

**გლაზგოური** დერბი ანუ „ოლდ ფირმი" შოტლანდიური პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მესამედ გაიმართა და „რეინჯერსმა" კვლავ ვერ მოიგო. წინა ორი „ოლდ ფირმი" სელტიკელებისა იყო, მეოთხედ კი გლაზგოელები პრემიერლიგის ექვსეულებად დაყოფის შემდეგ შეხვდებიან.

ჩემპიონობა „სელტიკზე" ალალი უნდა იყოს. მარტინ ონილის ბიჭებმა 59-ე წუთამდე წურწური გაადინეს „რეინჯერსს". რომ არა არტურ ნუმანის ჩუბინობა, „ჩაფრები" მატჩს ვერ გადაარჩენდნენო, იუწყება გაზეთი „სანი" და ვერც „რეინჯერსის" ვებ-გვერდზე ამოიკითხავთ გუნდის საქებარ სიტყვებს.

ნუმანის გარდა იყოჩაღა ლორენცო ამორუზომაც. „ჩაფართა" იტალიელი დაცვის ბურჯი ნამდვილი ფარი გახლდათ და მისმა ჯიგრიანმა თამაშმა დიდად შეუწყო ხელი რეინჯერსელთა არწაგებას.

ალექს მაკლიშზე აუგი არავის დასცდენია. მასპინძელთა მენეჯერმა ალღოიანად კი დამოძღვრა გუნდი, მაგრამ ტრავმირებული ფეხბურთელების არყოფნაში, უდრეკ „სელტიკთან" „რეინჯერსს" მოგების ძალიან მცირე შანსი ჰქონდა.

განსაკუთრებით რონალდ დე ბურის არყოფნამ დაასვა დაღი მაკლიშის გუნდს. მეორე ტაიმში შესულ შოთა არველაძეს კი ნაღრძობი კოჭის გამო ერთ კვირაზე მეტი გაუცდა და, ცხადია, მთელი ძალით ვერ ეძგერა „სელტიკის" დაცვას.

გლაზგოელ კათოლიკეთა ბულგარელი შუახაზელი სტილიან პეტროვი ბერნდ კონტერმანს კარგად დაუსხლტა, თანაგუნდელის ჩაწოდებულს პირველმა მიუსწრო და შტეფან კლოსის ფეხებშუა გატარებული ბურთით ანგარიშიც გახსნა.

„რეინჯერსი" ვითომდა გაბრაზდა, მაგრამ თამაში ისევ „სელტიკის" კარნახით გრძელდებოდა, სანამ ჰოლანდიელი მცველი არტურ ნუმანი არ გამოტყვრა. მან პიტერ ლოვენკრანდსის პასი „სელტიკის" საჯარიმო მოედნის მარცხენა წიბოსთან მიიღო, მეტოქე ამით არანაირ ხიფათს არ ელოდა, მაგრამ ნუმანმა თავი ყინჩად ასწია, ვითარება შეაფასა და დუგლასს ღონიერი ცაციით უკიდურეს კუთხეში გაუტანა.

ამის შემდეგ დუგლასს ორჯერ მოუხდა საშუალო მანძილიდან მაკკანისა და კონტერმანის მიერ დაქუხებულების მოგერიება.

შტეფან კლოსმა კი სტივენ კრეინის შორეული, მაგრამ მშვენივრად შესრულებული საჯარიმო დარტყმა გააუვნებლა.

თუმც მეკარეთა ამბავში ბოლოს მაინც დუგლასს მოუწია რიგმა — შოთა არველაძის თავურისთვის მინდორზე მოხდენილად გაიშოტ-გაიწელა.

ნახევარი მატჩი დაქშიტინობდა თემურ ქეცბაია და, შესაბამისად, „დანდის" ქართველმა ჯერ 11-მეტრიანი მოინადირა და ხუან სარამ აქცია გოლად. მერე ქეცბაიამ, ინდივიდუალური თამაშით ხელახლა გაიბრწყინა და მეტოქის საჯარიმოში არშესულმა სოლო ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმში „დანდის" არგენტინელმა შუახაზელმა ხუან არტერომ ახლოდან სასწაულად აცილა ბურთი „აბერდინის" კარს და ზუსტად ერთ წუთში „დანდიმ" პირველი გოლიც გაუშვა — დარენ იანგმა ახლოდან იხეირა.

„დანდის" ერთხელაც მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ამჯერად კაბალიერომ ვერ ივარგა. ამის შემდეგ კი „აბერდინმა" თავისი „საშინაო დავალების" ცხოვრებაში გატარებას მიჰყო ხელი. დამუშავებული და დანდელებისთვის თავგზაამბნევ კუთხურებით ჯერ გაათანაბრა, მერე გამარჯვებისაც შეაგდო — ორი თავური, ორი გოლი.

ბოლოდან მეორე ადგილზე ჩაყუდებული „დანდის" ფანობა ერთობ გაწიწმატდა და კლუბის ხელმძღვანელობასთან დაიწუწუნა, გუნდს ახალი სისხლი გადაუსხან — ჯეელები და ბოლომდე მებრძოლი ხალხი გვჭირდებაო.

**დავით თავართქილაძე**



რეინჯერსი — სელტიკი. „აიბროქსზე" ანგარიში სტილიან პეტროვმა გახსნა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 27 | 3 | 1 | 73:15 | 84 |
| რეინჯერსი | 32 | 22 | 8 | 2 | 70:23 | 74 |
| ლივინგსტონი | 30 | 13 | 8 | 9 | 39:32 | 47 |
| აბერდინი | 31 | 14 | 5 | 12 | 45:43 | 47 |
| კილმარნოკი | 31 | 11 | 8 | 12 | 36:40 | 41 |
| დანფერმლაინი | 31 | 11 | 7 | 13 | 37:51 | 40 |
| ჰართსი | 31 | 11 | 6 | 14 | 41:42 | 39 |
| დანდი იუნ. | 31 | 9 | 8 | 14 | 31:53 | 35 |
| მოზერუელი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:55 | 33 |
| ჰიბერნიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 40:48 | 31 |
| დანდი | 30 | 8 | 7 | 15 | 31:48 | 31 |
| სტ. ჯონსტონი | 32 | 4 | 4 | 24 | 20:55 | 16 |

### პირველი დივიზიონი

30-ე ტური: არბროთი — ინვერნესი 1:0; ეარი — პარტიკ თისლი 1:1; ფოლკირკი — რეით როვერსი 2:1; როს ქაუნთი — კლაიდი 2:1; სტ. მირენი — ერდრი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიკ თისლი | 29 | 16 | 7 | 6 | 52:31 | 55 |
| ერდრი | 27 | 13 | 8 | 6 | 49:27 | 47 |
| ეარი | 29 | 11 | 8 | 10 | 47:40 | 41 |
| არბროთი | 29 | 12 | 3 | 14 | 34:50 | 39 |
| ინვერნესი | 28 | 11 | 4 | 13 | 54:48 | 37 |
| სტ. მირენი | 29 | 9 | 10 | 10 | 36:43 | 37 |
| კლაიდი | 28 | 10 | 6 | 12 | 40:47 | 36 |
| ფოლკირკი | 28 | 10 | 5 | 13 | 44:60 | 35 |
| როს ქაუნთი | 26 | 10 | 4 | 12 | 34:35 | 34 |
| რეით როვერსი | 29 | 7 | 9 | 13 | 46:55 | 30 |

### მეორე დივიზიონი

28-ე ტური: ქოუდენბითი — ფორფარი 1:2; ჰამილტონი — ბერიკი 3:1; მორტონი — კლაიდბენკი 3:1; ქუინ ოფ საუთ — სტრენრარი 3:1; სტენჰაუზმური — ალოა 1:0

### მესამე დივიზიონი

28-ე ტური: ბრეჩინი — მონტროუზი 2:0; დამბარტონი — ისტ სტირლინგი 2:1; ისტ ფაიფი — სტირლინგი 1:1; ქუინზ პარკი — ალბიონი 0:3. ელგინი — პიტერჰედი გადაიდო




ცსკა — ტორპედო ზილ. არმიელთა კაპიტანი სერგეი სემაკი და ალექსანდრ კურტიანუ პირველივე ტურში გააძევეს

# რუსული პრემიერა: ეს იყო, იყო, იყო...

## რუსეთი

### პრემიერლიგა. I ტური

**ლოკომოტივი 1:0 ალანია**

1:0 ლეკხეტო (61)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, ნიჟეგოროდოვი, სენიკოვი, ლოსკოვი, სიჩხაევი, მამინოვი, იზმაილოვი, დემეტრაძე (ობრადოვიჩი 84), ობიორა (პიმენოვი 46)

ზაზა ჯანაშია განაცხადში ვერ მოხვდა, ლადო აკაშვილმა დუბლებში ითამაშა

მწვრთნელი: იური სიომინი

ალანია: გაბულოვი, პაგაევი, ტარლოვსკი (ტებლოევი 87), თეთრაძე, ბალიცკი, ჩოჩიევი, ბითაროვი (ანჟელო 70), სიკოევი, ბესტაევი (კუსოვი 70), პიატიბრატოვი, იმედაძე

მწვრთნელი: ვლადიმირ მუნტიანი

გაძევება: პაგაევი (75)

3 500 მაყურებელი

**ტორპედო 1:0 სოკოლი**

1:0 სემშოვი (18)

ტორპედო: ვორობიოვი, მალაი, კორმილცევი, ლუხვიჩი (საჯაია 76), სემშოვი, შირკო, მახმუტოვი, ლეონჩენკო, სარქისიანი, ზირიანოვი, ჩერევჩენკო

მწვრთნელი: ვიტალი შევჩენკო

**ანჟი 2:0 ზენიტი**

1:0 ბუდუნოვი (50), 2:0 პრუდიუსი (85)

ანჟი: არმიშევი, გორდეევი, აკსენოვი, სტოიკოვიჩი (გლოგოვაცი 76), ხოშიჩი, პრუდიუსი, საველიევი (რამაზანოვი 80), ადიევი, ბუდუნოვი, ირისმეტოვი (ალექსეევი 60), ციმბალარი

კახა მუმლაძე სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ლეონიდ ტკაჩენკო

**ცსკა 4:0 ტორპედო ზილ**

1:0 კირიჩენკო (53), 2:0 გუსევი (58), 3:0, 4:0 კირიჩენკო (72, 76)

**სპარტაკი 0:0 როსტსელმაში**

**შინიკი 1:3 სატურნი**

0:1 მილიოშინი (12), 0:2 როგაჩევი (48), 1:2 ლოსევი (67), 1:3 მოვსესიანი (75)

**კრილია სოვეტოვ 1:1 ურალანი**

1:0 გაუშუ (12), 1:1 ზ. წიკლაური (67)

**როტორი 0:0 დინამო**

რუსეთის უმაღლეს ლიგას პრემიერლიგა კი დაერქვა, მაგრამ ჩემპიონატი ისევე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო. პირველ ტურში ვერ მოიგო ჩემპიონმა „სპარტაკმა“. „ლუჟნიკის“ თოვლჭყაპისგან დამძიმებულ მინდორზე ოლეგ რომანცევის გუნდმა ვერაფერი დააკლო „როსტსელმაშს“. თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელ პარფიონოვს პენალტიდან ძელისთვის რომ არ მოერტყა ბურთი...

„ვფიქრობ, მატჩი სამართლიანი შედეგით დამთავრდა, იმიტომ, რომ ასეთ მოედანზე „სპარტაკი“ ნამდვილ თამაშს ვერ აჩვენებს. სხვა მხრივ, მაღალი ადგილისთვის მებრძოლი გუნდი პენალტის გატანა-არგატანაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მოკლედ, ჩვეულებრივი საგაზაფხულო ფეხბურთი გამოდგა“ — თქვა რომანცევმა.

რუსეთში ახლა „სპარტაკზე“ მეტად მისი მთავარი კონკურენტების, „ლოკომოტივისა“ და ცსკა-ს ამბები აინტერესებთ. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, აინტერესებთ, გაუწევენ თუ არა წლეულს კონკურენციას „სახალხო გუნდს“.

არმიელებმა ახალი მწვრთნელის, ვალერი გაზაევის თავკაცობით რიხით დაიწყეს, თანაქალაქელ ზილელებს მათსავე ედუარდ სტრელცოვის სტადიონზე 4:0 მოუგეს. უცნაური თამაში კი გამოდგა, პირველი ტაიმის შემდეგ მინდორზე 10 არმიელი და 9 ავტოქარხნელი დარჩა. მსაჯმა ჯერ სემაკი და კურტიანუ გააძევა ჩხუბისთვის, მერე კი მათ ორგაფრთხილებიანი მუსატოვიც მიაყოლა.

ამავე მატჩში მაყურებლები ჩემპიონატის პირველი ჰეთ თრიქის მომსწრენიც გახდნენ. დმიტრი კირიჩენკომ ქარხნელებს 23 წუთში სამჯერ გაუტანა.

„მეორე ტაიმში ტაქტიკა შევცვალეთ. ჩემმა ფეხბურთელებმა უჩვენეს, როგორ უნდა რიცხობრივი უმრავლესობის დროს თამაში. ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობდნენ ცსკა-ში ვარსკვლავები შეიყარნენ და მატჩს მატჩზე მოიგებენო, მაგრამ გუნდი მხოლოდ ახლა ყალიბდება და სამუშაო ჯერაც ბევრი გვაქვს. თანაც დასაწყისშივე რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით, სემაკის გაძევება და მოსალოდნელი დისკვალიფიკაცია კი ჩვენთვის დიდი დანაკლისია“ — დასძინა გაზაევმა.

„ლოკომოტივმა“ „ალანიას“ ძლივს მოუგო. ყველამ აღნიშნა ვლადიკავკაზელთა დაცვის ჩინებული თამაში, რასაც საბერძნეთიდან ომარ თეთრაძის დაბრუნებას უკავშირებენ. სტუმართაგან ურიგოდ არ გარჯილა ჩვენებური გია იმედაძე, რომელიც, ფაქტობრივად, ალანთა ეული შემტევი იყო. ყოფილმა ვლადიკავკაზელმა, ახლა კი რკინიგზელმა გიორგი დემეტრაძემ კი რუსეთში დაბრუნება ფრიადი აქტიურობით, კარგი შეფასებითა და მცირე ტრავმით აღნიშნა.

**სოლომონ გულისაშვილი**

## პორტუგალია

### I ლიგა. XXVI ტური

**ალვერკა 2:0 ბეირა მარი**

1:0 კუინზინიუ (77), 2:0 ვარგასი (79)

**ლეირია 0:0 სეტუბალი**

**ფარენსე 1:1 ვარზიმი**

1:0 პ. სილვა (28), 1:1 პროკოპენკო (35)

**ფეირეირა 6:0 სალგეირუში**

1:0 ლ. სილვა (13), 2:0 მაურუ (40), 3:0 მ. სერჟიუ (51), 4:0 პედრინია (73პ), 5:0 ჟოზე მანუელი (74), 6:0 კარნეირუ (86)

**სანტა კლარა 0:3 სპორტინგი**

0:1 ჟარდელი (74პ), 0:2 ბარბოსა (79), 0:3 პაულუ ბენტუ (90)

**ბრაგა 0:2 ბოავიშტა**

0:1 დუდა (26), 0:2 არტურ ჟორჟე (71ს.კ.)

**ჟილ ვისენტე 0:2 ბენფიკა**

0:1 არჟელი (3), 0:2 დრულოვიჩი (20)

**ბელენენსეში 3:0 პორტუ**

1:0 ბეჟერა (26), 2:0 პეიშოტო (73), 3:0 სემედუ (90)

**გიმარაეში — მარიტიმუ**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 26 | 17 | 6 | 3 | 57:20 | 57 |
| ბოავიშტა | 26 | 17 | 5 | 4 | 42:14 | 56 |
| პორტუ | 26 | 15 | 3 | 8 | 46:28 | 48 |
| ბენფიკა | 26 | 13 | 9 | 4 | 47:30 | 48 |
| ლეირია | 26 | 11 | 8 | 7 | 39:27 | 41 |
| ბელენენსეში | 26 | 12 | 5 | 9 | 39:35 | 41 |
| მარიტიმუ | 25 | 12 | 3 | 10 | 33:26 | 39 |
| გიმარაეში | 25 | 10 | 7 | 8 | 27:22 | 37 |
| ფერეირა | 26 | 9 | 9 | 8 | 36:34 | 36 |
| სანტა კლარა | 26 | 9 | 7 | 10 | 25:32 | 34 |
| ბრაგა | 26 | 8 | 9 | 9 | 30:25 | 33 |
| ბეირა მარი | 26 | 7 | 7 | 12 | 38:46 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 26 | 7 | 6 | 13 | 26:42 | 27 |
| სეტუბალი | 26 | 6 | 8 | 12 | 27:32 | 26 |
| ვარზიმი | 26 | 6 | 6 | 14 | 22:46 | 24 |
| სალგეირუში | 26 | 6 | 6 | 14 | 21:55 | 24 |
| ალვერკა | 26 | 6 | 4 | 16 | 29:50 | 22 |
| ფარენსე | 26 | 5 | 6 | 15 | 20:40 | 21 |

### II ლიგა

26-ე ტური: ოლივეირენსე — ოვაირენსე 4:0; როუავე — ნასიონალი 0:1; ესპინიუ — ავეში 3:2; შავეში — ამადორა 0:1; ლამაში — აკადემიკა 2:2; პორტიმონენსე — პენაფიელი 0:0; კამპომაიორენსე — ნავალი 5:3; მაია — ფელგეირაში 2:1; ლეცა — მორეირენსე 0:2

## პოლონეთი

### პლეი ოფი. IV ტური

პოგონი — ლეგია 2:2; პოლონია — ვისლა 4:2; რუხი — ოდრა 0:1; ამიცა — კატოვიცე 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 23 |
| ლეგია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 22 |
| პოლონია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 20 |
| ამიცა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 19 |
| ოდრა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 19 |
| კატოვიცე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 15 |
| პოგონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 14 |
| რუხი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 13 |

### პლეი აუტი. IV ტური

სტომილი — შლიონსკი 1:1; გროცლინი — ვიძევი 0:1; ზაგლებე — რადომსკო 1:1; ოსტროვეცი — გურნიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლებე | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 15 |
| ვიძევი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 14 |
| რადომსკო | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 14 |
| ოსტროვეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 13 |
| გურნიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 13 |
| შლიონსკი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 11 |
| სტომილი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 9 |
| გროცლინი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 9 |

## დანია

21-ე ტური: ბრონდბიუ — ვიბორგი 2:2; მიდტიულანდი — სილკებორგი 1:0; ორჰუსი — ოდენსე 1:3; ვაილე — კოპენჰაგენი 1:3; ესბიერგი — ლიუნგბიუ 5:0. ოლბორგი — აკადემისკი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 21 | 13 | 5 | 3 | 50:17 | 44 |
| კოპენჰაგენი | 21 | 10 | 7 | 4 | 32:18 | 37 |
| ოლბორგი | 20 | 10 | 4 | 6 | 30:28 | 34 |
| ესბიერგი | 20 | 10 | 3 | 7 | 34:27 | 33 |
| აკადემისკი | 19 | 8 | 8 | 3 | 31:20 | 32 |
| ოდენსე | 21 | 8 | 8 | 5 | 35:32 | 32 |
| მიდტიულანდი | 20 | 7 | 8 | 5 | 27:18 | 29 |
| ვიბორგი | 21 | 5 | 9 | 7 | 25:27 | 24 |
| ვაილე | 21 | 5 | 4 | 12 | 28:54 | 19 |
| ორჰუსი | 21 | 4 | 6 | 11 | 26:36 | 18 |
| სილკებორგი | 20 | 4 | 4 | 12 | 18:30 | 16 |
| ლიუნგბიუ | 21 | 2 | 8 | 11 | 20:49 | 14 |

## ბელგია

### I დივიზიონი. XXVI ტური

**ლიერსი 3:1 აალსტი**

1:0 პიუსკენსი ([illegible]), 2:0 [illegible] (60), 2:1 [illegible] (83პ), 3:1 [illegible] (90)

ლიერსი: მარდულიე, ლაერემანსი, ნიკოლოვსკი, [illegible], დე როკი, [illegible], [illegible] (მიკემიში [illegible]), [illegible] (ტომსონი 46), პიუსკენსი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

მსაჯი: ვანდევენე

6 000 მაყურებელი

**ლუვიე 2:1 შარლერუა**

1:0 ტილმანი (6), 1:1 სიკე (9ს.კ.), 2:1 ტილმანი (55)

**გენკი 2:1 გენტი**

0:1 ვანიჩი (22), 1:1 სონკო (81), 2:1 შატელე (85)

**ანდერლეხტი 2:0 ლომელი**

1:0 დე ბილდე (13), 2:0 სტოიკა (62)

**ბევერენი 1:3 მოლენბეკი**

0:1 ორიგი (9), 0:2 მაგრო (18), 1:2 დანილევიჩუსი (66), 1:3 ტიმერმანსი (90)

**ლოკერენი 0:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 მბონაბუკია (56)

**ვესტერლო 0:2 მუსკრონი**

0:1 დიუგარდენი (85), 0:2 მარჩინ ჟევლაკოვი (89)

**ბრიუგე 3:2 ბეერსხოტი**

1:0 მენდოსა (7), 2:0 ენგლებერტი (45), 2:1 კპაკა (46), 3:1 ვერმეინი (75), 3:2 კპაკა (84)

**ანტვერპენი 0:0 სტანდარდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 26 | 19 | 1 | 6 | 63:32 | 58 |
| გენკი | 25 | 15 | 9 | 1 | 67:33 | 54 |
| ანდერლეხტი | 25 | 15 | 7 | 3 | 58:27 | 52 |
| სტანდარდი | 25 | 13 | 7 | 5 | 47:29 | 46 |
| გენტი | 26 | 12 | 8 | 6 | 45:38 | 44 |
| მუსკრონი | 26 | 13 | 4 | 9 | 54:32 | 43 |
| ლოკერენი | 26 | 12 | 7 | 7 | 35:25 | 43 |
| სენტ ტრუიდენი | 26 | 11 | 4 | 11 | 36:36 | 37 |
| ბეერსხოტი | 25 | 8 | 10 | 7 | 48:38 | 34 |
| შარლერუა | 26 | 9 | 5 | 12 | 30:46 | 32 |
| ლომელი | 26 | 8 | 7 | 11 | 41:45 | 31 |
| მოლენბეკი | 26 | 9 | 4 | 13 | 35:46 | 31 |
| ვესტერლო | 26 | 8 | 5 | 13 | 42:49 | 29 |
| ლუვიე | 26 | 6 | 8 | 12 | 30:49 | 26 |
| ლიერსი | 26 | 6 | 7 | 13 | 40:50 | 25 |
| ანტვერპენი | 26 | 5 | 8 | 13 | 35:52 | 23 |
| აალსტი | 26 | 4 | 5 | 17 | 20:57 | 17 |
| ბევერენი | 26 | 2 | 8 | 16 | 27:69 | 14 |

### II დივიზიონი

28-ე ტური: დესელი — სერკლი 0:1; გეელი — ჰეუსდენი 0:0; ვირტონი — ვიზე 1:1; დაინცე — მეხელენი 0:0; ლიეჟი — პატრო 1:0; ინგელმუნსტერი — დენდერლეეუ 0:0; რონსი — რუზელარე 1:1; ტიენენი — ფლაანდერენი 0:1; სტრომბეეკი — მონსი 0:1

## ჩეხეთი

21-ე ტური: ოპავა — ჰრადეც კრალოვე 0:0; ლიბერეცი — პრჟიბრამი 2:0; სპარტა — სიგმა 1:0; ბლშანი — ჟიჟკოვი 0:0; სინოტი — დრნოვიცე 3:1; ბოჰემიანსი — იაბლონეცი 1:2; ბრნო — სლავია 0:0; ტეპლიცე — ბანიკი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 21 | 16 | 1 | 4 | 44:11 | 49 |
| ჟიჟკოვი | 21 | 15 | 3 | 3 | 33:14 | 48 |
| ლიბერეცი | 21 | 14 | 5 | 2 | 40:17 | 47 |
| ბოჰემიანსი | 21 | 12 | 5 | 4 | 32:17 | 41 |
| ბანიკი | 21 | 9 | 6 | 6 | 29:25 | 33 |
| ბრნო | 21 | 9 | 5 | 7 | 25:31 | 32 |
| სლავია | 21 | 8 | 7 | 6 | 32:25 | 31 |
| იაბლონეცი | 21 | 6 | 9 | 6 | 20:22 | 27 |
| სინოტი | 21 | 7 | 4 | 10 | 20:27 | 25 |
| ტეპლიცე | 21 | 6 | 5 | 10 | 23:29 | 23 |
| სიგმა | 21 | 5 | 7 | 9 | 19:27 | 22 |
| პრჟიბრამი | 21 | 6 | 4 | 11 | 17:28 | 22 |
| ჰრადეც კრალოვე | 21 | 6 | 4 | 11 | 20:36 | 22 |
| დრნოვიცე | 21 | 5 | 5 | 11 | 25:28 | 20 |
| ბლშანი | 21 | 5 | 2 | 14 | 23:38 | 17 |
| ოპავა | 21 | 2 | 2 | 17 | 14:41 | 8 |

## ავსტრია

25-ე ტური: ბრეგენცი — შტურმი 1:1; გრაცერი — ზალცბურგი 0:0; რაპიდი — კერნტენი 2:0; რიდი — ადმირა 0:0; ტიროლი — აუსტრია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 25 | 19 | 3 | 3 | 49:6 | 60 |
| შტურმი | 25 | 11 | 10 | 4 | 41:25 | 43 |
| გრაცერი | 25 | 11 | 8 | 6 | 48:32 | 41 |
| კერნტენი | 25 | 10 | 6 | 9 | 26:32 | 36 |
| ზალცბურგი | 25 | 9 | 7 | 9 | 25:26 | 34 |
| აუსტრია | 25 | 7 | 9 | 9 | 31:29 | 30 |
| რაპიდი | 25 | 8 | 6 | 11 | 23:30 | 30 |
| რიდი | 25 | 6 | 8 | 11 | 29:39 | 26 |
| ბრეგენცი | 25 | 6 | 8 | 11 | 30:53 | 26 |
| ადმირა | 25 | 3 | 5 | 17 | 16:46 | 14 |

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

იყიდება სასწრაფოდ!
შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## C ჯგუფი

### პორტუ — პანათინაიკოსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

პაულუ სანტუში, იბარა, სეკრეტარიუ, ანდრადე, კარვალიუ, სოდერსტრიომი, პავლინი, პარედესი, დეკო სოუზა, პენა, ნუნუ კაპუშუ
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, ვოკოლოსი, პიცოსი, კოლკა, ბასინასი, კარაგუნისი, ვლაოვიჩი, ლიბეროპულოსი, კონსტანტინუ
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი

პორტუ. „დაშ ანტაში“. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

### რეალი — სპარტა

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, მინამბრესი, კარანკა, პავონი, ბრავო, კონსეისაო, ელგერა, მაკმანამანი, სოლარი, გუტი, მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ჩეხი, ჩიჟეკი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ფლახბარტი, სიონკო, იაროშიკი, კლეინი, ზელენკა, მიხალიკი, ჰოლუბი
მწვრთნელი: იაროსლავ პრებიკი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

## ჩეხს რაც სწყურია, სასწაულია

**ᲐᲦᲐᲠ** შეგაწყენთ თავს იმაზე საუბრით, რომ შაბათს მადრიდის „რეალი“ კატალონიას უნდა ეწვიოს „ბარსელონასთან“ საომრად. აქედან გამომდინარე, თვითონაც მიხვდებით, ვისენტე დელ ბოსკე ისეთ დიდკაცებს, როგორებიც ზინედინ ზიდანი, რობერტო კარლოსი, რაული და ფერნანდო იერო არიან, სალიგო მატჩში დაასვენებს.

პრაღელ ნახევარმცველ ლიბორ სიონკოს უთქვამს, მადრიდში ჩვენგან სასწაულს არავინ რომ არ ელის, ზუსტად მაშინ შეიძლება მოხდეს ეს სასწაულიო. ვგონებ, გესმით რომ „სპარტასგან“ „რეალის“ ძლევას გულისხმობს. როგორც ჩანს, ჩეხებს ჯერ კიდევ აქვთ მეოთხედფინალში გასვლის იმედი. ამისთვის მათ დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგონ, „პანათინაიკოსი“ კი ოდენ ქულას უნდა დასჯერდეს ექვსი შესაძლებლიდან. ისე, „პორტუც“ „რეალის“ გავლით ოცნებობდა მეორე ადგილზე წამოსკუპებას და იმიტომაც ყურყუტებს ბოლოზე. ამიტომ მადრიდელთა თითქოსდა მეორე შემადგენლობის სისუსტეზე საუბარი არ ეგების.

პრაღის „სპარტას“ ბანაკში რამდენიმე ცვლილებაა. ძირითადში ბრუნდება მცველი ტომას ჰუბშმანი. მისი სეხნია, ფორვარდი ტომას ჩიჟეკი რადეკ მინარს შეცვლის. მარეკ კინცლს რადიმ ჰოლუბი შეუწყვილდება, რადგან ლუკას ჰარტიგი ჯანზე ვერ არის. მოკლედ, თავისი შანსის გამოყენებას ჩეხები, ალბათ, ეცდებიან.

სალონიკის „არისთან“ ნათამაშები უგოლო ფრის შემყურე ანგელოს ფილიპიდესი განრისხებულა, აქ თუ ასე გავისარჯეთ, ევროპაში ვერაფერს მივაღწევთო. ფილიპიდესი „პანათინაიკოსის“ პრეზიდენტი გახლავთ. მართალიაო, კვერი დაუკრა სერხიო მარქარიანმა, ევროპა ევროპად, მაგრამ საბერძნეთის ჩემპიონობა თუ გვსურს, „არისის“ მაგვარ გუნდებს უნდა მოვუგოთო. დღევანდელი მატჩის წინ პორტუში ბერძენთა მთავარი სადარდებელი მათი კაპიტანია. იანის გუმასი ტრავმას შეუწუხებია და ეგებ გუნდს დააკლდეს კიდეც.

„პორტუს“ გაცილებით მეტი პრობლემები დაგროვებია. ვიტორ ბაიას მუხლი აწვალებს და მის ნაცვლად კარს პაულუ სანტუში უდარაჯებს. ერთი მცველი, რიკარდუ, ტრავმის გამო არ იქნება, მეორეს, მარიუ სილვას, დისკვალიფიკაცია აქვს. ეს მაინც არაფერია იმასთან შედარებით, რომ „თვითონ“ გუნდი შიდა ჩემპიონატშიც შავად გამოდის. წინა უქმეებზე „პორტუ“ თანაქალაქელმა „ბელენენსეშმა“ წააქცია და, ალბათ, საბოლოოდ ჩამოაშორა პირველობისთვის ბრძოლას. დარჩა ერთი ჩემპიონთა ლიგა, სადაც „პორტუს“ ბედი თითქმის გადაწყვეტილია.

**ᲒᲐᲩᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| პორტუ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:3 | 1 |



რობერტო კარლოსი, რაული, მორიენტესი, ფიგუ — „რეალს“ ამათგან ერთიც არ ეყოლება

## D ჯგუფი

### არსენალი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, კემპბელი, ლორენი, პირესი, ვიეირა, ლიუნგბერგი, გრიმანდი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მოლინა, სკალონი, სეზარი, ნაიბეტი, რომერო, სერხიო, მაურო სილვა, ვიქტორი, ფრანი, ვალერონი, ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ლონდონი. „ჰაიბერი“. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

### ლევერკუზენი — იუვენტუსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუფონი, ტუდორი, ფერარა, პესოტო, ბირინდელი, კონტე, ძამბროტა, ტაკინარდი, ნედვედი, ტრეზეგე, ამორუზო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ბუტი, შნაიდერი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბალაკი (ან ვრანიეში), ბაშტურქი, ზე რობერტო, კირსტენი, ბერბატოვი (ან ბრდარიჩი)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ლევერკუზენი. „ბაიარენა“. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

## ფრთხილად, ის მკვლელია!

### კირსტენის საკეთებელს გოლი ჰქვია



ხავიერ ირურეტა

**„ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘᲡ“** მწვრთნელს, კლაუს ტოპმიოლერს „იუვენტუსთან“ თამაშის წინ თავდამსხმელის პრობლემა აქვს. არადა, ეს მატჩი მნიშვნელოვანია, მასზეა დამოკიდებული ლევერკუზენელთა მეოთხედფინალში გასვლა-არგასვლის ამბავი.

რა სჭირთ გერმანული გუნდის თავდამსხმელებს? ოლივერ ნოივილს კოჭი სტკივა, ულფ კირსტენი კი უბრალოდ ცუდ ფორმაშია. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ტოპმიოლერი ნოივილის საკეთებელს ბულგარელ დიმიტარ ბერბატოვს დაავალებს, ხოლო კირსტენობას (თუ ის არ ათამაშა) თომას ბრდარიჩს მოსთხოვს.

ავადაა კიდევ ერთი ცნობილი მოთამაშე მიხაელ ბალაკი და მის ადგილს, შესაძლოა, ხორვატი იურიცა ვრანიეში დაესაკუთროს.

ლევერკუზენის კომერციული მენეჯერი რაინერ კალმუნდი: „ჩვენ მეორე ეტაპზე გავედით, რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, ასე რომ, ამაზე დაკმაყოფილებაც შეიძლება“.

მაგრამ ტოპმიოლერი სხვა ფიქრს მისცემია: „დღეს, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ“.

ჩემპიონთა ლიგის გარდა ლევერკუზენელები გერმანიის ჩემპიონატშიც დიდ საქმეს არიან შეჭიდებულნი და ეროვნული თასის ფინალიც აქვთ „შალკესთან“ საბრძოლი.

„ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბუნდესლიგის ტიტულს მოვიპოვებთ“ — აცხადებს მწვრთნელი, რომელიც იმ გუნდს უდგას სათავეში, რაიმე დიდი ჯილდო, კერძოდ კი თასი, ერთადერთხელ, 1993 წელს რომ მოუგია.

„თუ რაიმე არ მოვიგეთ, პატარა გუნდის იმიჯს ვერ მოვიცილებთ, — განაგრძობს ტოპმიოლერი — ამიტომაც „იუვენტუსთან“ მხოლოდ ლამაზად თამაში საკმარისი არ არის“.

„დეპორტივოს“ მწვრთნელს, ხავიერ ირურეტას კი „არსენალთან“ შეხვედრაში იგივე განწყობილების ხილვა სურს, ესპანეთის სამეფო თასის ფინალში რომ იხილა. შეხსენება ზედმეტია: ლაკორუნიელებმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალს“ 2:1 მოუგეს.

თუ ირურეტას ბიჭები ლონდონელთა ძლევას მოახერხებენ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისკენ გზა, ფაქტობრივად, გაკაფული ექნებათ.

მაგრამ „არსენალი“ სწორედ ის გუნდი გახლავთ, ორი წლის წინ „დეპორტივოს“ 5:1 რომ მოუგო და უეფას თასიდან გამოთიშა.

ირურეტა ამბობს: „ჩვენ ლონდონში მადრიდული განწყობილება გვჭირდება. თუ მეოთხედფინალისტობა გვსურს, საკუთარი ძალების სრული რწმენით უნდა ვითამაშოთ, თუმცა ინგლისში სიფრთხილეა საჭირო. იქ შეცდომის უფლება არავის აქვს. მახსოვს, ორი წლის წინ ფეხბურთელი (ჯალმინია) რომ გაგვიგდეს, ჯერ კიდევ 1:2 იყო და მერე სამი გოლი კიდევ გაგვიტანეს“.

აღსანიშნავია, რომ ამ მეტოქეთა პირველი წრის თამაში ესპანელების გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. იმ დღეს „დეპორტივომ“ ლონდონელებს ყველა ასპექტში აჯობა.

ირურეტა განაგრძობს: „არსენალი“ განა მხოლოდ ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მას ევროპაშიც ძნელად მოეძებნება ბადალი, განსაკუთრებით, როდესაც შინ თამაშობს, ხოლო ტიერი ანრი ის ფეხბურთელია, ყოველ წამს ხიფათს რომ გიქადის და მკვლელის თვისებები აქვს. მისი დონის ვარსკვლავებს მოედანზე ფართობი არ უნდა დაუთმო“.

**ᲑᲐᲑᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |




ტიერი ანრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ბოხუმი-შვაინფურტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 011 | ბოხუმი-შვაინფურტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 012 | ჰანოვერი-როიტლინგენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 013 | ჰანოვერი-როიტლინგენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 014 | ალემანია-აინტრახტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXV ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 021 | ლევერკუზენი (მ)-ოსნაბრიუკი | 1,95 | 3,0 | 3,6 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXV ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 031 | შტუტგარტი (მ)-ბაიერნი (მ) | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 032 | მანჰაიმი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 22.30 | 033 | ოფენბახი-რეგენსბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 034 | ტრიერი-ზიგენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 040 | ბლეკბერნი-იფსვიჩი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 041 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 053 | ბრედფორდი-ბირმინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 054 | ქრიუ-სიტი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 23.45 | 055 | პორტსმუთი-უიმბლდონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 069 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 070 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 071 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 072 | ბრაიტონი-ნორთჰემპტონი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 073 | ბრაიტონი-ნორთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 074 | უიგანი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 088 | როჩდეილი-კარლაილი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.45 | 089 | ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 090 | ლეიტონი-საუთენდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 091 | ლინკოლნი-ჩელტენჰემი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.45 | 092 | ლუტონი-ექსეტერი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 093 | ლუტონი-ექსეტერი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 116 | სტრასბური-აიაჩო | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**იტალია. სერია „ა“. გადადებული მატჩი.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 126 | პარმა-კიევო | 1,95 | 2,9 | 3,8 |

**იტალია. სერია „ბ“. XXVIII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 139 | ჯენოა-ბარი | 2,3 | 2,5 | 3,4 |

**პორტუგალია. I ლიგა. XXVII ტური**
14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 190 | სალგეირუში-ბელენენსეში | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 212 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.00 | 213 | ჰერენვენი-სიტარდი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 214 | ჰერენვენი-სიტარდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVIII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 215 | როდა-ბრედა | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 227 | ემენი-ჰაარლემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 228 | ვეენდამი-დენ ჰააგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 229 | დენ ჰააგი-ზვოლე | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 230 | კამბური-ეინდჰოვენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 231 | კამბური-ეინდჰოვენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 232 | ჰაარლემი-ექსელსიორი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.00 | 233 | ვენლო-ჰერაკლესი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 234 | დორდრეხტი-ტელსტარი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 235 | როზენდალი-ოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 236 | როზენდალი-ოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ბელგია. I დივიზიონი.**
**გადადებული მატჩი.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 240 | გენკი-ანდერლეხტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ჩეხეთი. XXII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 270 | სლავია-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**პოლონეთი. პლეი-ოფი. V ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 278 | ლეგია-ვისლა | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**თურქეთი. XXVII ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 286 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 287 | ბეშიქთაში-დენიზლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 298 | დანდი-ლივინგსტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 305 | ერდრი-ფოლკირკი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 23.30 | 306 | კლაიდი-როსი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 311 | ალოა-კლაიდბენკი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.30 | 312 | ფორფარი-კოუდენბითი | 1,95 | 3,4 | 3,2 |
| 23.30 | 313 | მორტონი-სტენჰაუსმუირი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.30 | 314 | სტრანრაერი-ქუინი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 320 | ბრეჩინი-სტირლინგი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 23.30 | 321 | ელგინი-ალბიონი | 2,3 | 3,3 | 2,6 |

**შვეიცარია. „ა“ ჯგუფი. V ტური**
15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 332 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**დანია. გადადებული მატჩები.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 344 | სილკებორგი-ესბიერგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 345 | აკადემისკი-მიდტიულანდი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**რუსეთი. II ტური**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 352 | სპარტაკი-შინიკი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 353 | სპარტაკი-შინიკი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 16.00 | 354 | ურალანი-ლოკომოტივი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 16.00 | 355 | ალანია-კრილია | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 16.00 | 356 | სატურნი-როსტსელმაში | 1,7 | 3,1 | 4,7 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 357 | ზენიტი-როტორი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 16.00 | 358 | ზილ-ტორპედო | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 16.00 | 359 | სოკოლი-ცსკა | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 16.00 | 360 | დინამო-ანჟი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

**საბერძნეთი. თასი.**
**ნახევარფინალი. I წრე.**
13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 369 | ქსანთი-აეკ | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.30 | 370 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**ჩეხეთი. თასი. მეოთხედფინალი.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 371 | ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 372 | სლავია-ჰ. კრალოვე | 1,25 | 5,0 | 9,0 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 373 | პრშიბრამი-ბრნო | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.30 | 374 | სიგმა-ბანიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. V ტური**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,9 | 3,1 | 3.6 |
| 23.45 | 402 | რეალი-სპარტა | 1,3 | 4.4 | 8.0 |
| 23.45 | 403 | არსენალი-დეპორტივო | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 404 | ლევერკუზენი-იუვენტუსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 405 | მანჩესტერი-ბაიერნი | 1,8 | 3.0 | 4.2 |
| 23.45 | 406 | ნანტი-ბოავიშტა | 2,5 | 3.2 | 2,4 |
| 23.45 | 407 | ბარსელონა-ლივერპული | 1,8 | 3.1 | 4.0 |
| 23.45 | 408 | რომა-გალათასარაი | 1,4 | 3,6 | 7,5 |

**უეფას თასი. მეოთხედფინალი. I წრე.**
14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 409 | პსვ-ფეიენოორდი | 1,9 | 3,1 | 3.6 |
| 23.00 | 410 | ჰაპოელი-მილანი (ნეიტრ.) | 4,0 | 3,0 | 1,85 |
| 23.30 | 411 | ლიბერეცი-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 24.00 | 412 | ინტერი-ვალენსია | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**კალათბურთი. 12 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 1.1 | 12,0 | 4.0 |
| 04.30 | 502 | ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,9 | 12.0 | 1.55 |
| 05.00 | 503 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,35 | 12.0 | 2.5 |
| 05.00 | 504 | მაიამი-ფინიქსი | 1.45 | 12,0 | 2.1 |
| 05.00 | 505 | მილუოკი-ჩიკაგო | 1.1 | 12,0 | 5.0 |
| 05.30 | 506 | სან ანტონიო-მემფისი | 1,1 | 12.0 | 5.0 |
| 05.30 | 507 | ჰიუსტონი-სიეტლი | 2,0 | 12,0 | 1.5 |
| 07.30 | 508 | ლეიკერსი-შარლოტი | 1,2 | 12,0 | 3,1 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 509 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,55 | 12,0 | 1.9 |
| 04.30 | 510 | ატლანტა-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 511 | დეტროიტი-კლივლენდი | 1.15 | 12,0 | 3.5 |
| 04.30 | 512 | ორლანდო-ფინიქსი | 1.3 | 12,0 | 2.8 |
| 05.00 | 513 | ფილადელფია-საკრამენტო | 1.7 | 12.0 | 1,7 |
| 05.00 | 514 | მინესოტა-ჰიუსტონი | 1.15 | 12.0 | 4,0 |
| 07.30 | 515 | კლიპერსი-ვაშინგტონი | 1.3 | 12.0 | 2.5 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 516 | შარლოტი-იუტა | 1.6 | 12.0 | 1.8 |
| 04.30 | 517 | ნიუ იორკი-საკრამენტო | 2.1 | 12.0 | 1.45 |
| 05.30 | 518 | სან ანტონიო-ჩიკაგო | 1.1 | 12.0 | 5,0 |
| 07.00 | 519 | პორტლენდი-დალასი | 1,7 | 12.0 | 1,7 |
| 07.30 | 520 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 3,1 | 12.0 | 1,2 |

**ჰოკეი. 12 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 550 | ბუფალო-აილენდერსი | 2,0 | 3,6 | 2.1 |
| 04.00 | 551 | ვაშინგტონი-დალასი | 2,0 | 3.6 | 2.1 |
| 04.30 | 552 | ტორონტო-ფილადელფია | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| 04.30 | 553 | ატლანტა-ტამპა ბეი | 2.0 | 3.6 | 2,1 |
| 05.00 | 554 | ნეშვილი-ვანკუვერი | 2,1 | 3,4 | 2.1 |
| 05.00 | 555 | მინესოტა-ოტავა | 2.4 | 3.4 | 1.8 |
| 06.00 | 556 | ფინიქსი-ჩიკაგო | 2,0 | 3,4 | 2,2 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 557 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,9 | 3,6 | 2,2 |
| 04.30 | 558 | ფლორიდა-კალგარი | 2,2 | 3,4 | 2.0 |
| 04.30 | 559 | დეტროიტი-ედმონტონი | 1,6 | 3.5 | 3,0 |
| 05.00 | 560 | რეინჯერსი-ბოსტონი | 2,0 | 3,6 | 2.1 |
| 07.30 | 561 | ანაჰაიმი-პიტსბურგი | 2,2 | 3,4 | 2.0 |
| 07.30 | 562 | სან ხოსე-სტ. ლუისი | 1,9 | 3,4 | 2.3 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 563 | ბოსტონი-ტორონტო | 1.9 | 3.6 | 2,2 |
| 04.00 | 564 | ოტავა-ედმონტონი | 1,85 | 3.5 | 2,3 |
| 04.00 | 565 | კოლუმბუსი-ვანკუვერი | 2,2 | 3.4 | 2,0 |
| 04.30 | 566 | მონრეალი-დალასი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 04.30 | 567 | ფილადელფია-ბუფალო | 1.7 | 3.5 | 2.6 |
| 04.30 | 568 | ატლანტა-კოლორადო | 2,4 | 3.4 | 1,8 |
| 04.30 | 569 | ტამპა ბეი-კალგარი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 07.30 | 570 | ლოს ანჯელესი-სტ. ლუისი | 2,0 | 3,4 | 2,2 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა. 14 მარტი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.00 | 801 | პსვ-ფეიენოორდი | 1,7-1,7 |
| 23.00 | 802 | ჰაპოელი-მილანი (ნეიტრ.) | 5,0-1,1 |
| 23.30 | 803 | ლიბერეცი-დორტმუნდი | 3,5-1,2 |
| 24.00 | 804 | ინტერი-ვალენსია | 1,5-2,0 |

**ლიბერტადორესის თასი.**
12 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.05 | 413 | პენიაროლი (ურუგვაი)-ელ ნასიონალი (ეკვადორი) | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 02.00 | 414 | ბოლივარი (ბოლივია)-ატლეტიკო პარანაენსე (ბრაზილია) | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 04.10 | 415 | სან ლორენსო (არგენტინა)-რეალ პოტოსი (ბოლივია) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 04.10 | 416 | 12 დე ოქტუბრე (პარაგვაი)-გრემიო (ბრაზილია) | 3,4 | 3,1 | 1.9 |
| 06.20 | 417 | [illegible] (ბოლივია)-ტალიერესი (არგენტინა) | 2,1 | 3,1 | 3,0 |

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.05 | 418 | სერო პორტენიო (პარაგვაი)-ალიანსა (პერუ) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 02.20 | 419 | ველეს სარსფილდი (არგენტინა)-მონარკას მორელია (მექსიკა) | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 04.40 | 420 | უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)-ფლამენგო (ბრაზილია) | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 05.30 | 421 | ემელეკი (ეკვადორი)-უონდერერსი (ურუგვაი) | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 07.00 | 422 | ამერიკა (მექსიკა)-რივერ პლეიტი (არგენტინა) | 1,85 | 3,2 | 3,6 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.05 | 423 | სან კაეტანო (ბრაზილია)-კობრელოა (ჩილე) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 04.05 | 424 | ნასიონალი (ურუგვაი)-სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 04.05 | 425 | უონდერერსი (ჩილე)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 მარტი | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | პორტუ-პანათინაიკოსი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 702 | რეალი-სპარტა | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 703 | არსენალი-დეპორტივო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 704 | ლევერკუზ.-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 13 მარტი | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 705 | მანჩესტერი-ბაიერნი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 706 | ნანტი-ბოავიშტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 707 | ბარსელონა-ლივერპ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 708 | რომა-გალათასარაი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 14 მარტი | | | | | | | | | | | |
| 23.00 | 709 | პსვ-ფეიენოორდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.00 | 710 | ჰაპოელი-მილანი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.30 | 711 | ლიბერეცი-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 712 | ინტერი-ვალენსია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## ლინარესის სუპერტურნირი



რუსლან პონომარიოვი



გარი კასპაროვი

# ბავშვია, იცინის...

## რუსლან პონომარიოვის ძვირფასი მეორე

**მამათა** და შვილთა ბრძოლა ჭადრაკშიც ბუნებრივი პროცესია. ძველები მიდიან, ახლები მოდიან — საკითხავი მხოლოდ ამ მისვლა-მოსვლის ხანგრძლივობაა. აი, მაგალითად, კასპაროვი: 23 წლისა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა (კარპოვზე გავლით), 15 წლის შემდეგ ტიტული დათმო, მაგრამ არსადაც არ წავიდა, იგებს და იგებს ყველა სუპერტურნირს და ჯერჯერობით უფრო იქით ურტყამს ახალგაზრდა თაობას, ვიდრე ისინი აქეთ.

კასპაროვს მოჰყვნენ ანანდი, კრამნიკი, შიროვი, ივანჩუკი, ტოპალოვი და დანარჩენი მათი თანატოლნი. შეიძლება ითქვას, რომ კასპაროვმა ჯერჯერობით მათზე მაღლა დგომა მოახერხა. მისი ლაქაა მხოლოდ წაგებული მსოფლიოს ჩემპიონობის მატჩი კრამნიკთან, მაგრამ იმ ლონდონური ბატალიების შემდეგ ექსჩემპიონი ახალ ჩემპიონსაც დადებითი ბალანსით ეთამაშება.

ყმაწვილთა შემდგომი ნაკადის სათავეში იდგნენ ალექსანდრ მოროზევიჩი და პეტერ ლეკო, რომლებმაც საჭადრაკო რეიტინგ-ლისტის პირველ ათეულში შეღწევაზე მეტი ჯერ ვერ მოახერხეს, რადგან ორივე საწინააღმდეგო უკიდურესობებში გადავარდა: მოროზევიჩი — ქაოსსა და აზარტში, ლეკო — რუტინასა და ყაიმებში. ამათ ჩემპიონობა შეუძლიათ, მაგრამ გაუჭირდებათ, ხოლო 17 წლის რუსლან პონომარიოვი უკვე მსოფლიოს ჩემპიონია. პათეტიკურად თუ ვთქვით, კარგა დაფხავებული გვირგვინი კი ადგას თავზე — პლანეტის ორი უძლიერესი მოჭადრაკის (კასპაროვი და კრამნიკი) გარეშე რომ გაათამაშა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) — მაგრამ ტიტული ტიტულია. მით უფრო, გასულ უქმეებზე პონომარიოვმა დაამტკიცა: მისი ტიტული ბლეფი არ არის. ფოტოზე გამარჯვებული კაცის ღიმილი აქვს.

ლინარესის სუპერტურნირზე დასკვნით სამ ტურში სამი ამბავი გამოიკვეთა: კასპაროვის აწყვეტა, შიროვის ჩაწყვეტა და პონომარიოვის სოლიდურობა, თუმცა ფიდე-ს ჩემპიონმა კასპაროვთან მაინც წააგო. მათ პარტიაში კასპაროვის ჰარმონიული სვლები უაღრესად სასიამოვნო საჭვრეტი იყო. მისი ყველა ფიგურა, კარგად შეკრული გუნდის ფეხბურთელებივით, კონკრეტულ საქმეს აკეთებდა და შავი მეფე მალე დაიღუპა. ეს ბოლოსწინა ტურის ამბავია. კასპაროვმა ტურნირის მთავარი პრიზიც მაშინვე გაინაღდა, თუმცა ჭადრაკის აზარტში უკვე ნამეტნავად იყო შეჭრილი და ბოლო ტურშიც ებღლვნა და გაბღლვნა ალექსეი შიროვი, რასაც მხოლოდ 28 სვლა მოანდომა. კასპაროვს მაშინ შავები ჰყავდა.

ბედშავი შიროვი ბოლო ადგილისთვის გაიწირა, რადგან წინა პარტიაც წააგო ფრანსისკო ვალეხოსთან, ვინც ტურნირის აღმოჩენა არა (ბოლოსწინა ადგილი რა აღმოსაჩენია), მაგრამ გაკვირვების საგანი დიახაც გახდა, რადგან მყარ აუტსაიდერობას უწინასწარმეტყველებდნენ. ვალეხოსა და შიროვის პარტია უპრინციპულესი იყო შიდაესპანური თვალსაზრისით, რადგან ქვეყნის პირველი მოჭადრაკე უნდა დადგენილიყო. სიცილიური დაცვის პოზიციაში ბრძოლა ლაზიერის ფრთის და ცენტრალურ პაიკთა შეჯახებით დაიწყო, რადგან ორივე მეფე თავისსავე ფრთაზე საიმედოდ იყო დაცული. პოზიცია რომ გაიხსნა, შიროვის შავებმა ლაზიერის ფრთაზე თავმოყრა განაგრძეს, ვალეხომ ნელ-ნელა მეფის ფლანგისკენ გადაიწია. ცხადი იყო, რომ ძირით ესპანელმა ემიგრანტს პირველი შეტევა დაანება. შიროვმაც შეუტია, მაგრამ ღია ვერტიკალზე გაწყობილი ეტლების მიუხედავად, შედეგი ვერ მოიმკო. შავებმა მხოლოდ გამსვლელი პაიკი შექმნეს და ისიც თეთრების ბლოკადაში მოჰყვა. ახლა ვალეხომ შეუტია მეფის ფრთის პაიკებით და იერიშის სიცხარის გასანელებლად შიროვმა გამსვლელი პაიკი მიუგდო მეტოქეს. წარმოიქმნა საინტერესო ენდშპილი ლაზიერების და მხედრების მონაწილეობით და იგი ვალეხოს მახვილი დარტყმით და გამარჯვებით დასრულდა. შიროვი დაფაზე ნაჩვენებ პოზიციაში დანებდა თავისი 54-ე სვლის გაკეთებამდე და გონების მცირე გავარჯიშებით მკითხველი ხვდება, რომ არა აქვს მნიშვნელობა, გაიცვლება თუ არა ლაზიერები. თეთრები ყველა ვარიანტში მოკლავენ შავ რ7 პაიკს და მერე კიდურა თეთრი ქვეითი რიხინ-რიხინით გადის ლაზიერად.

ლინარესში ნათამაშევი 42 პარტიიდან 27 ყაიმით დასრულდა.

**დავით გულუა**



| საბოლოო ვითარება |
|---|
| 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) 8; 2. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 6,5; 3-5. მაიკლ ადამსი (ინგლისი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 6; 6. ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 5; 7. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 4,5 |

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის ახალი მოწმობის მისაღებად მიმართეთ ასოციაციის ოფისს (რუსთაველის 42, ტელეფონი 99 08 22)



საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი იცვლება

## შავ-თეთრი ჩემპიონატი ვერის ბაღიდან სპორტის სასახლეში მიდის

**მეთერთმეტე** ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი წინა კვირას ჩამთავრდა, ხვალიდან კი საუკეთესო ექვსეული საპლეიოფო ბრძოლაში ჩაებმება, ასე რომ, სწორედაც უპრიანია, განვლილის გადახედვა-შეჯამება.

ჩემპიონატი ჩვეულებრივად დაიწყო, ანუ დაგვიანებით, უშუქოდ, უგათბობოდ და სხვა წვრილმან-მსხვილმანი პრობლემით, მაგრამ რითაც ეს სეზონი უწინდელთაგან მეტ-ნაკლებად გამოირჩა, ინტრიგა და დაძაბულობა იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, მას წინამორბედთაგან სხვაც ბევრი განასხვავებდა.

სეზონის დამწყები ფედერაციის ხელმძღვანელობიდან დღეს, სავალალოდ და სამწუხაროდ, ცოცხალიც კი აღარავინაა. ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანის მკვლელობიდან მეორმოცე დღეს ყოფილი პრეზიდენტი, გოგი ქათამაძე გარდაიცვალა. დადიანი მათ შორისაც იყო, ვინც ფედერაცია ჩემპიონატის დაწყებიდან მალევე ჩაიბარა, ეროვნულ პირველობას მონატრებულ-დავიწყებული გათბობა დაუბრუნა, განათების პრობლემაც მოაგვარა და ჩემპიონატს ნორმალური სახე მისცა.

ახლა კი უშუალოდ ტურნირზე. როგორც ვთქვით, ასეთი დაძაბულობა, რაც წლევანდელ პირველობას ახლავს, არასდროს ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე. თავიდანვე გამოიკვეთა ხუთი გუნდი, რომელთა მატჩებში ნებისმიერი შედეგი შეიძლებოდა დაფიქსირებულიყო. ხანდახან მეექვსე, „მაკაბიც“ გამოიღებდა-ხოლმე ხელს. ასე რომ, გამთბარ მაყურებელს არ მოუწყენია. მერე და მერე ერთი, ბათუმური კლუბი დაწინაურდა, მაგრამ არც ამას გაუნელებია დაძაბულობა. „დინამო“, „აზოტი“, სტუ, თსუ საინტერესო მატჩებს ჩუქნიდნენ ქომაგთ.

კიდევ ერთი და თვალშისაცემი სიახლე. აქამდე შუა სეზონში გუნდებში ერთი-ორი ცვლილება თუ მოხდებოდა ხოლმე, ახლა კი დიდი მიდი-მოდია ატეხილი. კლუბიდან კლუბში სავალ გზათა შორის ერთი — დინამოსეული გზა გამოირჩევა. სხვა თემაა ის, რაც ლევან მოსეშვილის გუნდმა ჩემპიონატამდე მოიმოქმედა, როცა ერთბაშად ათეული კალათბურთელი შეიმატა, საშუასეზონო პერიოდში კი კიდევ სამი მოთამაშით შეივსო. არჩილ ჟღენტმა, ირაკლი ჯაფარიძემ და გოჩა წოწელიამ „დინამოს“ ისედაც მძლავრი პოტენციალი კიდევ უფრო გაზარდეს. შევნიშნოთ, რომ ამათ შორის ორი აზოტელია და კიდევ ერთ თემას მივადგებით.

„აზოტმა“ ბოლო ერთი წლის მანძილზე ორჯერ ჩაიჩოქა, მაგრამ ორჯერვე მოახერხა კრიზისიდან გამოსვლა და ავტორიტეტის შენარჩუნება. პირველად ეს წინა სეზონის გახმაურებულ საპლეიოფო მატჩში მომხდარი მუშტი-კრივის შემდეგ მოხდა, მაგრამ დისკვალიფიცირებული მწვრთნელის ოთარ ხმელიძის შემცვლელმა ზურაბ ტომარაძემ მოახერხა გუნდის შეკვრა და მისთვის ბრძოლისუნარიანობის დაბრუნება. როცა საქმე აეწყო, ახლა უსახსრობამ დარია ხელი აზოტელებს. სწორედ ამ დროს ააგრუხუნა „დინამომ“ ბადრი პატარკაციშვილის ფულებზე დაფუძნებული სატრანსფერო მანქანა და რუსთაველთ ორი ლიდერი მოაკლდათ. რაღაც ამის მაგვარი გააკეთა „სტუ — ჯეოსელმაც“ და ქ... ქართლელებს თავლამსხმელმა ზვიად ბაბიაშვილმაც უგანა. მაგრამ რუსთაველებმა აქაც მიაგნეს გამოსავალს, „აზოტი“ (ქარხანა) ამუშავდა და „აზოტმა“ მოთამაშეთა ძიება უცხოეთში დაიწყო. ჯერ რუსი ვასილ კურილჩუკი ჩამოიყვანეს სამარიდან, შემდეგ კი ბულგარეთში მობურთალი უკრაინელი ოლეგ შპუნდი, რომლებმაც „აზოტი“ კვლავ ფეხზე დააყენეს. ბოლოს კი ზურაბ ტომარაძის გუნდმა ერთი კამერუნელიც შეიმატა, მაგრამ მას ჯერ ძველი კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი არ მიუღია და გუნდს, ალბათ, ექვსეულიდან შეუერთდება. ზანგებზე და კამერუნზე გაგვახსენდა, „დინამოს“ კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს, კამერუნელივე აჰმედ მუპი, რომელიც ასევე გათავისუფლების ფურცლის მოლოდინშია. ბარემ ამოვწურავთ შავ თემას და ვიტყვით: ჩემპიონატს კიდევ ერთი შავკანიანი, ამერიკელი ნიკ დილანი გააფერადებს, რომელიც პირველ ეტაპზე ყველაზე გამართულად მოთამაშე „ბასკოსთვის“ გაირჯება.

მაშ ასე, ხვალიდან საკალათბურთო ჩემპიონატი განახლდება. უფრო სწორად, იწყება იმ ექვსი გუნდის ჭიდილი, რომლებმაც „შევარდენი“, „ქუთაისი“ და სსუ დაჩაგრეს. როგორც ზემოთ გაუწყეთ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი დაძაბულობით წინამორბედთ აჭარბებს, შესაბამისად, არც ექვსეული იქნება გამონაკლისი. ამის გამო დარბაზიც სათანადო შეირჩა, ამიერიდან ეროვნული პირველობა სპორტის სასახლეში დაიდებს ბინას. ეს არ იქნება ჩვეულებრივი ექვსეული...

**ირაკლი ბერტაია**

## იტალია

XXVI ტური

**სკავოლინი — კინდერი 95:62, ვარეზე — კანტუ 81:87, ვიოლა — სიენა 85:93, ლივორნო — სნაიდერო 97:80, ბიელა — მიულერი 84:80, ტრიესტი — ადეკო 90:81, აველინო — იმოლა 82:78, როზეტო — ფაბრიანო 98:94**

**ბენეტონი 102:77 რომა**

**ბენეტონი: პიტისი (19), ცქიტიშვილი (28 წუთი, 13 ქულა), ნიკოლა (13), იდნი (12), მარკონატო (3), ჩიკალკინი (18), ნახბარი (11), ბულერი (11), სტოიჩი (2)**

**რომა: პენდლტონი (15), რიგეტი (15), ალენი (13), მაიერსი (13), ტონოლი (2), მარკაცინი (14), მასპერი (5), ძანელი**

**„სკიპერთან“** საევროლიგო მატჩიდან 48 საათიც არ გასულიყო, რომ ნიკა ცქიტიშვილს „ბენეტონის“ მაისურით კვლავ მოედანზე გასვლამ მოუწია. ეს შეხვედრა ათვლის წერტილად იმიტომ ვარჩიეთ, რომ მაშინ ქართველმა, რაც იტალიაშია, საუკეთესო მატჩი ითამაშა. შაბათს კი ცქიტიშვილმა ისე იყოჩაღა, არა მარტო „ბენეტონის“ თავკაცი მაიკ დანტონი, მეტოქე გუნდის მწვრთნელიც აალაპარაკა.

26-ე ტურში ტრევიზოს „რომა“ ეწვია, რომელიც სატურნირო ცხრილში ადგილით ვერა, მაგრამ იტალიელთა კერპად ქცეული კარლტონ მაიერსით მაინც მოიწონებს თავს. მარადიული ქალაქის გუნდი მე-8 საფეხურს რომ არ ჩასცილებია, ამ გაიტალიელებულ შავკანიან ამერიკელს უნდა უმადლოდეს, რომლის გადაბირებას საუკეთესო იტალიური და ესპანური კლუბები ლამობდნენ, თუმც მაიერსმა რომში წასვლით ყველა გააოცა. გაიტალიელებულ ოკეანსგადამღელზე, ტყუილად როდი ვილაპარაკეთ, მიხვდებოდით, იგი რომაელთა ყოჩია და თუ მოწინააღმდეგე ამოკეტავს, „რომა“ სიკეთეს არ უნდა ელოდეს.

მაიერსის ამფსონი დედაქალაქის გუნდში ჯერომ ალენია, ამ ორის „ბენეტონთან“ მატჩში წახდენაზე წუხდა სტუმართა მწვრთნელი ატილიო კაია: „ბოლო 15 წუთში ჩემმა გუნდმა ვერაფერი გააწყო. „ბენეტონის“ საქმე მას შემდეგ წავიდა კარგად, რაც მასიმო ბულერი და ის ქართველი... რა გვარია?... შეუწყვილდნენ ერთმანეთს. იყო 5-წუთიანი მონაკვეთი, მაიერსმა და ალენმა ბურთი ვერ ჩააგდეს და მატჩის ბედიც ამან გადაწყვიტა.“

# კაი სიტყვა კაიასგან:

## ის ქართველი რა გვარია, შავი დღე რომ დაგვაყრია...

„იმ ქართველმა“, ნიკა ცქიტიშვილმა „რომასთან“, რაც „ბენეტონშია“, ყველაზე მეტი, 28 წუთი ითამაშა. ნიკამ იმდენი ქნა, რომ მაიკ დანტონის მატჩისშემდგომ სიტყვებში ქართულმა გვარმა ყველაზე მეტჯერ გაიჟღერა. ტრევიზოელთა გამოცდილმა თავკაცმა, ვისაც ადრე „დენვერ ნაგიტსი“ უწვრთნია, ჩვენებურის ზედმეტი ქებისგან თავი შეიკავა, მაგრამ საბოლოოდ მაინც კომპლიმენტი დასცდა: „ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, თუმც მოვერიდები დღეს მის ქებას, რადგანაც ის სრულიად ახალგაზრდა, 18 წლისაა და გასაკეთებელი გაცილებით მეტი აქვს. მაგრამ მაინც არ დავუკარგავ გარჯას და ვიტყვი, რომ ცქიტიშვილი ბულერისთან ერთად შეუდარებელი იყო მატჩის მიწურულს, როცა „ბენეტონმა“ 5-წუთიანი მონაკვეთი 23:7 მოიგო და „რომას“ სულ მცირე იმედიც მაშინ დასამარდა“.

— ამდენი სათამაშო დრო აქამდე არ მქონია. მწვრთნელი მენდო და მეც გავუმართლე. ერთადერთი საფრთხე კარლტონ მაიერსისგან შეიძლებოდა შეგვქმნოდა, მაგრამ დაცვაში კარგად ვითამაშეთ და „რომას“ და იტალიის ნაკრების ლიდერი ჩავკეტეთ. მეც მიწევდა მაიერსის დაჭერა, როცა თანაგუნდელს ვაზღვევდი და შეტევაში თამაშითაც კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით შორი სროლებით, ხუთიდან სამი ჩავაგდე, საბოლოოდ კი 13 ქულა დამიგროვდა. „რომა“ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ და ლიდერ „სკიპერს“ მცირედით ჩამოვრჩებით“ — გვითხრა გუშინ ვარჯიშის შემდეგ ნიკა ცქიტიშვილმა, როცა ტრევიზოში დავუკავშირდით.

დღეს „ბენეტონი“ მილანში ჩავა და 27-ე ტურის მატჩს „ადეკოსთან“ გამართავს.

**ირაკლი ბერტაია**



ცქიტიშვილი რომაელებს უტევს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 24 | 21 | 3 | 2053:1819 | 45 |
| ბენეტონი | 25 | 20 | 5 | 2342:2043 | 45 |
| სიენა | 25 | 18 | 7 | 2109:1930 | 43 |
| კანტუ | 25 | 18 | 7 | 2066:1973 | 43 |
| კინდერი | 24 | 18 | 6 | 2027:1793 | 42 |
| სკავოლინი | 24 | 17 | 7 | 2006:1917 | 41 |
| ტრიესტი | 24 | 14 | 10 | 1889:1925 | 38 |
| რომა | 25 | 12 | 13 | 1975:1984 | 37 |
| ვარეზე | 25 | 10 | 15 | 2148:2184 | 35 |
| მიულერი | 25 | 10 | 15 | 2015:2072 | 35 |
| ბიელა | 25 | 10 | 15 | 2038:2127 | 35 |
| ფაბრიანო | 25 | 10 | 15 | 2054:2188 | 35 |
| როზეტო | 24 | 10 | 14 | 2064:2134 | 34 |
| აველინო | 25 | 9 | 16 | 2020:2096 | 34 |
| სნაიდერო | 25 | 8 | 17 | 2002:2070 | 33 |
| ადეკო | 25 | 8 | 17 | 2032:2124 | 33 |
| ლივორნო | 24 | 8 | 16 | 1964:2073 | 32 |
| იმოლა | 25 | 7 | 18 | 1942:2059 | 32 |
| ვიოლა | 24 | 6 | 18 | 1902:2134 | 30 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიას მურნინგზე სუფთა სინდისი აქვს



ბოსტონი — ვაშინგტონი. ბოსტონელმა პოლ პირსმა უჟორდანო „ვაშინგტონის" კალათი თავზე ჩამოიმხო

AP ბოსტონიდან

**8 მარტი**

**მაიამი 74:83 ტორონტო**

**მაიამი:** სტრიკლენდი (10), ჯონსი (22), გილი (2), გრანტი (10 ქულა, 14 მოხსნა), მურნინგი (16); ჯეკსონი (10), ბეტლინგი (2), ე. კარტერი (2), ბაუსი, სტეფანია (10 წუთი, 2 მოხსნა)

**ტორონტო:** ე. უილიამსი (6), ვ. კარტერი (16), ჯ. უილიამსი (2), კლერკი (8), დევისი (23 ქულა, 10 მოხსნა); ოლაჯუონი (13), პეტერსონი (12), კარი (2), ჩაილდსი (1)

**9 მარტი**

**მემფისი 88:93 მაიამი**

**მემფისი:** ჯ. უილიამსი (17), ბეტიე (19), ლონგი (9), გასოლი (14 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი (14 ქულა, 16 მოხსნა); მასენბურგი (4), ბაფორდი (4), ნაითი (3), ფონტეინი (3), სვიფტი (1)

**მაიამი:** სტრიკლენდი (17), ჯონსი (16), გილი (10), გრანტი (4 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (18 ქულა, 6 დაფარება); ჯეკსონი (18), სტეფანია (21 წუთი, 10 ქულა, 8 მოხსნა, 2 დაფარება), კარტერი

ამას წინათ „ტორონტოს" მეტოქე „მაიამის" თამამად ვუწინასწარმეტყველეთ გამარჯვება. პროგნოზი იმით გავამართლეთ, რომ ვოვა სტეფანიას გუნდს დაძაბუნებული მოწინააღმდეგე ჰყავდა, თავად კი კარგა ხანია, შებრუნდა პლეი ოფისკენ. შევცდით, „დალასის", „დეტროიტისა" და სხვა ყოჩთა მძლეველ „ჰითს" ყველა ლოგიკით „ტორონტოც" უნდა მიეყოლებინა, მით უფრო, რომ კინკილა კანადური გუნდი მასსა და პლეი ოფს შუა აღმართულა, ამდენად კონკურენტია, იმ კატეგორიის მეტოქეა, რომლის დაჯაბნაც აუცილებელია, მაგრამ...

ამ რამდენიმე დღის წინ ფლორიდელთა ლიდერმა ედი ჯონსმა წაიტრაბახა, საოცრად კონცენტრირებულები ვართ და მეტოქეს ფრჩხილისოდენა შეცდომასაც არ ვპატიობთო. „ტორონტოსთან" ჯონსმა და მისიანებმა პირიქით, საოცარი დაბნეულობა გამოიჩინეს.

„აუცილებლად რაღაც უნდა გველონა, მანამდე ჩვენ ზედიზედ 13-ჯერ წავაგეთ და არ შეიძლებოდა, ასე გაგვეგრძელებინა. ბედად დღეს ძალა ჩვენს მხარეს იყო" — განაცხადა რვა მარტის შეხვედრის მომგებთა მწვრთნელმა ლენი ვილკენსმა, ხოლო წაგებულთა თავკაც პატ რაილის კარგი არაფერი უთქვამს.

მატჩის დაწყებამდე რაილიმ შეგირდებს ყურადღება „ტორონტოს" მფრინავ საოცრება ვინს კარტერისკენ მიაპყრობინა და პირველ რიგში მისი გაუვნებლება დაავალა. მაიამელებმა ამოცანას ნაწილობრივ გაართვეს თავი, თამაში კი იმის გამო წააგეს, რომ კარტერისკენ მზერამიპყრობილთ ზურგსუკან სხვები გაეპარნენ.

ვინს კარტერი იმ დღეს იქნებ ყველაზე მეტად იყო გამარჯვებაზე დაგეშილი და დიდი ფორიაქით დაიწყო ბურთაობა. პირველ ექვს წუთში ხუთი ქულაც გაუხერხა თანაგუნდელთ, თავისთვის კი ამასობაში სამი პერსონალური იშოვა, სკამზე დაჯდა და მეორე ტაიმამდე აღარც ამდგარა იქიდან. მასპინძლებსაც მეტი რაღა უნდოდათ, შეძლებისდაგვარად მიაწვნენ ულიდერო მეტოქეს და დიდ შესვენებამდე შვიდი ქულით ჩამოარჩინეს, 51:44.

ნბა-ში შვიდქულიანი უპირატესობით ვერავის დააშინებ და არც ტორონტოელ „ტირანოზავრებს" განელებიათ მეტოქის შეჭმის სურვილი. მესამე მეოთხედი სტუმრებმა კარტერთან ერთად დაიწყეს და მისი მეოხებით თანაბარი ანგარიშით დაასრულეს, მერე კი წონასწორობა სტუმართა ჯერიც დადგა.

მაიამელი ალონზო მურნინგი შაკილ ონილის შემდეგ ლიგის მეორე ცენტრობას იჩემებს, არც მისი შემცვლელი ვოვა სტეფანიაა ურიგო ჯეელი (მეორე ცენტრის კვალობაზე), მაგრამ იმ საღამოს არც ერთს უჭრიდა მარჯვენა. სამაგიეროდ, იყოჩაღეს ტორონტოელმა მეფარეებმა — ანტონიო დევისმა და ბოლო ხანს ხუთეულიდან სათადარიგოებში გადაბარგებულმა 39 წლის ჰაკიმ ოლაჯუონმა. მათი ფხიანი გარჯის წყალობით „ტორონტოს" ბოლო მეოთხედის დასაწყისი ის 13:0 მოგება და გვარიანად დაწინაურება, საბოლოოდ კი გამარჯვება ერგო.

დაბოლოს, აღვნიშნოთ, რომ „მაიამიმ" მეორე ტაიმი სამარცხვინოდ, 23:39 წააგო, მთლიანად მატჩში კი 22 ბურთი დაკარგა. აქედან შვიდი მურნინგის სინდისზეა, ორიც სტეფანიასაზე.

ბედად, „ტორონტოსთან" ჯახში დამწვარმა ათასობით კილოკალორიამ ერთი დღის შემდეგ მემფისში „მემფისს" შეჯახებულ „მაიამის" არა ავნო. „მაიამიმ" ეს თამაში მაინც მოიგო და ორ უახლოეს კონკურენტთან — „ტორონტოსა" და „ვაშინგტონთან" ერთი ხელის გაწვდენაზე დარჩენა შეძლო. ამჯერად კი გამოიჩინა თავი ჩვენებურმა ვლადიმერ სტეფანიამ, დაკარგვა-პერსონალურების ნაცვლად ქულა-მოხსნები აგროვა და ბლომადაც. ჯადო-ახალბედა პაუ გასოლის პარპაშის აღკვეცაშიც წაახმარა ხელი თავისიანებს.

**8 მარტი**

**ფილადელფია 109:100 ინდიანა**

**ფილადელფია:** აივერსონი (41), სნოუ (25 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა)

**ინდიანა:** ონილი (25 ქულა, 12 მოხსნა), ბენდერი (17), რ. მილერი (15)

**ბოსტონი 117:92 დეტროიტი**

**ბოსტონი:** პირსი (31), უოლკერი (24), ანდერსონი (15)

**დეტროიტი:** ეტკინსი (17)

**ორლანდო 99:96 ვაშინგტონი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (50 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (26)

**ჩიკაგო 90:94 კლიპერსი**

**ჩიკაგო:** როუზი (21), ჰასელი (21)

**კლიპერსი:** ოლივოკანდი (30 ქულა, 16 მოხსნა), მაკინისი (17)

**მილუოკი 109:115 კლივლენდი**

ძირითადი დრო 99:99

**მილუოკი:** რობინსონი (30 ქულა, 10 მოხსნა), ალენი (20), ტომასი (17)

**კლივლენდი:** მილერი (31 ქულა, 11 პასი), დევისი (21), პერსონი (18)

**ჰიუსტონი 95:108 გოლდენ სტეიტი**

**ჰიუსტონი:** მობლი (31), ფრენსისი (23)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (32), ჯემისონი (27), სურა (17)

**იუტა 73:85 ნიუ იორკი**

**იუტა:** მელოუნი (25 ქულა, 11 მოხსნა), რასელი (21), სტოქტონი (15 პასი)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (20), სპრიუელი (19), ტომასი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 81:76 მინესოტა**

**ფინიქსი:** მარბერი (28), მარიონი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**მინესოტა:** შჩერბიაკი (27), გარნეტი (4 ქულა, 18 მოხსნა)

**საკრამენტო 99:87 შარლოტი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (24), ვებერი (20), დივაცი (17 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**შარლოტი:** ნეილონი (18), დევისი (15)

**პორტლენდი 82:73 ნიუ ჯერსი**

**პორტლენდი:** ველსი (21), ვოლესი (18)

**ნიუ ჯერსი:** მარტინი 19), კიტლზი (16)

„ორლანდო" — „ვაშინგტონის" თამაშზე გადავსებულ დარბაზ „უოთეჰ აუს სენთერის" ტრიბუნებზე შეფენილ 17 ათას ორლანდოელს ერთ რამეზე დაწყდა გული. ისინი რამდენიმე ოვის წინ გრძელ რიგში იდგნენ, რათა ცხრა მარტს მაიკლ ჯორდანი ეხილათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, მაიკლი ახლა ნაოპერაციევი მუხლის შეხორცებას ელის. მაპინძელმა „ორლანდომ" უმისოდ დარჩენილ „ვიზარდსს" სიქა გააცალა, ხოლო ხალხი, რომელმაც ჯორდანი ვერ იხილა, მასპინძელთა ლლაპმა კერპმა-ტრეისი მაკგრეიდიმ ასიამოვნა. „ვაშინგტონმა" მისგან ნახევარი ასეული ქულა მიიღო კალათში. მაკგრეიდიმ ერთი ქულით გააუმჯობესა კარიერის რეკორდი, რითაც ერთობ გაიხარა, თუმც მერე მოიწყინა კიდეც, როცა უთხრეს, რომ 1994 წელს შაკილ ონილის მიერ დამყარებულ კლუბის ყველა დროის რეკორდამდე ოდენ სამი ქულა დააკლდა.

რვა მარტს „მაიამისთან" ერთად წააგო მისმა ორმა კონკურენტმა „შარლოტმა" და „ინდიანამ". ამ უკანასკნელმა ყოფილ მწვრთნელ ლარი ბრაუნის აწინდელი, ფილადელფიელ მოწაფეების გაბითურება განიზრახა, მაგრამ მათგან უთვალსაჩინოესმა და, უჩაუქესმა ალენ აივერსონმა 41 ქულით მიაყუჩა. არ გაოცდეთ და აივერსონი ბოლო ხუთ თამაშში მეოთხედ შესწვდა ოთხ ათეულ ქულას.

ყველაზე არასასურველ მასპინძელთან, „საკრამენტოსთან" ნასტუმრებმა შარლოტელებმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს დამხვდურთ, იჩხუბეს კიდეც, სტუმართა კანადელმა ცენტრმა ჯამაალ მალუამ „საკრამენტოს" იუგოსლაველ ასევე ცენტრ ვლადე დივაცს დაუპირა გალახვა. ვის მეტი მოხვდა, ამის თაობაზე არაფერს იუწყებიან ოკეანგაღმიდან, მატჩის ანგარიში კი ზოგადად სტუმართა გვემაზე მიუთითებს.

**9 მარტი**

**ატლანტა 91:112 ფილადელფია**

**ატლანტა:** ნიუბილი (26), ტერი (25)

**ფილადელფია:** აივერსონი (28), კლაქსტონი (18), მუტომბო (17)

**დალასი 107:105 გოლდენ სტეიტი**

**დალასი:** ნეში (28), ფინლი (22), ნოვიცკი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (21)

**ჩიკაგო 73:100 სან ანტონიო**

**ჩიკაგო:** რობინსონი (12)

**სან ანტონიო:** დანკანი (22 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**სიეტლი 96:90 ნიუ ჯერსი**

**სიეტლი:** პეიტონი (21), მეისონი (21), ლუისი (20)

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (21), კიტლზი (19)

**დენვერი 109:106 პორტლენდი**

ძირითადი დრო 95:95

**დენვერი:** მაკლაუდი (26), ჰოვარდი (22 ქულა, 12 მოხსნა)

**პორტლენდი:** პიპენი (28 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (26), ველსი (21 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" სახელის და გამარჯვებათა მომხვეჭი რბოლა ერთობ უსახურად დასრულდა. ზედიზედ 12 მეტოქის დამბეჩავებელმა პორტლენდელებმა დენვერულ „ოქროს ზოდებს" წამოჰკრეს ფეხი. ძველი ამბავია, „დენვერი" თავისზე სუსტ მეტოქეთა ქრონიკულ ნაკლებობას განიცდის, ძლიერების წამოქცევა კი იოლი არაა. არც „პორტლენდის" წამოქცევა გახლდათ იოლი საქმე, თუმც შეუძლებელიც არ იყო.

ბოლო დროს შესანიშნავად მობურთალ პორტლენდელ სკოტი პიპენს მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ორიდან ორი საჯარიმო რომ ჩაეგდო, მაშინ კი შეუძლებელი გახდებოდა მისიანთა ძლევა, მაგრამ პიპენმა მხოლოდ ერთი ჩააგდო და მეტოქეს თუმც ვიწრო, მაგრამ მაინც დაუტოვა ღრეჩანი. პიპენზე არანაკლებ ბებერმა მასპინძელმა ტიმ ჰარდევეიმ თავისიანები გამოაძვრინა ამ ღრეჩანში, სამქულიანით 95:95 გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც, სამართლიანობა დავიცვათ და აღვნიშნოთ, „დენვერს" სუსტი გუნდობისა აღარაფერი ეტყობოდა.

საინტერესო გამოდგა სიეტლური თამაში, სადაც დასავლური საზომით მერვე გუნდმა „სიეტლმა" აღმოსავლეთის უპირობო ლიდერი „ნიუ ჯერსი" იმსხვერპლა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ მდინარე მისისიპის გაღმოღმელები გაღმელებთან ახლოს ვერ მივლენ.

**10 მარტი**

**ორლანდო 92:79 ტორონტო**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (22), გარიტი (15)

**ტორონტო:** კარტერი (16), დევისი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**კლივლენდი 78:95 კლიპერსი**

**კლივლენდი:** ჯონსი (14)

**კლიპერსი:** ბრენდი (17 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), პიატკოვსკი (17)

**მილუოკი 73:98 საკრამენტო**

**მილუოკი:** რობინსონი (14), ალენი (14), კასელი (14)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (21), ვებერი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**ლეიკერსი 117:103 ნიუ იორკი**

**ლეიკერსი:** ონილი (40), ბრაიანტი (18)

**ნიუ იორკი:** ტომასი (20 ქულა, 12 მოხსნა), სპრიუელი (31)

**ბოსტონი 98:91 ვაშინგტონი**

**ბოსტონი:** უოლკერი (23), პირსი (18)

**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (21), ლუ (19)

**ჰიუსტონი 95:92 იუტა**

**ჰიუსტონი:** მობლი (28), ტომასი (18)

**იუტა:** მელოუნი (21 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (18 ქულა, 15 მოხსნა), სტოქტონი (12 ქულა, 13 პასი)

**დეტროიტი 84:89 ინდიანა**

**დეტროიტი:** უილიამსონი (22)

**ინდიანა:** ონილი (23 ქულა, 14 მოხსნა)

**ფინიქსი 82:88 შარლოტი**

**ფინიქსი:** მარიონი (27 ქულა, 13 მოხსნა), მარბერი (22)

**შარლოტი:** მაშბურნი (26), დევისი (18 ქულა, 11 პასი)

ერთი გუნდის, თუნდაც კონკურენტის, ძლევა კრიზისის დაძლევას არ ნიშნავს და კვირას „ორლანდოსთან" წამგებმა „ტორონტომ" კვლავ ჩავარდნაზე აალაპარაკა სპეციალისტები.

**ირაკლი ფირჯვილი**





# ნუ, კივი!

## ახალ ზელანდიას ავსტრალია გაუუფროსდა



**ამ** უქმეებზე რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) 2003 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთ მასპინძელ ახალ ზელანდიას ყური აუწია და მთელი ძალაუფლება ავსტრალიას გადაულოცა. ალბათ წერტილი დაესვა დავას, რომელმაც მსოფლიოს თასის პრეზენტაცია გვარიანად გააჯანჯლა.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ რაზე დავობდნენ მეზობლები. უდიდესი სარაგბო ალლუმის მასპინძლებში ამჯერად მეტი უფლებით ავსტრალია სარგებლობდა, რაკი 1998 წელს სწორედ ამ ორმა ქვეყანამ უმასპინძლა მსოფლიო თასს და მაშინ უფროსი ახალი ზელანდია იყო. ასე რომ, თითქოს სადავო არაფერი უნდა ყოფილიყო, კივებს ვალის დაბრუნება მართებდათ, მაგრამ...

ამბიციურ ზელანდიელებს ოზების უფროსობა არ ეპიტნავათ და გაჯიუტდნენ. ჯერ იყო და, ავსტრალიელთა შემოსავლიდან წილი მოითხოვეს, მერე პროვინციების ეროვნული ჩემპიონატის დროებითი შეწყვეტა იუარეს და არც მატჩების პერიფერიებში გადატანას დაყაბულდნენ. რითაც მსოფლიოს რაგბის მამები ერთობ გააღიზიანეს და იმას გამორჩნენ, რაც ზემოთ ვთქვით.

ახალ ზელანდიას ახლა გადამწყვეტი სიტყვის უფლება აღარ აქვს და მხოლოდ ორი ჯგუფის, ორი მეოთხედფინალური და ერთი ნახევარფინალური მატჩების მასპინძლობა შერჩა. კივები თავს დაჩაგრულად გრძნობენ და ჩივილს აპირებენ, მაგრამ საეჭვოა, კონსერვატიულ IRB-ს აზრი შეაცვლევინონ. ავსტრალიელებმა კი ხელები მოიფშვნიტეს და მათებური განთესვის სისტემა და ტურნირის ორგანიზაციული საკითხები გამოამზეურეს. ჩვენთვის საინტერესო საქართველოს ნაკრების სავარაუდო ჯგუფი, უფრო ზუსტად, ჯგუფებია. ოზური ვარიანტით, თუ ბორჯღალოსნები 2001-2002 წლების ერთა თასის ჯამური მაჩვენებლით პირველ ადგილს დაიკავებენ და შესარჩევ ტურნირსაც დაძლევენ, ჯგუფში ინგლისის, სამხრეთ აფრიკის, სამოას და აშშ-ის ნაკრებებთან მოხვდებიან. იმ შემთხვევაში, თუ ბორჯღალოსნები მეორე ადგილს დასჯერდებიან, მაშინ მეტოქეებად მასპინძელი ავსტრალია, ირლანდია, არგენტინა და მაროკო ეყოლებათ.

ერთიცაა, ეს სავარაუდო კალენდარი და განთესვაა და ასეთად დარჩება მანამ, სანამ IRB დასტურს მისცემს. ეს კი, ალბათ, შუა აპრილში მოხდება, რაგბის საერთაშორისო საბჭოს სხდომაზე.

ოზები ფრიად გრანდიოზულ სანახაობას გვპირდებიან და საამისოდ სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებთან თანამშრომლობასაც აპირებენ.

ერთი სიტყვით, თუ ახალზელანდიელებმა რკინის ქალამნები არ ჩაიცვეს და ქვეყანა არ ააწრიალეს, მსოფლიო თასის პრეზენტაცია აპრილში შედგება.

**ბაჩო სვანიძე**

# კეისარს კეისრისა, ნეფს — ნეფისა
## მსოფლიოს თასი გაინაწილეს

** წლევანდელი** სეზონიც ჩავამთავრეთ. თუ სამთოთხილამურობის თვალსაზრისით უმნიშვნელო ისეთ შეჯიბრს არ ჩავთვლით, როგორიც ამერიკის ჩემპიონატია, მთავარი წერტილი უკვე დასმულია. ეს მოხდა მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპებზე, რომლებიც ჰერმან მაიერის საცხოვრის ფლაჰაუში გაიმართა.

სასრიალო პირობები უგვანი იყო. ავსტრიაში იდარა, მზემ გაზაფხულის ხატრით გაბედულად დააცხუნა და ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსამდე ავარდა. შეწუხებული თოვლი წასასვლელად აჩქარდა, მაგრამ შეწუხდნენ რბოლების ორგანიზატორებიც და ხელოვნური მეთოდებით სრიალის აუცილებელი კომპონენტი ორი დღეც გააჩერეს, მაგრამ მაინც: თოვლი ბლანტი გამხდარიყო და შეჯიბრმა მძიმედ ჩაიარა.

გასარკვევი იყო ორივე სქესის გიგანტური სლალომის და სლალომის გამარჯვებულები. შაბათს ბროლის პატარა გლობუსები სონია ნეფმა და ივიცა კოსტელიჩმა ჩაიხუტეს.

შეხედულ შვეიცარიელ მანდილოსანს ბოლო ეტაპის წინ ისედაც ეკავა გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლის პირველი ადგილი და მისი ერთადერთი ამოცანა მიხაელა დორფმაისტერის ბოლო პრეტენზიის მოგერიება იყო. მსოფლიოს თასის გამარჯვებული ნეფზე 20 ქულით უკან გახლდათ და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა სავსებით შეძლო, მაგრამ პირველი სრიალის შემდეგ მისი მდგომარეობა თითქმის უიმედო გახდა. დორფმაისტერი ნეფს 1,87 წამით ჩამორჩა და მეორედ ბევრად უკეთ ისრიალა, მაგრამ ნეფის ჯერი რომ დადგა, შვეიცარიელს საკმაოდ მარტივი ამოცანა უნდა გადაეჭრა: პირველ ათეულში დარჩენილიყო მაშინ, როცა საწყისი რბოლის შემდეგ ისედაც ლიდერი გახლდათ.

ნეფმა მოინდომა და არამცთუ ათეულიდან, პირველობიდანაც ვერავინ მოარყია, მოიგო ეტაპი და ბროლის გლობუსიც.

„ცხადია, ვინერვიულე — აღნიშნა ნეფმა — ეს გლობუსი ძალიან მინდოდა, წარუმატებელი ოლიმპიადის შემდეგ მით უმეტეს. ოლიმპიადაზე ვერაფერი გავაკეთე იქიდან, რაც ვარჯიშებზე მასწავლეს".

ტანსარო დორფმაისტერმა სიტუაციას რეალურად შეხედა. „სონიამ დაიმსახურა ეს ჯილდო — თქვა მან — ისევე, როგორც მე — მსოფლიოს თასი. ყველას ჩვენი წილი გვერგო".

მოტეხილი ხელის თითი ფეხის თითებზე დაიკიდა იანიცა კოსტელიჩმა და შაბათს სხვებივით დაიძრა მთის წვერიდან, რომელსაც ტრადიციულად „კაფე დე კოლუმბიას" (მსოფლიოს თასის ოფიციალური სპონსორი) დიდი აბრა ამშვენებდა. გიგანტურ სლალომში ხორვატის გოგომ მაინცდამაინც ვერ ივარგა, მაგრამ კვირას იყო მხიარულად: თავის საფირმო სლალომი მოიგო. ამ დისციპლინაში ფრანგი ლაურა პეკენიო თავობდა ჩათვლების ცხრილს და მისი დაწევის შანსი ამერიკელ კრისტინა კოზნიკს ჰქონდა. რა იხილა, კოზნიკმა ფრიად ღარიბი შედეგი უჩვენაო, პეკენიომ მაქსიმალურ მიზნად ფინიშამდე მიღწევა დაისახა და დილეტანტი როდია, ბოლოში ვერ გასულიყო.

ხოლო კოსტელიჩს ეტაპის მოგებამ საერთო ჩათვლაში ვერაფერი შემატა, რადგან მტკივანი მუხლის გამო სეზონის სამი მეოთხედი გაუცდა. წლეულს ისიც ეყოფა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე სხვებს მედალი რომ არ დაუტოვა (3 ოქრო და 1 ვერცხლი აიღო) და მსოფლიოს თასი კი დიდ ლოდინს არ მოითხოვს, ნახევარ წელიწადში ხელახლა დაიწყება.

კოსტელიჩების საგვარეულო არც წლეულს დარჩა მთლად უბროლისგლობუსოდ. დის ჩრდილიდან გამოვიდა ოლიმპიადის უიღბლო ივიცა, ვისი მთავარი ფუნქციაც თებერვალში მხოლოდ გათქვირული იანიცას მხრებზე შესმა და ზაგრების ქუჩებში სირბილი იყო. შაბათის სლალომში ივიცა კოსტელიჩმა არ გაიკარა ამერიკელი ბოდე მილერი, ვისაც ერთადერთს შეეძლო მისთვის პირველობის წართმევა. „მაგარი ბიჭია და ვენაცვალე — თქვა შემდეგ მილერმა უბოროტოდ — მსოფლიოს თასი ერთი დღე არ არის, მთელი სეზონია და ივიცა სულ მომართული და დაჭიმული იყო. გამარჯვება ეკუთვნოდა".

„მან ბევრი გარისკა — თქვა ახლა კოსტელიჩმა მილერის შესახებ — მეც მივბაძე, რადგან სასწორზე ყველაფერი ან არაფერი იდო".

დავემშვიდობოთ მთის მოთხილამურეებს და წარმატებები ვუსურვოთ.

**დავით გულუა**



ივიცა კოსტელიჩი




გიგანტური სლალომის ბროლის გლობუსს სონია ნეფმა აკოცა, მაგრამ მიხაელა დორფმაისტერი (მარცხნივ) და სონია ნეფიც კმაყოფილნი იყვნენ

### მსოფლიოს თასის საბოლოო შედეგები

**ვაჟები**

სწრაფდაშვება

1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 810; 2. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 520; 3. კრისტიან გედინა (იტალია) 381

სუპერგიგანტი

1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 470; 2. დიდიე სუშე (შვეიცარია) 426; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 326

გიგანტური სლალომი

1. ფრედერიკ კოვილი (საფრანგეთი) 471; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 429; 3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 422

სლალომი

1. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 611; 2. ბოდე მილერი (აშშ) 560; 3. ჟან პიერ ვიდალი (საფრანგეთი) 456

საერთო ჩათვლა

1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1702; 2. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) 1096; 3. დიდიე სუშე (შვეიცარია) 1064

**ქალები**

სწრაფდაშვება

1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 568; 2. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 469; 3. კორინე რეი ბელეტი (შვეიცარია) 414

სუპერგიგანტი

1. ჰილდე გერგი (გერმანია) 355; 2. ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) 248; 3. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 212

გიგანტური სლალომი

1. სონია ნეფი (შვეიცარია) 574; 2. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 494; 3. ანია პაერსონი (შვედეთი) 360

სლალომი

1. ლაურა პეკენიო (საფრანგეთი) 597; 2. კრისტინა კოზნიკი (აშშ) 518; 3. ანია პაერსონი (შვედეთი) 480

საერთო ჩათვლა

1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1271; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 931; 3. სონია ნეფი (შვეიცარია) 904

ბალახის ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი კუალა ლუმპური, მალაიზია

# გერმანიამ არავინ აზალახა

| ფინალი |
| --- |
| გერმანია — ავსტრალია 2:1 |
| მატჩი მესამე ადგილისთვის |
| ჰოლანდია — სამხრეთ კორეა 2:1 |

**ოლივერ დომკეს** მიერ მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, ანუ 65-ე წუთზე შეგდებულმა ბურთმა გერმანელებს ისტორიაში პირველად მოაგებინა მსოფლიოს ჩემპიონატი. 20 წლის წინ პაკისტანთან დამარცხების შემდეგ ისინი ფინალში აღარ გასულიყვნენ, ხოლო 1998 წლის მსოფლიო პირველობაზე მათ მხოლოდ ბრინჯაოთი დაყაბულება მოუხდათ.

ორი უძლიერესი გუნდის გუშინწინდელმა შეხვედრამ ორმხრივ იერიშებში ჩაიარა, მაგრამ ანგარიშის გახსნა 31-ე წუთამდე არ მოხერხდა. 31-ზე კი ავსტრალიელებმა საჯარიმო კუთხური უვერაგესად გაათამაშეს და ტროი ელდერმა ევროპელთა კარი დალაშქრა. ავსტრალიელთა უპირატესობამ მხოლოდ 4 წუთს გასტანა — ზედ შესვენების წინ გერმანელებმა ასევე საჯარიმო კუთხურის გათამაშების შედეგად ფლორიან კუნცს გამთანაბრებელი შეაგდებინეს.

საერთოდ, მთელი მატჩის მსვლელობისას ავსტრალიელებს გერმანელთა ორის წილ 5 საჯარიმო კუთხური ჰქონდათ, მაგრამ კუნცისა და ფილიპ კრონეს მიერ დარაზმულმა დაცვამ ევროპელთა კარი ყოველგვარი ხიფათისგან დაიცვა.

მეორე ნახევარმა შედარებით დაძაბულად და მოუსავლიანად ჩაიარა, მაგრამ მატჩის უკანასკნელ ათ-წუთეულში გერმანელები გახელდნენ და ყველაფერი, როგორც ზემოთაც გაუწყეთ, საშა რაინელტის განივად ნაპასევზე დომკეს აულებელი დარტყმით დასრულდა.

„ბედნიერი ვარ და ჩემი გუნდისა მეამაყება — უთქვამს ნამატჩევს გერმანელთა თავკაც ბერნარდ პეტერსს, ვისი ხელმძღვანელობითაც ნაკრებს 48 შეხვედრიდან 45 მოუგია — მეორე ნახევარმა ჩვენი უპირატესობით ჩაიარა და გადამწყვეტი გოლის გატანის შემდეგ ისეთი სიმტკიცე და ჯიგარი გამოვავლინეთ, რომ ავსტრალიელებს ენა არ მოუბრუნდებათ, ჩვენი გამარჯვების სამართლიანობაში დაეჭვდნენ".

სხვათა შორის, ოზებს ამის გაკეთება არც უცდიათ. „გამარჯვება მათ სავსებით დაიმსახურეს" — ავსტრალიელთა მწვრთნელის, ბერი დენსერის ამ სიტყვებს კუალა ლუმპურში შეკრებილი მებალახეჰოკეე საზოგადოება დინჯი თავისქნევით ეთანხმებოდა.

რაც შეეხება მატჩს მესამე ადგილისთვის, იქ ყველაფერი 73-ე წუთზე ჰოლანდიელი იაპ დერკ ბოომას მიერ სამხრეთკორეელთა კარში შეგდებულმა „ოქროს გოლმა" გადაწყვიტა.

**ანზორ მანჯავიძე**



გერმანიის გაუხარია

ჰოკეი

NHL
რეგულარული ჩემპიონატი

8 მარტი

**კაროლინა 2:2 ვაშინგტონი 1:0 0:2 1:0 0:0**
1:0 ფრენსისი (7), 1:1 იაგრი (22), 1:2 ბონდრა (22), 2:2 ფრენსისი (45)

**ბუფალო 3:0 მონრეალი 2:0 1:0 0:0**
1:0 გრეტონი (5), 2:0 დიუმონი (12), 3:0 კემბელი (35)

**კოლუმბუსი 4:2 აილენდერსი 3:0 0:1 1:1**
1:0 სანდერსონი (2), 2:0 რაიტი (4), 3:0 სანდერსონი (15), 3:1 იაშინი (29), 3:2 ოკუანი (55), 4:2 ტიმანდერი (59)

**ტამპა 2:4 ფილადელფია 1:1 1:1 0:2**
0:1 უილიამსი (12), 1:1 ბოილი (14), 2:1 რიჩარდსი (26), 2:2 უეინრიჩი (34), 2:3 ტერიენი (51), 2:4 რანჰეიმი (60)

**ატლანტა 0:3 ბოსტონი 0:0 0:2 0:1**
0:1 მაკინისი (31), 0:2 გ. მიურეი (32), 0:3 აქსელსონი (54)

**ფლორიდა 5:4 ედმონტონი 4:0 1:2 0:2**
1:0 ჰაგმანი (3), 2:0 უიმერი (12), 3:0 ვ. ბურე (13), 4:0 რიჩი (14), 4:1 კარტერი (28), 5:1 ნოვოსელცევი (30), 5:2 კარტერი (37), 5:3 სტეიოსი (44), 5:4 მორო (59)

**დალასი 3:5 მინესოტა 1:0 1:2 1:3**
1:0 ტარჯონი (14), 1:1 გაბორიკი (17), 2:1 მოროუ (40), 2:2 ჰენდრისკონი (40), 2:3 ბრუნეტი (43), 3:3 ლეჰტინენი (48), 3:4 რესტი (52), 3:5 დიუპუი (60)

**ანაჰაიმი 2:1 ნიუ ჯერსი 1:0 0:1 1:0**
1:0 ფრეზენი (17), 1:1 ნიდერმაიერი (33), 2:1 კარია (43)

9 მარტი

**კოლორადო 4:3 ლოს ანჯელესი 0:1 2:1 2:1**
0:1 დედმარში (13), 1:1 ფუტი (30), 2:1 საკიკი (36), 2:2 დედმარში (40), 2:3 ელისონი (41), 3:3 კინი (54), 4:3 ნიემინენი (59)

**დეტროიტი 5:2 სენტ ლუისი 2:1 2:1 1:0**
1:0 ჰოლმსტრომი (7), 2:0 რობიტაილი (14), 2:1 მელანბი (18), 2:2 სტილმანი (23), 3:2 ფიოდოროვი (33), 4:2 რობიტაილი (38), 5:2 დაციუკი (59)

**პიტსბურგი 3:2 რეინჯერსი 1:0 1:1 0:1 1:0**
1:0 კრაფტი (19), 1:1 ა. იუჰანსონი (25), 2:1 ბიჩი (31), 2:2 მაკარტი (59), 3:2 ჰრდინა (61)

**ბოსტონი 3:2 კალგარი 2:0 0:2 1:0**
1:0 ზამუნერი (8), 2:0 მაკინისი (14), 2:1 სავარი (32), 2:2 იგინლა (40), 3:2 სამსონოვი (58)

**სან ხოსე 2:0 ვანკუვერი 0:0 1:0 1:0**
1:0 შტურმი (29), 2:0 სელიანე (47)

**ფინიქსი 3:2 ოტავა 2:2 0:0 1:0**
0:1 ჰოსა (10), 0:2 ალფრედსონი (11), 1:2 ლენგკოუ (12), 2:2 ნუმინენი (15), 3:2 ნუმინენი (50)

**მონრეალი 1:1 ტორონტო 0:1 1:0 0:0 0:0**
0:1 გრინი (17), 1:1 ჟიუნო (35)

**ფლორიდა 2:2 ნეშვილი 0:1 1:1 1:0 0:0**
0:1 გ. ჯონსონი (20), 1:1 ჰაგმანი (24), 1:2 რონინგი (39), 2:2 რიჩი (53)

10 მარტი

**ანაჰაიმი 2:4 ოტავა 0:2 2:0 0:2**
0:1 მაკიჩერნი (2), 0:2 ალფრედსონი (11), 1:2 ტიტოვი (27), 2:2 ლამბერტი (32), 2:3 ალფრედსონი (41), 2:4 ჰოსა (60)

**ვანკუვერი 4:7 სან ხოსე 2:1 2:4 0:2**
1:0 ჰ. სედინი (8), 2:0 მორისონი (12), 2:1 ნოლანი (20), 2:2 შტურმი (24), 2:3 სუტერი (25), 2:4 ტორნტონი (26), 3:4 ბერონი (30), 3:5 სელიანე (39), 4:5 ჰლავაჩი (40), 4:6 გრეივსი (44), 4:7 ნაბოკოვი (60)

**აილენდერსი 6:1 ატლანტა 3:0 2:0 1:1**
1:0 იაშინი (2), 2:0 ჰამრლიკი (7), 3:0 ჩერკავსკი (16), 4:0 პეკა (30), 5:0 ჰამრლიკი (34), 5:1 ჰიტლი (55), 6:1 პეკა (57)

**ვაშინგტონი 4:2 ედმონტონი 0:2 2:0 2:0**
0:1 კომრი (2), 0:2 მარჩანტი (12), 1:2 ბონდრა (22), 2:2 ბონდრა (34), 3:2 ხრისტიჩი (45), 4:2 ბონდრა (59)

**მინესოტა 5:0 კოლუმბუსი 1:0 4:0 0:0**
1:0 გაბორიკი (18), 2:0 გაბორიკი (21), 3:0 დიუპუი (23), 4:0 გაბორიკი (34), 5:0 ჟოლტოკი (35)

**ბუფალო 5:1 დეტროიტი 3:0 1:1 1:0**
1:0 შატანი (5), 2:0 კ. ბრაუნი (5), 3:0 აფინოგენოვი (14), 4:0 გრეტონი (22), 4:1 დაციუკი (25), 5:1 შატანი (55)

**დალასი 0:3 ნიუ ჯერსი 0:0 0:2 0:1**
0:1 ალბელინი (33), 0:2 ბრილინი (40), 0:3 ჯიონტა (59)

**ფილადელფია 1:3 ტორონტო 1:1 0:1 0:1**
0:1 ტაკერი (10), 1:1 დეჟარდენი (16), 1:2 ტაკერი (37), 1:3 რობერტსი (60)

**ტამპა 5:1 ნეშვილი 1:0 1:1 3:0**
1:0 ალეკსეევი (17), 1:1 დელმორი (34), 2:1 კიფი (38), 3:1 რიჩარდსი (42), 4:1 კლაიმერი (44), 5:1 ბოილი (49)

სკოტსდეილი. არიზონა. პრიზი საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი (1, აშშ)** — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:5, 6:7 (5:7), 6:1; **ქსავიე მალისი (7, ბელგია)** — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:2; **ხუან ბალსელსი** (ესპანეთი) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:4, 4:6, 6:3; **რაინერ შიუტლერი** (გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:2

**ნახევარფინალი**

**ანდრე აგასი** — ქსავიე მალისი 6:4, 6:4; **ხუან ბალსელსი** — რაინერ შიუტლერი 6:3, 6:1

**ფინალი**

**ანდრე აგასი** — ხუან ბალსელსი 6:2, 7:6 (7:2)

# აგასის ერგასი

## დავიდე: ყველანი დავიდე!



REUTERS სკოტსდეილიდან

ანდრე აგასი: ორმოცდაათტიტულოვანი იუბილარი

თმახუჭუჭა და ხშირქილვაშა ხუან ბალსელსის ძლევამ არმენოამერიკელ ანდრე აგასის კარიერის 50-ე ანუ ძველებურად მეერგასე ტიტული მიათვლევინა. ამ ტიტულმა აგასი იმ დიად მეჩოგნეთა გვერდით დააყენა, რომელთაც „ღია პირველობათა ერაში“ ანუ 1968 წლიდან მოყოლებული დღემდე სულ მცირე 50 სა-ATP-ო ტურნირი მოუგიათ. დიადთა სახელებს უდიდესი სიამოვნებით მოგახსენებთ. ესენი ჯიმი კონორსი, ივან ლენდლი, ჯონ მაკინროი, პიტ სამპრასი, ბიორნ ბორგი, გილერმო ვილასი, ილიე ნასტასე და ბორის ბეკერი გახლავან!

სკოტსდეილის მეოთხეჯერ ამკლებ აგასის ნამატჩევს ჯილდოს გარდა შოკოლადის ვეება ტორტიც ერგო, თავად მან კი ყველაფერი ტრიბუნაზე რძალთან, შტეფი გრაფთან და ოთხთვენახევრიან შვილიშვილთან — ჯეიდენ ჯილთან ერთად მოკალათებულ მამა მაიკს მიუძღვნა. „მამა რომ არა, ვინ იცის, დღეს რა კაცი, ან უფრო სწორად, რა არაკაცი ვიქნებოდი. ეს სწორედ მან ითამაშა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ მე ასეთი წარმატებული კარიერა მქონოდა. გიხაროდენ, მაიკ ცავატანემ, არ მეგულება მეორე ადამიანი, ვისაც შენზე მეტად უყვარდეს ჩოგბურთი“, — ასე ამბობდა მადლიერი ანდრანიკი.

სხვათა შორის, ეს აგასის 75-ე ფინალური შეხვედრა იყო, ხოლო ამ ფინალში გამარჯვებამ მისი 23,5-მილიონიანი საკარიერო მონაგარი კიდევ 51 ათას 500 დოლარით გაამდიდრა.

ახლა კი საკუთრივ შეხვედრას რაც შეეხება.

ზორბა ესპანელს, რომელიც სიმაღლეში 1 მეტრსა და 90 სანტიმეტრიან ნიშნულს აღწევს, ხოლო წონით საღლაც ცენტნერამდეა, თავისი 27-წლიანი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი ისე-რა ტიტული მოუგია და შთამბეჭდავი ფიზიკური მონაცემების გარდა თავის მოწონებას ზემოთ ნახსენები პიჟონური ქილვაშებითაც ცდილობს. ფინალში იგი შთამბეჭდავად თამაშსაც ეცადა, მაგრამ იქით ჯადო-მეტოქემ არ დაანება, აქეთ — დაშავებულმა მყესებმა, ხოლო ერთ მომენტში კი თითქოს მსაჯმაც უგანა. ეს მომენტი პირველ სეტში, 2:3-ზე დაუდგა, როცა საკუთარ ჩაწოდებაზე თანაბარი ჰქონდა და ისე არიფად დაჰკრა, რომ მეკოშკურე არბიტრს აგასისთვის ჩაათვლევინა. მერე კი უკვე აგასის ალმაცერი ხელუკუღმის ჯერიც მოვიდა და... 2:4. თავისი ჩაწოდების მოგების შემდეგ ანდრანიკმა ბალსელს კიდევ ერთი ჩაწოდებაც წაართვა და იოლი პირველი სეტიც გაიფორმა.

მეორე სეტში მეტოქეები თავიანთ გეიმებს იგებდნენ და უმჯობესი-უმდარესი ტაიბრეიკზე გაირკვა, როცა რაღაცნაირად ბედს შეგუებულმა, მიღწეულით დაკმაყოფილებულმა და მყესნატკენმა ქილვაშამ ჩოგანი ძალიან უხალისოდ აქნია.

სულ მატჩმა საათსა და 15 წუთს გასტანა, მეტოქის 24 მომგების საპასუხოდ აგასიმ 36 მომგები ბურთი ჩააგდო, მისი 24 უნებლიე შეცდომის წილ კი მხოლოდ 18 შეცდომა დაუშვა. საერთოდ კი მთელი ტურნირის განმავლობაში 7-გზის მესლემტიტულე არმენოამერიკელმა მხოლოდ ერთი სეტი დათმო — ისიც ძაან ფორმაში მყოფ არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელასთან, მეოთხედფინალში.

„ამ კვირაში ყველაფერი გავაკეთე, რაც მჭირდებოდა და უაღრესად ნაამები ვარ. თან იმასაც ვგრძნობ, რომ ჯანსა და ჯიგარში კიდევ ბევრი მარაგი მაქვს... ვნახოთ, უახლოესი ორი ტურნირი კიდევ ბევრ რამეს გაარკვევს — ძალიან მინდა, ასევე კარგად გავაგრძელო, ძალიან მინდა, კიდევ ერთი გამორჩეული სეზონი ჩავითამაშო“ — ამბობდა აგასი.

ვინც ამ უკანასკნელი კვირის მანძილზე არიზონულ მთაუდაბნოში მის მკვირცხლ ცუღლუტობებს უცქირა, ვინძლო, ეჭვი არ ეპარებოდეს, რომ ამ ჯადო-ვეტერანს ჯერ მართლაც ბევრი რამე აქვს მოსაგები — 32 წელია რაა, თუ გული გულობს, ტიტული ერთი ჩოგნითაც იგება.

დელრეი ბიჩი. ფლორიდა. პრიზი საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი (1, აშშ)** — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:4; **ენტონი დიუპუა** (საფრანგეთი) — ფერნანდო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:3); **დავიდე სანგვინეტი** (5, იტალია) — პარადორნ სრიჩაფანი (ტაილანდი) 6:4, 3:6, 6:3; **ჟან-მაიკლ გემბილი (2, აშშ)** — ანდრე სა (ბრაზილია) 6:7 (4:7), 6:4, 6:4

**ნახევარფინალი**

**დავიდე სანგვინეტი** — ჟან-მაიკლ გემბილი 7:6 (10:8), 6:3; **ენდი როდიკი** — ენტონი დიუპუა 7:6 (7:4), 6:4

**ფინალი**

**დავიდე სანგვინეტი** — ენდი როდიკი 6:4, 4:6, 6:4

ორივეს — 19 წლის უნიჭიერეს ამერიკელ ენდი როდიკსაც და მასზე 10 წლით უფროს იტალიელ დავიდე სანგვინეტისაც ამ ფინალში გამარჯვება წლეულს მეორე სა-ATP-ო ტიტულს აძლევდა. როდიკს წლეულს მემფისში ემარჯვა, დავიდეს კი დედაიტალიურ მილანში. ამას გარდა, მათი შეხვედრისადმი ინტერესს მათ შორის 10-ოდე დღით ადრე სან ხოსეს მეორე წრეში გამართული ხმაურიანი მატჩის ხსოვნაც აძლიერებდა. მაშინ — იქნებ გახსოვდეთ და — სანგვინეტიმ მსაჯთან ცილობით ტვინი ისე წაიღო, რომ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო როდიკმა ისიც კი თქვა, კამათი როგორ არ შეიძლება, მაგრამ კაცს 10 წუთი გაუჩმახო, ეგ უკვე უნამუსობაო. საკუთრივ მატჩი კი ჭაბუკმა მოიგო და ახლა სანგვინეტის შესაძლებლობა ეძლეოდა, შეთამამებული ლაწირაკისთვის ცალკე მატჩრევანში წაეგვარა, ცალკე უნამუსოდ მოხსენება ენანებინა.

როგორც თავადაც ხედავთ, დავიდემ ერთიც კარგად მოახერხა და მეორეც. თუმცა ამბობენ, ეგ ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ როდიკს ციება ჰქონდაო. მაგრამ სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ გამარჯვებისთვის იტალიელმა თავადაც შეუპოვრად და თავდადებით ითამაშა.

„განსაკუთრებით მესამე სეტში გამიჭირდა, როცა როდიკი ბადესთან ჩასაფრდა და თან ისეთი საშინელი ჩაწოდებები ახათქუნა, ბარე ორი ვერ დაუდგებოდა. მაგრამ მის იერიშებს გავუძელი და, რადაი ბოლოსკენ ძალაც არ ეყო, საქმე შედარებით იოლად ჩავამთავრე“ — თქვა სანგვინეტიმ, რომელმაც, სხვათა შორის, ფინალისკენ მიმავალ გზაზე მეორე ნომრად განთესილსა და შარშანდელ ჩემპიონ ჟან-მაიკლ გემბილსაც აჯობა.

„ჰო, ბოლოსკენ უკვე მაგრად დავიღალე. ეს არცაა გასაკვირი — კვირაც მძიმე იყო, თან გაცივებულიც ვიყავი, აქეთ კიდევ ეს აუტანელი ფლორიდული სიცხე მთანგავდა. მე კიდევ შმაგივით ვეტ[illegible]ნებოდი და მის გატეხვას ვცდილობ[illegible]. მოკლედ, გამიძლო, ხოლო როცა წინ გაიჭრა, უკვე დაწევის თავი აღარ მქონდა“ — როდიკის ნამატჩევი ჩვენება სანგვინეტისას ერთი-ერთზე [illegible].

ნამატჩევს სანგვინეტი ტრიბუნებზე ლიანგად თავმოყრილმა იტალიელებმა თავისკენ [illegible] [illegible] შეფენილ [illegible] ნუგეშად [illegible] დარჩათ, რომ მათი ჯილა უკვე მესამე კვირაა, რაგინდარა ტურნირის ნახევარფინალამდე მაინც აღწევს და ამის გამო წლეულს ნათამაშებ 22 შეხვედრაში 18 გამარჯვება დაუგროვდა. ასეთი მაჩვენებელი კი ამ სეზონში არც ერთ მო-ATP-ე მეჩოგნეს არა აქვს!



AP დელრეი ბიჩიდან

დავიდე სანგვინეტი



AP ინდიან უელსიდან

ალექსანდრა სტივენსონი

ინდიან უელსი. პრიზი საპრიზო 2,1 მილიონი $

**მესამე წრე**

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია)** — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:3; **ჟუსტინ ენენი (3, ბელგია)** — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 6:0; **ლიზა რეიმონდი (12, აშშ)** — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:1; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 7:5; **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — ევა დირბერგი (დანია) 1:6, 6:3, 6:2; **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) — ელენა დოკიჩი (5, იუგოსლავია) 6:3, 6:0; **ემანუელე გალიარდი** (შვეიცარია) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:0; **დანიელა ჰანტუჩოვა** (სლოვაკეთი) — ბარბარა შეტი (16, ავსტრია) 5:7, 6:3, 6:1; **სილვია ფარინა ელია (7, იტალია)** — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:4, 6:3; **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (9, ესპანეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) 6:4, 0:6, 6:4; **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 3:6, 7:5, 6:1; **ამანდა კუტცერი** (10, სამხრეთ აფრიკა) — მარტა მარერო (ესპანეთი) 4:6, 7:5, 6:0; **აი სუგიამა** (იაპონია) — იროდა ტულიაგანოვა (13, უზბეკეთი) 6:2, 6:3

მესამე რაუნდმა ტურნირს ზეათეულის ორი წარმომადგენელი — რუსი ელენა დემენტიევა და ბარძაყმოუკეთებელი იუგი ელენა დოკიჩი გამოაკლო. პირველი დოქტორ ჯეის ოტროველა ნაბუშარმა, ალექსანდრა სტივენსონმა დაჯაბნა, მეორეს კი ლუქსემბურგელმა ანე კრემერმა უყელა. 18 წლის დოკიჩს მარჯვენა ბარძაყი უკვე ადრევე დაეჭიმა, ხოლო წინა წრეში რუს ელენა ბოვინასთან შეხლისას ამას მარცხენაც დაურთო. ამიტომაც იყო, კრემერთან ბოლო 9 გეიმი ადგილიდან რომ ვერ იძვროდა.

სანაცვლოდ, ძველებურად გაილაღეს მარტინა ჰინგისმა (2) და ჟუსტინ ენენმა (3). შვეიცარიელმა, ვინაც ბელგიელი კიმ კლაისტერსის ფრანგი ნატალი დეშისაგან ძლ[illegible]კის შემდეგ ტურნირზე უპირველეს მეჩოგნედ შემორჩა, რუს ლიხოვცევასთან სასეირო მატჩში მხოლოდ რამდენჯერმე ჩაყვინთა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დარჩა — წინა დღეს ხ[illegible]ტ სილვია ტალაიასთან (6:0 6:1) უფრო მედგრად ვითამაშეო.

სხვათა შორის, კლაისტერსის გაბითურება არც დეშის შერჩა. უმძაფრეს შეხლაში მას ანასტასია მისკინა მოერია.

ჟუსტინ ენენმა კი, ვინც წლეულს უკვე ორ ფინალს უწია და ორჯერვე ვინუს უილიამსთან დათმო, მსოფლიოში 43-ე ჩოგნის მქნეველ სერა ძანეტის 53 წუთში გადაურბინა. არადა, მეორე წრეში ბელგიელმა ძლივს მოუგო უსახელო სლოვენ მაია მატევზიჩს (5:7, 6:4, 6:4). იმ შეხვედრაში ენენმა 47 მომგები ბურთი კი ჩააგდო, მაგრამ სანაცვლოდ 59 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. „დღეს მართლაც უფრო გამიადვილდა — უფრო აგრესიულიც ვიყავი და შეცდომებსაც ნაკლებად ვუშვებდი“, — უთქვამს მას.

**ლევან კელაურაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge